

სახელუქრულო დავები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2026, №1

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2026, №1

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2026, №1

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2026, №1

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შინგალია

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

საქიჯელი

1. ნარდობა

ხელშეკრულებაზე უარი ნაკეთობის ნაკლის გამო 4

მენარდის პასუხიმგებლობა

შემკვეთის ქონების დაზიანებისას 17

2. დავალება

დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა

მარნმუნებლის მიერ 34

3. სატრანსპორტო ექსპედიცია

ექსპედიტორის პასუხისმგებლობა 52

4. დაზღვევა

დამზღვევის ბრალი

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას 72; 85; 102

სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული

ზიანის ანაზღაურება;

ფრანშიზა 117

5. თავდებობა

თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობა 139

1. ნარდობა

ხელშეკრულებაზე უარი ნაკეთობის ნაკლის გამო

გადანწყვეტილება საქართველოს სახელმწიფოს

№ას-847-2025

18 ივლისი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ა. კოჭლამაზაშვილი
(თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
თ. ძიმისტარაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სარჩელის მოთხოვნა

1.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ააიპ „ქ.ფ.ს-ში“ (შემდეგში: მოპასუხე, კასატორი) წინააღმდეგ, სარჩელით მიმართა თ. ჭ-ამ (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი), მოითხოვა მოპასუხისთვის მომსახურების საფასურის 2 352 ლარის დაკისრება.

2. მოპასუხის შესაგებელი

2.1. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებელით სარჩელი არ ცნო, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი თანხის დაკისრების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

4. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი

4.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 3 ოქტომბრის საოქმო განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს დაეკისრა მომსახურების საფასურის 700 ლარის გადახდა.

5.2. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, შეფასების საგანი იყო, მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და მისი ასანაზღაურებელი საფასურის პროპორციულობა.

5.3. მხარეთა შორის დადებული 2023 წლის 28 სექტემბრის ხელშეკრულების მიხედვით მოსარჩელეს პროექტის გარე შეფასების დასკვნა უნდა შეესრულებინა.

5.4. მხარეები არ დავობენ, რომ ვალდებულება ნაწილობრივ შესრულდა, რისთვისაც ორ ეტაპად, სხვადასხვა დროს 2023 წლის 16 ოქტომბერსა და 2023 წლის 14 ნოემბერს შესაბამისად 1 200 და 1 800 ლარი ჩაერიცხა მოსარჩელეს.

5.5. აპელანტი ითხოვს დარჩენილი ნაწილის 2 352 ლარის მოპასუხისთვის დაკისრებას. ამასთან, არ უარყოფს, რომ ვალდებულების ნაწილი შეუსრულებელია, თუმცა აღნიშნული ნაწილი არ წარმოადგენს დასკვნის არსებით ნაწილს მისი შინაარსის გათვალისწინებით. ამდენად, მხარის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ დასკვნა არასრულია, გამოსაყენებლად ვარგისია, განეულია შრომა, დახარჯულია რესურსი, რის გამოც მოპასუხემ მოთხოვნილი თანხა უნდა გადაიხადოს.

5.6. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების 1.2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე ადგენს, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი პროექტის შეფასება მისი სხვადასხვა შემადგენელი პარამეტრებით უნდა მომზადებულიყო 28.09.2023წ.-დან 15.12.2023წ.-მდე. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, ვალდებულების შესრულების დროის კონკრეტული თარიღის მითითების გარეშე გადაწვევის შესახებ, ვინაიდან, პირადი მიმონერის ამსახველი ამონაწერები ადასტურებს, რომ 15 დეკემბერს გადაიგზავნა დასკვნა მენარდესთან და საახალწლო არდადეგების შემდეგ (რაც უკვე შეთანხმებულ ვადას სცდებოდა) დადასტურებას დაელოდებოდა. ელექტრონულ ფოსტაზე მიმდინარე მიმონერის ამსახველი შეტყობინებების ანალიზი ცხადყოფს, რომ დასკვნის ძირითადი ნაწილი შემკვეთს გადაეგზავნა 17.12.2023წ., თავად მოსარჩელე შენიშნავს, რომ დასკვნას აკლია შემდეგი ნაწილები: შესავალი, მეთოდოლოგია, რეკომენდაცია.

5.7. შესასრულებელ ვადებთან დაკავშირებით სასამართლოს ზეპირ მოსმენაზე განმარტებები გააკეთა მოპასუხე ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა და განმარტა, რომ ვადები მხარეთა შორის არასდროს გახანგრძლივებულა. შემკვეთმა როდესაც მიიღო ნაშრომი იცოდა, რომ იგი არ იყო სრული, თუმცა ეს არ იყო პრობლემა. ზოგადად, მსგავს საკითხებზე ხშირად თანამშრომლობს ორგანიზაცია სხვადას-

ხვა ექსპერტებთან და თუ კი დასკვნა რელევანტური აღმოჩნდებოდა მომზადების ვადის დარღვევის შემდგომაც აკმაყოფილებდა მოპასუხის ინტერესებს. ს. ჩ-ის განმარტებით, მხოლოდ ვიდეოკონფერენციის განხორციელების შემდგომ მიხვდა დამკვეთი ორგანიზაცია, რომ დასკვნას გააჩნდა შინაარსობრივი ხარვეზები, რომ მისი გამოსწორება შეუძლებელი იყო.

5.8. დადგენილია, რომ მხარეთა შორის სადავო საკითხების გათვალისწინებით, ნაშრომი არც ერთ მხარეს არ წარუდგენია სასამართლოსთვის.

5.9. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქმის მასალების მიხედვით დასტურდება, რომ სხვადასხვა დროს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, სამუშაოს ნაწილი მიღებულია. პალატა არ დაეთანხმა მოწინააღმდეგე მხარის განმარტებას, რომლის მიხედვითაც სინამდვილეში სამუშაოს ნაწილი მათ არ მიუღიათ, არსებობდა ნდობის ფაქტორი და სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვაზე ზეპირსიტყვიერი მითითებით (მაგალითად ინტერვიუებისა და გამოკითხვების ჩატარება) კმაყოფილდებოდა შემკვეთი. შესაბამისად, იხდიდა მოთხოვნილ თანხებსაც. თუ კი განხორციელებული სამუშაოს რეზულტატის შეუმომებლად მხოლოდ მენარდის ზეპირსიტყვიერი ახსნა-განმარტება საკმარისი საფუძველი იყო თანხის გადასაცემად, ეს მხოლოდ მოპასუხე ორგანიზაციის მიერ სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი წინდახედულობის ნორმების და რისკის არასათანადოდ შეფასების მიმანიშნებელია. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ შესრულებული სამუშაოს შესახებ შესაბამისი პროექტი არ გადასცემია მოსარჩელეს ან იგი საერთოდ გამოუსადეგარი იყო.

5.10. სააპელაციო სასამართლომ, საქმის მასალებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების შედეგად განმარტა, რომ დასკვნას აკლია შესავალი, მეთოდოლოგია და რეკომენდაციის სექციები. 2023 წლის 17 დეკემბრის შეტყობინებით მენარდემ შემკვეთს გაუგზავნა ნაშრომის ძირითადი კვლევითი ნაწილი, რომელშიც ასახულია დასკვნის ძირითადი მიგნებები. საპასუხოდ 20.12.2023წ. ეცნობა შესაძლო ხარვეზების შესახებ შემსრულებელს, ხოლო 09.02.2024წ. შემკვეთმა ჩათვალა, რომ შესრულებას ისეთი ხარვეზები ჰქონდა რაც ვერ გამოსწორდებოდა.

5.11. სააპელაციო სასამართლომ, ნაშრომის მიღებიდან ორი თვის შემდეგ ნაშრომის გამოუსადეგარობის შესახებ მხარის პრეტენზია არაკეთილსინდისიერ ქცევად მიიჩნია. სააპელაციო სასამართლომ ასევე მოპასუხის წინააღმდეგოდ მიიჩნია, მიღებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა ისე, რომ რეალურად არ შეუმომებია შესრულებული სამუშაო.

5.12. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი სადავო გარემოებების ნაწილი არ არის გასაზიარებელი დაუსაბუთებლობის მოტივით. მიუხედავად ხელშეკრულების შეწყვეტის მართლზომიერებისა მენარდეს უფლება აქვს მოითხოვოს შეწყვეტის დროისთვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება. ის რომ გარკვეული სამუშაოები შესრულებულია სადავო არ არის მხარეთა შორის. აღნიშნულს ადასტურებს მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-შედარების აქტიც. თუმცა, მას აკლია გარკვეული მასალები, რაც განმარტებულია თვით მოპასუხის მიერ. შესაბამისად პალატამ მიიჩნია რომ შესრულებული სამუშაო უნდა შეფასდეს 700 ლარით, რაც შესასრულებელი სამუშაოს თითქმის 1/3-ს შეადგენს. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად უნდა დაეკისროს 700 ლარი.

5.13. სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებულია არამხოლოდ საქმეზე მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება, არამედ 2024 წლის 3 ოქტომბრის საოქმო განჩინება. მომჩივანის მოთხოვნის მიხედვით საქმიდან ამოღებულ უნდა იქნეს მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი ინგლისურენოვანი დოკუმენტაცია, 20.12.2023წ. მომსახურების ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი და თ. ბანკის საგადასახადო ქვითარი.

5.14. სააპელაციო სასამართლომ, საოქმო განჩინების შესახებ საჩივრის პასუხად სსსკ-ის 9.4 მუხლზე მიუთითა, რომლის თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. სახელმწიფო ენის არმცოდნე პირს მიეჩინება თარჯიმანი. ამავე კოდექსის 103.1 მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები. ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, საქმის მოსამზადებელი ეტაპის დასრულებამდე წარდგენილი მტკიცებულებები საქმეს დაერთვება და მათ განიხილავს და შეამოწმებს სასამართლო ამ კოდექსის 225-ე მუხლით დადგენილი წესით. საქმის მოსამზადებელი ეტაპის დასრულების შემდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებების მიღების საკითხს სასამართლო განიხილავს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით, ზეპირი მოსმენით. 12 მოპასუხე მხარე პირველი ინსტანციიდან განმარტავდა, რომ შესრულება მოსარჩელისაგან არ მიუღია, ის რაც მიიღო კი არ წარმოადგენდა გამოსადეგ მასალას, რის გამოც სხვა კომპანია დაიქირავა. ფაქტების სადასტურებლად მხარემ წარმოადგინა სხვა კომპანიასთან მსგავსი შინაარსის დასკვნის მომზადებისათვის დადებული ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი და გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება. მოპასუხემ 30.09.2024წ. განცხადებით სარჩელის გამოსარიცხად მიუთითა კონკრეტული ახალი ფაქტები და

წარმოადგინა ახალი მტკიცებულებები საქმის მომზადების სტადიაზე. სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მოსამზადებელ სტადიაზე წარმოდგენილი მტკიცებულებები ავტომატურად დართულად ითვლება საქმეზე. მოსარჩელის მოსაზრება, რომ არ არის მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებები წარმოდგენილი და მტკიცებულებები მესამე პირთან შესაძლო სახელშეკრულებო შეთანხმებას ეხება არ არის მტკიცებულებათა საქმიდან ამორიცხვის წინაპირობა, რადგან ისინი საქმეზე დამაგრდა მოპასუხის სტრატეგიის და პოზიციის მხედველობაში მიღებით.

5.15. ზემოხსენებული განცხადებით საქმეზე წარმოდგენილ იქნა შენიშვნებიანი არაქართულენოვანი დოკუმენტი, თუმცა გასაჩივრებული გადანყვეტილებით დადგენილი არცერთი ფაქტობრივი გარემოება ხსენებულ დოკუმენტზე დაყრდნობით არ მიღებულა და არც უარუყვია. დოკუმენტის შინაარსი არ განაპირობებს გადანყვეტილებით დადგენილ წესრიგს. მხოლოდ ის საპროცესო ხარვეზი, რომ არასახელმწიფო ენაზე წარდგენილი მტკიცებულება საქმეში განთავსდა მიღებული გადანყვეტილების უკანონობა-კანონიერებას არ ადასტურებს, რადგან სსკ-ის 393.3 მუხლის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი. შესაბამისად, 03.10.2024წ. საოქმო განჩინების გაუქმების პროცესუალურსამართლებრივი საფუძველები არ არსებობს და საჩივარი ხსენებულ ნაწილში დაუსაბუთებელია.

6. მოპასუხე ორგანიზაციის საკასაციო საჩივარი

6.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 13 მარტის გადანყვეტილებაზე წარდგენილი საკასაციო საჩივრით, მოპასუხემ გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

6.2. კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად დააკისრა მომსახურების განვების საფასური 700 ლარი. კასატორის განმარტებით, სრულყოფილ ნაშრომში უნდა გადაეხადა 6 000 ლარი, მოცემულ შემთხვევაში კი ნაშრომი გამოუსადეგარი იყო.

6.3. ნაშრომის დასრულების დროდ 15 დეკემბერი იმ მოტივით იყო განსაზღვრული, რომ იმავე წლის ბიუჯეტით მომხდარიყო ანგარიშსწორება.

6.4. კასატორის განმარტებით, ვადის დარღვევით და გამოუსადეგარი ნაშრომის წარდგენის გამო დონორთან შეექმნა პრობლემები. შესაბამისად მოიძია ახალი შემსრულებელი და სამუშაოს შესრულება ჯამში დაუჯდა 9 000 ლარი, საიდანაც 3 000 ლარი მოსარჩელეს გადაუხადა, ხოლო, 6 000 ლარი ახალ შემსრულებელს, ამასთან სააპელაციო სასა-

მართლოს გადაწყვეტილებით დამატებით 300 ლარი ეკისრება.

7. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

7.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 26 ივნისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის თანახმად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო, იმავე წლის 14 ივლისის განჩინებით დასაშვებადაა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

8. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

9. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის გათვალისწინებით იმ სამართლებრივი შედეგის მიღწევა, რაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ შესრულებული სამუშაოს საფასურის ანაზღაურება სსკ-ის 629.1 მუხლიდან გამომდინარეობს – „ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შესრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური“.

10. სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღებად შესრულებული უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები: ა) მხარეთა შორის დადებული უნდა იყოს ნარდობის ხელშეკრულება; ბ) მენარდეს შესრულებული უნდა ჰქონდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო; გ) შემკვეთს არ უნდა ჰქონდეს ანაზღაურებული შესრულებული სამუშაო.

11. ნარდობის სამართალურთიერთობის განმსაზღვრელი ზემოხსენებული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ ნარდობა სინალაგმატურ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, რომლის მონაწილეებიც სამართლებრივ ურთიერთობაში ერთმანეთის მიმართ გამოდიან როგორც ურ-

თიერთკრედიტორები, ისე – ურთიერთმოვალეები. სახელშეკრულებო ვალდებულება კი, მაშინ მიიჩნევა შესრულებულად, როდესაც თითოეული მხარე შეასრულებს თავის წილ ვალდებულებას (იხ. სუსგ №ას-1646-2019, 30.09.2020წ.).

12. „ნარდობა დაკავშირებულია მენარდის ვალდებულებასთან – შემასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო და გადასცეს შემკვეთს შეთანხმებული საზღაურის მიღების პირობით შესრულებული სამუშაოს შედეგი. შემკვეთი მოვალეა გადაუხადოს მენარდეს საზღაური, როგორც წესი, სამუშაოს შესრულების შემდეგ“ (იხ., ზურაბ ძლიერიშვილი, „ნარდობის ხელშეკრულება“ (თეორია და პრაქტიკა), თბილისი, 2016 წ., გვ. 288).

13. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა და იწვევს მოთხოვნის უფლებას იმ მხარისათვის, რომლის მიმართაც და ინტერესთა საზიანოდ შეთანხმების პირობები დაირღვა (იხ. სუსგ №ას-696-696-2018, 6.07.2018წ; №ას-1164-2023, 04 დეკემბერი, 2023 წ; №ას-671-2023, 12 სექტემბერი, 2023 წ; №ას-380-2023, 20 ივნისი, 2023 წელი. №ას-240-2023, 21 მარტი, 2023 წ. პ. 10; №ას-1142-2021, 10 ნოემბერი, 2022 წელი; №ას-1315-2020, 09.09.2021წ; №ას-764-2019, 02.03.2019წ.).

14. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა შორის დადებულია ნარდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მოსარჩელეს კონკრეტული პროექტის გარე შეფასების დასკვნა უნდა მოემზადებინა. აღსანიშნავია, რომ დასახელებული დასკვნა საქმეში წარდგენილი არ არის. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 6 000 ლარს.

15. ხელშეკრულების დანართის მიხედვით, საბოლოო ანგარიშის წარდგენის ვადად განისაზღვრა 2023 წლის 11-15 დეკემბერი, ამასთან სამუშაო ვერსიის წარდგენის ვადა 14 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე იყო განსაზღვრული, ხოლო სამუშაო ვერსიის კომენტარებისთვის 4-8 დეკემბერი განისაზღვრა. პირველი ტრანშის გადახდის ვადად მიეთითა 16 ოქტომბერი, მეორე ტრანში – 13 ნოემბერი, ხოლო მესამე ტრანში – 11-15 დეკემბერი.

16. მხარეთა შორის 2023 წლის 16 ოქტომბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც მითითებულია, რომ 2023 წლის 28 სექტემბერს დადებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში შემსრულებელმა წარუდგინა დამკვეთს პროექტის გარე შეფასებისთვის კვლევის გეგმა და მეთოდები. მომსახურების ღირებულება, 1 200 ლარი ჩაერიცხა შემსრულებელს.

17. მეორე შუალედური მიღება-ჩაბარება მხარეთა შორის გაფორ-

მდა 2023 წლის 14 ნოემბერს. მასში მითითებულია, რომ განხორციელდა პროექტის გარე შეფასებისთვის კვლევის პირველადი მონაცემების გაზიარება პროექტის გუნდთან. მომსახურების ღირებულება – 1 800 ლარის ოდენობით შემკვეთმა აანაზღაურა.

18. 2023 წლის 17 დეკემბერს მხარეთა შორის დაიდო საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც მითითებულია პროექტის გარე შეფასებისთვის საბოლოო ტექსტის წარდგენა. მომსახურების დარჩენილი ღირებულება შეადგენდა 3 000 ლარს, თუმცა ის შემკვეთს შემსრულებლისთვის არ გადაუხდია.

19. მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის (14 ნოემბერი – 1 დეკემბერი) ნაცვლად პირველი სამუშაო ვერსია შემკვეთს წარედგინა 2023 წლის 17 დეკემბერს.

20. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 629-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი მიღწევადი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მენარდე მიუთითებს და დაამტკიცებს, რომ მან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო შეასრულა ჯეროვნად. წარდობის ურთიერთობაში ფაქტობრივად მისაღწევი შედეგია ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთის/ნაკეთობის (შესრულებული სამუშაოს) შემკვეთისათვის წარდგენა (იხ. სსკ-ის 639-ე მუხლი). (იხ. სუსგები: №ას-664-2021, 23.02.2023წ.; №ას-1411-2022, 22.05.2023წ.; №ას-601-2023, 24.07.2023წ.; №ას-671-2023, 12.09.2023წ.; №ას-841-2023, 29.09.2023წ.; №ას-1296-2022, 5.10.2023წ.; №ას-866-2023, 13.10.2023წ.; №ას-463-2024, 5.07.2024წ.; №ას-408-2024, 5.07.2024წ.; №ას-527-2024, 5.07.2024წ.; №ას-1066-2023, 26.07.2024წ.; №ას-602-2024, 2.10.2024წ.; №ას-1020-2024, 3.10.2024წ.; №ას-1210-2024, 8.11.2024წ.).

21. მოცემული დავის ფარგლებში, საკასაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, თუ რა არსებით პირობებზე შეთანხმდნენ შემკვეთი და მენარდე (სსკ-ის 319-ე, 327-ე მუხლები) და ვის რა ვალდებულება ეკისრებოდა.

22. განსახილველ შემთხვევაში უდავოა, რომ მხარეები ხელშეკრულებით შეთანხმდნენ როგორც შესასრულებელ სამუშაოზე (დეტალურად განერეს დანართში), ასევე მისი ანაზღაურების წესზე და ვადებზე. კერძოდ, შემკვეთს სამ ეტაპად უნდა გადაეხადა შესრულებული სამუშაოს ღირებულება. აქედან მესამე ეტაპის გადახდა უნდა განხორციელებულიყო მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში. ამასთან, საბოლოო ანგარიშსწორება დაკავშირებული იყო საბოლოო ფორმით კვლევის წარდგენასთან. მხოლოდ ის გარემოება, რომ მხარეთა შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, მოპასუხეს არ წარმოუშობს საფასურის გადახდის ვალდებულებას.

23. სსკ-ის 639-ე მუხლის თანახმად, თუ მომსახურება მოიცავს რაი-

მე ნაკეთობის დამზადებას, მაშინ მენარდემ უნდა წარუდგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა. ამავე კოდექსის 641-ე მუხლში კი მითითებულია, თუ რა იგულისხმება ნივთობრივ ნაკლში. კერძოდ, ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს. ხოლო თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოდ მიიჩნევა, თუკი ის ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ მენარდე დაამზადებს შეკვეთილისაგან განსხვავებულ ან უფრო ნაკლები რაოდენობის ნაკეთობას.

24. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნაკლიანი შესრულებისას შესაძლებელია შემკვეთმა დამატებითი შესრულება მოითხოვოს, ასევე, დამატებითი შესრულებისთვის მის მიერ განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლისას, კანონმდებელი ადგენს შესაძლებლობას შემკვეთმა თვითონ აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს განეული ხარჯების ანაზღაურება (სსკ-ის 643-ე მუხლი), ამასთან, ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს ასევე უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე (სსკ-ის 644-ე მუხლი). თუკი შემკვეთი, არც ხელშეკრულების დამატებით შესრულებას მიიღებს საამისოდ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ და არც უარს განაცხადებს ხელშეკრულებაზე, მას შეუძლია შეამციროს საზღაური იმ თანხით, რა თანხითაც ნაკლი ამცირებს ნაკეთობის ღირებულებას (სსკ-ის 645-ე მუხლი).

25. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 642-ე მუხლის თანახმად, დამატებითი შესრულება მეორად მოთხოვნათა შორის უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნაა. იგი მენარდისათვის (მოვალისათვის) დამატებითი შანსია „გადაარჩინოს“ ხელშეკრულება და დააკმაყოფილოს შესრულების ინტერესი. (იხ. დამატებით: ზ. ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულება – თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2016 წ., გვ. 343). ამ მოთხოვნის გამოყენების უპირატესობა განპირობებულია უშუალოდ ხელშეკრულების მხარეთა ინტერესებით. კერძოდ, მენარდე და შემკვეთი ნარდობის ხელშეკრულებას შესრულების მიღების და არა მეორადი მოთხოვნების რეალიზების მიზნით დებენ. ნივთის ნაკლის გამოსწორება ან მისი ახლით შეცვლა განხილულ უნდა იქნეს დამატებითი შესრულების მოთხოვნად, რომელიც პრიორიტეტული, უპირატესად გამოსაყენებელია სხვა დანარჩენ მეორადი მოთხოვნის უფლებებს შორის. კერძოდ, სანამ მხარე ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლებას ამოქმედებდეს, ის ვალდებულია მიმართოს დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლებას იმ პირობით, თუ სახეზე არ არის დამატებითი შესრულების გამომრიცხავი საფუძვლები. აღნიშნული მოტივირებულია კონტინენტური სამართლის სისტემის კონცეპტუალური მიდგომით, რომელიც ორიენტირებულია ხელშეკრულების შესრულე-

ბაზე, მოწოდებულია გადაარჩინოს შეთანხმება და უზრუნველყოს მხარეთა ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესის განხორციელება თვით მეორადი მოთხოვნის უფლებების სამართლებრივ რეჟიმში.

26. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დამატებითი შესრულების მოთხოვნა გამოორიცხავს სხვა მეორად მოთხოვნას. ამ დროს ადგილი აქვს ე.წ. „მოთხოვნათა გამომრიცხავ“ კონკურენციას. მოთხოვნათა გამომრიცხავი კონკურენცია სახეზეა, როდესაც ერთი და იმავე ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად რამდენიმე მოთხოვნა არსებობს, თუმცა ერთი მოთხოვნის განხორციელება უპირატესია. უპირატესობა ვლინდება ერთი მოთხოვნის განხორციელების ვალდებულებაში სხვა ნებისმიერთან მიმართებით. სანამ არ განხორციელდება ეს მოთხოვნა, უფლებამოსილი პირი ვერ გამოიყენებს სხვა მოთხოვნებს. ნარდობის ხელშეკრულებაში დამატებითი შესრულების მოთხოვნა სხვა მეორად მოთხოვნებთან მიმართებაში, როგორც წესი, უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნაა და გამოორიცხავს სხვა მეორად მოთხოვნებს. ნაკლიანი შესრულების შემთხვევაში, დამატებითი შესრულების მოთხოვნის უპირატესი გამოყენება, უდავოდ გამომდინარეობს სკ-ის 642-ე და 405-ე მუხლების დანაწესებიდან. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გაივლის, შემკვეთს ეძლევა შესაძლებლობა განახორციელოს სხვა მეორადი მოთხოვნები, როგორცაა ხელშეკრულებიდან გასვლა, საზღაურის შემცირება თუ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება. დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება შემკვეთს ანიჭებს შესაძლებლობას, უარი განაცხადოს თავისი ვალდებულების შესრულებაზე – სამუშაოს შედეგის მიღებასა და შეთანხმებული საზღაურის გადახდაზე, რაც არ გამოიწვევს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებას. ნარდობასთან მიმართებით, შემკვეთის დამატებითი შესრულების მოთხოვნა მენარდის მიმართ ვლინდება ან ნაკლის გამოსწორების, ან ნაკლიანი ნაკეთობის უნაკლო შეცვლის მოთხოვნით. მათი სამართლებრივი შედეგი იდენტურია – შემკვეთი ღებულობს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთს ანუ ნარდობის ხელშეკრულების შესაბამის შესრულებას. ამ გზით ხელშეკრულების მიზანი, თუმცა დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის რეალიზების შემდეგ, მაგრამ მაინც მიღწეულია. სსკ-ის 644-ე მუხლის თანახმად, ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს შეუძლია 405-ე მუხლის მიხედვით უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში მენარდე ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები. ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში, მენარდის მიერ შემკვეთისათვის უნაკლო შესრულების გადაცემის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, შემკვეთის მეორადი მოთხოვნების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლებია სსკ-ის 642-ე-645-ე

მუხლების დანაწესები. შესაბამისად, შემკვეთს შეუძლია, პირველ ეტაპზე მოითხოვოს დამატებითი შესრულება (ნაკლის გამოსწორება ან ახალი ნაკეთობის დამზადება), ხოლო შემდეგ დამატებითი წინაპირობების არსებობისას, მას წარმოეშობა ხელშეკრულებიდან გასვლის ან საზღაურის შემცირების მოთხოვნის უფლება. გარდა ამისა, შემკვეთს შეუძლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესრულებასთან ერთად ან მისგან დამოუკიდებლად. შემკვეთის მეორადი მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლის სახით მხოლოდ სსკ-ის 644-ე მუხლზე დაყრდნობით ვერ განხორციელდება, ვინაიდან ამ ნორმაში უშუალოდ არის მითითებული სსკ-ის 405-ე მუხლის ზოგადი მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ სსკ-ის 352-ე-359-ე მუხლებს უთითებს. ეს ცხადყოფს, რომ სსკ-ის 644-ე მუხლი არ არის მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი. შესაბამისად, შემკვეთის მიერ ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი იქნება სსკ-ის 644-ე მუხლი სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლებთან ერთიერთკავშირში.

27. საკაცაციო პალატა დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ შესრულებული სამუშაოს ნაკლის გამო, შემკვეთისათვის სსკ-ის 644-ე მუხლით მინიჭებული ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, ყოველთვის განხილული უნდა იქნეს სსკ-ის 405-ე და 352-ე მუხლებთან ერთობლიობაში. სსკ-ის 405-ე მუხლი დეტალურად აწესრიგებს ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლების წარმოშობის წინაპირობებსა და გამონაკლისებს, ისევე, როგორც აღნიშნული უფლების წარმოშობის დამაბრკოლებელ გარემოებებს. სსკ-ის 644-ე მუხლი ამ შემთხვევაში, სპეციალური და ამავე დროს, ერთგვარი დამხმარე მოთხოვნის საფუძველია, რომელსაც მითითებით მოთხოვნის საფუძველს უწოდებენ, ვინაიდან იგი შემკვეთისათვის ნაკლიანი შესრულების გადაცემის შემთხვევაში სსკ-ის 405-ე მუხლზე მიუთითებს. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ, სსკ-ის 352-ე და 644-ე მუხლების წარმოშობის წინაპირობების არსებობისას წარმოშობს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის უფლებას (იხ. სუსგ №ას-1218-2023, 10.01.2024 წელი).

28. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელემ არააჯეროვნად შეასრულა ნარდობის ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება – მიანოდა ნაკლიანი სამუშაო. ამასთან, მოპასუხის მხრიდან დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება შესრულების ვადების გადანევაზე თანხმობაც, თუმცა შემსრულებელმა საბოლოოდ ვერ შეძლო იმ პროდუქტის წარდგენა, რაც შეესაბამებოდა შემკვეთის ინტერესებს. კიდევ ერთხელ დამატებითი ვადის განსაზღვრა კი არ მიიჩნია რაციონალურად, ვინაიდან შეუძლებელი იყო კვლევა, რომელსაც დასრულებული სახე ვერ მიეცა თავის ვადაში, დასრულებულიყო, შესაბამისად, მოპასუხემ უარი თქვა ნარდობის ხელშეკრულებაზე იმ მო-

ტივით, რომ მენარდემ არაჯეროვნად შეასრულა ვალდებულება და მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელების ინტერესი შემკვეთმა დაკარგა.

29. საკასაციო პალატა დამატებით მტკიცების ტვირთზე მიუთითებს და განმარტავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სადავო გარემოებების მტკიცების გარკვეულ სტანდარტს. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. დასახელებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ მათი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განმარტება მოსარჩელის პოზიციას ვერ გადანონის და მხარისათვის არახელსაყრელ მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს. ამდენად, საპროცესო ნორმა განსაზღვრავს იმ მტკიცებულებათა ნუსხას, რომლებიც მხარეებს შეუძლიათ, თავიანთი მოთხოვნების დასადასტურებლად გამოიყენონ. ჩამოთვლილ მტკიცებულებათაგან არცერთს არ აქვს უპირატესი იურიდიული მნიშვნელობა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ სრულ და ობიექტურ განხილვას, შედეგად, სასამართლოს გამოაქვს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ დასკვნა, სსსკ-ის 105-ე მუხ-

ლის თანახმად.

30. პალატა აღნიშნავს, რომ ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაკლიანი შესრულების დადასტურების ტვირთი შემკვეთს ეკისრება (შდრ. სუსგ.-ები საქმეებზე: №ას-1324-2019, 12.03.2021წ.; №ას-58-2020, 11.03.2020წ.).

31. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო, გასაჩივრებული გადანყვეტილების შეფასებისა და დასკვნების საპირისპიროდ იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ მენარდემ ნაკლიანი ნაშრომი მიანოდა, ხოლო, ნაკლი, მიუხედავად მათ შორის კომუნიკაციისა და დამატებითი ვადის დაწესებისა, არ გამოუსწორებია.

32. ამდენად, ზემოაღნიშნული ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნარმოდგენილი საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, ხოლო, გასაჩივრებული გადანყვეტილება უნდა გაუქმდეს და სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

33. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადანყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 411-ე, 264.3 მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ააიპ „ქ.ფ.ს-ში“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 13 მარტის გადანყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადანყვეტილება;
3. თ.ჭ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. თ.ჭ-ას ააიპ „ქ.ფ.ს-ში“ სასარგებლოდ დაეკისროს, ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 ლარი;
5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მენარდის პასუხიგზავლობა შიგნითის ქონების
დაზიანებისას**

**განმარტება
საქართველოს სახალმით**

№ას-1041-2024

5 მარტი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: გ. უბილავა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
ვ. კაკაბაძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2016 წლის 4 ოქტომბერს სს „თ-ესს“ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „მიმწოდებელი“, „მოსარჩელე კომპანია“) და შპს „ჯ-ს“ (შემდგომში – „მოპასუხე“, „კლიენტი“, „სასტუმრო“, „კასატორი“) შორის დაიდო რეცხვისა და წმენდის ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება“), რომლის თანახმად დგინდება, რომ ქ. თბილისში, ... მდებარე სასტუმრო ა. ეკუთვნის კლიენტს, რომელიც ასევე მართავს მას და სურს მიიღოს მიმწოდებლისაგან პირველი კლასის წმენდისა და რეცხვის მომსახურება სასტუმროს სტანდარტების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების

2.1. 1.1. პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი კლიენტს მიანოდებს წმენდისა და რეცხვის მომსახურებას სასტუმროში („მომსახურება“) დანართი №1-ში განსაზღვრული სპეციფიკაციების შესაბამისად;

2.2. 1.2. პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი მომსახურების განვებისა გამოიყენებს ადეკვატური რაოდენობისა და შესაბამისად მომზადებულ და კვალიფიცირებულ თანამშრომლებს, რომლებიც იქნებიან შესაბამისი ზედამხედველობის ქვეშ;

2.3. 1.3. პუნქტის თანახმად, მომსახურება მოიცავს შემდეგს: მიმწოდებელი წამოიღებს სარეცხს, მათ შორის დანართ №1-ში მითითებულ ნივთებს, გაასუფთავებს, გააშრობს და გააუთოვებს და დააბრუნებს სასტუმროში სანიტარულ პაკეტებში შეფუთულს. სარეცხის თითოეული ნივთი უნდა გაერთიანდეს 10 ნივთიან პაკეტში (თეთრეულის შემთხვევაში), ხოლო ცალკეულ პაკეტში უნიფორმისა და სტუმრის სარეცხის შეფუთვას. მომსახურება გაინევა შვიდდღიან სამუშაო კვირის

საფუძველზე. მიმწოდებელი გასცემს გარანტიას მომსახურების შეუ-
დარებელ ხარისხზე, რომელიც გაინევა სასტუმროთა საერთაშორისო
ინდუსტრიაში არსებული უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად;

2.4. 1.3.1. პუნქტის თანახმად, მხარეები ადასტურებენ და თანხმდე-
ბიან, რომ ეს ხელშეკრულება არ წარმოადგენს მომსახურების ექსკლუ-
ზიურ ხელშეკრულებას და მიმწოდებელი არ იძენს ამ კუთხით რაიმე
ექსკლუზიურ უფლებას;

2.5. მე-2 პუნქტის თანახმად, მომსახურება, რომელიც არ არის გათ-
ვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში ან/და მის დანართებში, შესრულ-
დება მიმწოდებლის მიერ მხოლოდ კლიენტის პირდაპირი წერილობითი
მოთხოვნის შემთხვევაში, ნებისმიერი დამატებითი ხარჯი დამატები-
თი მომსახურებისათვის წინასწარ წერილობით შეთანხმდება მხარეებს
შორის ასეთი მომსახურების განევაამდე;

2.6. მე-4 პუნქტის თანახმად, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების
საფუძველზე განეული მომსახურებისათვის კლიენტი მიმწოდებელს
სარეცხის თითოეული ნივთისთვის გადაუხდის ფასს, რომელიც მითი-
თებულია დანართ №1-ში და განსაზღვრულია ქართულ ლარში დღგ-ს
გარეშე;

2.7. 5.1. პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი კლიენტს წარუდგენს თვი-
ურ ინვოისს თვის დასრულებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობა-
ში სრული მომსახურების საფასურის თაობაზე, რომელიც განეული იყო
ბოლო ინვოისის გამოწერის შემდეგ;

2.8. 5.2. პუნქტის თანახმად, გადახდა მოხდება კლიენტის მიერ ინ-
ვოისის მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, ქართულ
ლარში ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშ-
ზე თანხის გადარიცხვით;

2.9. 5.4. პუნქტის თანახმად, თუ კლიენტი დააგვიანებს მომსახურე-
ბის საფასურის გადახდას, მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს
ჯარიმის გადახდა მომსახურების საფასურის უდავო ნაწილის 0.1%-ის
ოდენობით ყოველი დაგვიანებული დღისათვის;

2.10. 7.1. პუნქტის თანახმად, სარეცხის რომელიმე ნივთის მიმწო-
დებლის მიერ დაკარგვის შემთხვევაში, კლიენტი შეატყობინებს მიმ-
წოდებელს დანაკარგის/ზიანის ზომისა და მოცულობის შესახებ. მიმ-
წოდებელმა უნდა დაადასტუროს და გადაამოწმოს დანაკარგი და აუ-
ნაზღაუროს კლიენტს ან ჩაანაცვლოს ასეთი დანაკარგის სრული მო-
ცულობა არა უმეტეს 10 დღის განმავლობაში ასეთი დანაკარგის აღმო-
ჩენის თარიღიდან;

2.11. 7.2. პუნქტის თანახმად, არადაამაკმაყოფილებელი ხარისხის
შემთხვევაში, ანუ როდესაც მიმწოდებლის მიერ კლიენტისათვის მი-
წოდებული სარეცხი არ შეესაბამება ინდუსტრიის სტანდარტებს, კლი-

ენტი არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში შეატყობინებს მიმწოდებელს ასეთი ნივთების რაოდენობის შესახებ და გამოქვითავს მათ ფასს თვიური ინვოისიდან თუ მომსახურება არადაამაკმაყოფილებელი ხარისხით მიენოდება კლიენტს ხუთზე მეტ შემთხვევაში ამ ხელშეკრულების ვადის განმავლობაში კლიენტს აქვს უფლება ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება 2 კვირით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

2.12. 10.4 პუნქტის თანახმად, კლიენტი (ან მისი რომელიმე უფლებამოსილი თანამშრომელი) იღებს მიწოდებულ სარეცხს ან უარს ამბობს მის მიღებაზე საკუთარი გონივრული დისკრეციის ფარგლებში იმ საფუძველით, რომ სარეცხი (სრულად ან ნაწილობრივ) არ არის შესაბამისი ხარისხის ან/და არ შეესაბამება კლიენტის მიერ მიმწოდებლისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს;

2.13. 10.5 პუნქტის თანახმად, ნებისმიერი მიწოდებული სარეცხი, რომლის მიღებაზეც უარს იტყვის კლიენტი, უნდა ჩანაცვლდეს მიმწოდებლის მიერ (კლიენტისათვის ზედმეტი ხარჯის გარეშე) იმ ხარისხის სარეცხით, რომელიც შეესაბამება კლიენტის მოლოდინს, ამასთან სარეცხის ფასი გამოაკლდება შესაბამისი თვის ინვოისს, როგორც განსაზღვრულია ხელშეკრულების 7.2. მუხლში;

3. 2022 წლის მაისის, ივნისის, ივლისის და აგვისტოს თვეებში მიმწოდებელმა კლიენტს გაუწია სამრეცხაო მომსახურება, რაზედაც გაინერა საგადასახადო ანგარიშვაქტურები. ზემოაღნიშნული ანგარიშვაქტურები საერთო ჯამში – ღირებულებით 14 079.75 ლარი დაადასტურა მოპასუხემ. კერძოდ, საგადასახადო ანგარიშვაქტურით ეა-75 189 2397 გადასახდელი იყო 3 303 ლარი 16.06.2022წ. ვადაგადაცილება შეადგენს 182 დღეს, პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე – 3.30 ლარს, ჯამში შეადგენს – 600.60 ლარს. საგადასახადო ანგარიშვაქტურით ეა-75 4128189 გადასახდელი იყო 4522.15 ლარი 16.07.2022წ. ვადაგადაცილება შეადგენს 152 დღეს, პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე – 4.52 ლარს, ჯამში შეადგენს – 687.04 ლარს. საგადასახადო ანგარიშვაქტურით ეა-75 6673789 გადასახდელი იყო 5587.55 ლარი 19.08.2022წ. ვადაგადაცილება შეადგენს 118 დღეს, პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე – 5.79 ლარს, ჯამში შეადგენს – 683.22 ლარს. საგადასახადო ანგარიშვაქტურით ეა-75 858363 გადასახდელი იყო 466.95 ლარი 16.09.2022წ. ვადაგადაცილება შეადგენს – 89 დღეს, პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე – 0.47 ლარს, ჯამში შეადგენს – 41.83 ლარს.

4. ხელშეკრულების 5.2. პუნქტის შესაბამისად, მოპასუხის მხრიდან არ მომხდარა ანგარიშსწორება 10 სამუშაო დღის ვადაში, რის გამოც მოსარჩელის მხრიდან მოხდა პირგასამტეხლოს დარიცხვა საერთო ჯამ-

ში – 2 012.69 ლარის ოდენობით.

5. 2022 წლის 12 ივლისს მიმწოდებელი კომპანიის დირექტორმა წერილით მიმართა კლიენტს სადაც აღნიშნულია, რომ „სამრეცხაო ვალდებულია ნივთის დაზიანების შემთხვევაში, განახორციელოს ანაზღაურება რეცხვის ღირებულების ათმაგი ოდენობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, სვიტერის რეცხვის ღირებულება შეადგენს 16 ლარს, შესაბამისად, ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 160 ლარს. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი თქვენი მხრიდან ასანაზღაურებელ თანხად განისაზღვრა 4 500 ევრო ექვივალენტით ლარში, რაც ძალიან დიდი თანხაა იმის გათვალისწინებით, რომ სვიტერი არ იყო ახალი და შესაბამისად არ უნდა მოხდეს მისი ანაზღაურება ახლის მდგომარეობით და, ასევე, ბაზარზე არსებული საკომპენსაციო პოლიტიკის გათვალისწინებით. თქვენს სამრეცხაოს ქვითარზე მითითებულია ანაზღაურება რეცხვის თანხის ხუთმაგი ოდენობით, რომელიც გადაეცემა სტუმარს. ასევე მოგახსენებთ, რომ ყოველთვიური მისაღები შემოსავალი თქვენი სასტუმროდან არის მცირე და აღნიშნული თანხის დაფარვა სამრეცხაოს მხრიდან გულისხმობს ფაქტობრივად თვეობით უფასო მომსახურებას. ამიტომ, მოგმართავთ თხოვნით, რომ გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოაღნიშნული და შევჯერდეთ გონივრულ თანხაზე, რომელიც ჩვენი მხრიდან განისაზღვრება 3 000 ლარის ოდენობით. ეს თანხა გამომდინარეობს მხოლოდ იმ თანამშრომლობიდან, რომელიც თქვენს სასტუმროსთან გვაკავშირებს, სხვა შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ საკომპენსაციო თანხა განისაზღვრება რეცხვის ღირებულების ხუთმაგი ან ათმაგი ოდენობით“.

6. 2022 წლის 18 ივლისს კლიენტმა მიმწოდებელს აცნობა, რომ როგორც თქვენთვის ცნობილია მოხდა სასტუმროს სტუმრის კუთვნილი ნივთის (სვიტერი) სრულად დაზიანება და კლიენტი იძულებული გახდა სტუმრისათვის აენაზღაურებინა დაზიანებული ნივთის ღირებულება, რომელმაც შეადგინა 4 500 ევროს ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში. ამდენად, სამრეცხაო კომპანიის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით კლიენტისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა შეადგენს 4 500 ევროს ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში. მითითებული ზიანის ოდენობა დადასტურებულია თქვენი 12.07.2022 წლის წერილითაც, სადაც მიმწოდებელი აღიარებს ზიანის ოდენობას, მაგრამ მისი ოდენობიდან გამომდინარე, ითხოვდით, ასანაზღაურებელი თანხა მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულიყო შედარებით ნაკლები თანხით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ამ დრომდე არ მომხდარა სახელშეკრულებო ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება იძულებულნი ვართ მიყენებული ზიანი ნაწილობრივ გავკვეითოთ ჩვენს შორის 2016 წლის 4 ოქტომბერს დადებუ-

ლი ხელშეკრულების საფუძველზე განეული მომსახურების ღირებულებიდან, რითაც ნაწილობრივ მოხდება მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

7. 2022 წლის 5 აგვისტოს წერილით მიმწოდებელმა არ აღიარა ნივთის დაზიანების ფაქტი, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ იქნებოდა მიწოდებული ნივთის დაზიანების შესახებ მტკიცებულებები (ფოტო/ვიდეომასალა), გამოთქვა მზადყოფნა აენაზღაურებინა ქიმწმენდის საფასურის ხუთმაგი ოდენობა, ამასთან მოითხოვა მომსახურების საფასურის გადაუხდელი დავალიანების ანაზღაურება. ამავე წერილით კლიენტმა სამრეცხაო კომპანიას აცნობა, რომ 2022 წლის 6 აგვისტოდან წყვეტდა მათთან მომსახურების ხელშეკრულებას.

8. სასტუმროს ინვოისის თანახმად დადგენილია, რომ სტუმარს, რომლის კუთვნილი ნივთი დაზიანდა უნდა გადაეხადა 111 009.76 ლარი, მაგრამ გადაიხადა 97 967.55 ლარი, ვინაიდან, სასტუმრომ აუნაზღაურა სხვაობა – დაზიანებული ნივთის ღირებულება 13 042.21 ლარის ოდენობით.

9. სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 16 თებერვლის ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, რომ გამოსაკვლევად წარდგენილ მონიტალო-მოყავისფრო ფერის ჟაკეტზე (განცხადებით სვიტერი), წინა მარჯვენა და მარცხენა კალთაზე – საყელოს ქვედა არეში; კისრის უკანა ზედაპირზე – მარჯვნივ; მარცხენა და მარჯვენა გვერდით ვერტიკალურ ნაკერებთან, არსებული დაზიანებები მექანიკური ხასიათისაა და განვითარებულია ხევიტ.

10. „ლორო პიანას“ ვებ გვერდიდან ამონარიდის თანახმად ირკვევა, რომ სვიტერის – „Loro Piana, Zip Bomber, The Gift of Kings“ ფასი არის 4300 აშშ დოლარი, ხოლო DHL-ით არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან (დუბაი) საქართველოში ყველაზე მცირე გზავნილის (1 კგ-მდე) ტრანსპორტირების ფასი შეადგენს 747.99 დრაჰმს (200 აშშ დოლარს).

11. მიმწოდებელმა სარჩელი აღძრა სასამართლოში კლიენტის მიმართ სამრეცხაო მომსახურების საფასურის 14 079.75 ლარის, ასევე, პირგასამტეხლოს 2 012.69 ლარის დაკისრების თაობაზე.

12. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და დამატებით წარადგინა შეგებებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა შეგებებული სარჩელით მოპასუხეს დაკისრებოდა ზიანის ანაზღაურება – 13 042.21 ლარის ოდენობით. შეგებებული სარჩელის ავტორის განმარტებით, ხელშეკრულების ფარგლებში, მოსარჩელემ რეცხვის დროს სრულად დააზიანა მოპასუხე კომპანიის სტუმრის, თ. ა-აძის კუთვნილი ნივთი, კერძოდ, სვიტერი – „Loro Piana, Zip Bomber, The Gift of Kings“. სასტუმრომ დაზიანებული ნივთის ღირებულება, რომელმაც შეადგინა

13 042.21 ლარი, სრულად აუნაზღაურა სტუმარს.

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით როგორც სარჩელი, ისე შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა.

14. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ, ხოლო მოპასუხემ წარადგინა შეგებებული სააპელაციო საჩივარი.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი და შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 8 627 ლარის გადახდა.

16. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-10 პუნქტებში მითითებული გარემოებები.

17. სააპელაციო პალატის მითითებით, სასამართლო ვერ გაიზიარებს მიმწოდებლის განმარტებას, რომ მას ბრალი არ მიუძღვის ნივთის დაზიანებაში და შეგებებული სარჩელით მოსარჩელეს იმ მდგომარეობაში დაუბრუნა ნივთი რა მდგომარეობაშიც გადაეცა ქიმწმენდამდე. 2022 წლის 12 ივლისის წერილის თანახმად, მიმწოდებელი კომპანიის დირექტორმა ფაქტიურად დაადასტურა მის მიერ ზიანის მიყენების ფაქტი, თუმცა ითხოვა მისი შემცირება 3 000 ლარამდე, რაზედაც მხარეთა შეთანხმება ვერ მოხდა. გარდა აღნიშნულისა სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 16 თებერვლის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად დგინდება, რომ არსებული დაზიანებები მექანიკური ხასიათისაა და განვითარებულია ხევიით. ამასთან, უდავოდ დადგენილია, რომ მიმწოდებლის მხრიდან განხორციელდა ნივთის წმენდა.

18. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა სამრეცხაო კომპანიის განმარტება, რომლის თანახმად, საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დგინდება მოწინააღმდეგე მხარის მიერ თითქოს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფაქტი და მიუთითა სასტუმროს ინვოისზე. ინვოისით დგინდება, რომ სტუმარს, რომლის კუთვნილი ნივთი დაზიანდა, სასტუმროსათვის უნდა გადაეხადა 1 11 009.76 ლარი, მაგრამ გადაუხადა 97 967.55 ლარი, ვინაიდან სასტუმრომ აუნაზღაურა სხვაობა – დაზიანებული ნივთის ღირებულება 13 042.21 ლარის ოდენობით. ამდენად, აღნიშნული მტკიცებულებით დასტურდება მოპასუხის მიერ სტუმრისათვის ზიანის ანაზღაურების ფაქტი.

19. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემ-

თხვევაში, მოსარჩელემ შეგებებულ სარჩელში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლების შესაბამისად, წარადგინა მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, მის მიერ სტუმრისათვის ზიანის ანაზღაურება, ხოლო აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულება შეგებებული სარჩელით მოპასუხეს არ წარუდგენია.

20. სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 409-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ საქმეში წარდგენილი „ლორო პიანას“ ვებ. გვერდიდან ამონარიდის თანახმად ირკვევა, რომ სვიტერის – „Loro Piana, Zip Bomber, The Gift of Kings“ ფასი არის 4 300 აშშ დოლარი, ხოლო DHL-ით არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან (დუბაი) საქართველოში ყველაზე მცირე გზავნილის (1 კგ-მდე) ტრანსპორტირების ფასი შეადგენს 747.99 დრამს (200 აშშ დოლარს). ამდენად, მიყენებული ზიანის ოდენობა შეადგენს – 13 042.21 ლარს. აღნიშნული მტკიცებულების საპირისპიროდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, მოპასუხეს (შეგებებულ სარჩელში) არ წარუდგენია ალტერნატიული გაანგარიშება ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა დაზიანებული ნივთის ღირებულების ოდენობას.

21. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მიმწოდებლის მიერ კლიენტისათვის მიყენებული ზიანის ღირებულება შეადგენს – 13 042.21 ლარს. ამასთან, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-11 მუხლის (ხარისხი სტანდარტი) თანახმად, მიმწოდებელი გარანტიას აძლევს კლიენტს, რომ მომსახურებას გასწევს კარგი და შესაბამისი წესით, გამოიჩინოს გონივრულ წინდახედულობას და იმოქმედებს ინდუსტრიის სტანდარტებისა და მოქმედი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად. ამასთან, მომსახურებას გასწევს უსაფრთხოების მაქსიმალური უზრუნველყოფით და დაემორჩილება ინდუსტრიის უმაღლეს სტანდარტებს ხარისხის კუთხით. ხელშეკრულების მე-7 მუხლის თანახმად, თუ კლიენტისათვის მიწოდებული სარეცხი არ შეესაბამება ინდუსტრიის სტანდარტებს ან/და არსებობს დანაკარგი/ზიანი, მიმწოდებელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, ხოლო კლიენტი უფლებამოსილია გამოქვითოს შესაბამისი ფასი თვითონ ინვოისიდან. ხელშეკრულების 7.2. პუნქტის თანახმად, არადაამაკმაყოფილებელი ხარისხის შემთხვევაში, ანუ როდესაც მიმწოდებლის მიერ კლიენტისათვის მიწოდებული სარეცხი არ შეესაბამება ინდუსტრიის სტანდარტებს, კლიენტი არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში შეატყობინებს მიმწოდებელს ასეთი ნივთების რაოდენობის შესახებ და გამოქვითავს მათ ფასს თვითონ ინვოისიდან თუ მომსახურება არადაამაკმაყოფილებელი ხარისხით მიენოდე-

ბა კლიენტს ხუთზე მეტ შემთხვევაში ამ ხელშეკრულების ვადის განმავლობაში კლიენტს აქვს უფლება ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება 2 კვირით ადრე გაგ ზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ამდენად, ხელშეკრულების მე-7 მუხლის თანახმად თუ კლიენტისათვის მიწოდებული სარეცხი არ შეესაბამება ინდუსტრიის სტანდარტებს ან/და არსებობს დანაკარგი/ზიანი, მიმწოდებელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, ხოლო კლიენტი უფლებამოსილია გამოქვითოს შესაბამისი ფასი თვიური ინვოისიდან.

22. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა შერეული ბრალი, რამდენადაც შეგებებული სარჩელით მოსარჩელეს ძვირადღირებული ნივთის თაობაზე გაფრთხილებით, შეეძლო თავიდან აერიდებინა საფრთხე, ხოლო მოპასუხეს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში უნდა მოეხდინა გადაცემული ნივთის წმენდა. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ მხარეთა პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევაში უნდა განისაზღვროს 50-50%-ით. აღნიშნულის შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ სს „თ-ესის“ მიერ შპს „ჯ-ისათვის“ მიყენებული ზიანის ოდენობა უნდა განისაზღვროს 6 521.10 ლარით, რაც შეგებებული სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველია.

23. განუვლი მომსახურების საფასურისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხის მიმართ შესრულებულია მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, მის მიერ ჯეროვნად შესრულებულია ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაო 2022 წლის მაისის, ივნისის, ივლისის და აგვისტოს თვეებში. ამასთან, აღნიშნულის მიუხედავად, მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის არ არის ანაზღაურებული შესრულებული სამუშაოს ღირებულება, რაც ძირითადი დავალიანების და პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველია.

24. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დავის ფარგლებში წარმოშობილია გაქვითვადი ურთიერთმოთხოვნები, შესაბამისად, კლიენტს მიმწოდებლისათვის უნდა დაეკისროს დავალიანების არა ძირითადი თანხა – 14 079.75 ლარი, არამედ 7 558.65 (14 079.75-6 521.10) ლარი.

25. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ რამდენადაც ძირითადი სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შესაბამისად, არ არსებობდა მოთხოვნილი პირგასამტეხლოს სრული ოდენობით დაკისრების საფუძველი. შესაბამისად, 7 558.65 ლარის პროპორციულად კლიენტს მიმწოდებლის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს – 1 068.35 ლარის ოდენობით გადახდა. აღნიშნულის შესაბამისად, მოპასუხისათვის დასაკისრებელი თანხა 8 627 ლარით უნდა განისაზღვროს, რაც სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველია.

26. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხემ წარადგინა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება.

27. საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ ძირითად პრეტენზიებს:

27.1. არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება შერეულ ბრალთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში, ცალსახაა, რომ ზიანი ერთმნიშვნელოვნად მოსარჩელის მიერ ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებამ გამოიწვია, კერძოდ, მხარეთა შორის არსებული ნარდობის ხელშეკრულების თანახმად, მოწინააღმდეგე მხარე ვალდებული იყო, ტანსაცმლის რეცხვა/წმენდა შესრულებინა გონივრული წინდახედულებისა და ინდუსტრიის სტანდარტების შესაბამისად, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ კი, წმენდის პროცესში სრულიად გაანადგურა ნივთი. თავის მხრივ, კასატორს არ ჰქონდა არანაირი ვალდებულება, წინასწარ გაეფრთხილებინა მოწინააღმდეგე მხარე გასაწმენდად გადაცემული ნივთის „ძვირადღირებულების“ თაობაზე, გონივრული წინდახედულებისა და ინდუსტრიის სტანდარტები ზუსტად იმას მოიაზრებს, რომ ყოველი ნივთი (განურჩევლად სახეობისა და ფასისა) უნდა გაირეცხოს/გაწმენდოს შესაბამისი ქსოვილის მახასიათებლების შესაბამისად, რომ არასწორად რეცხვა/წმენდამ არ გამოიწვიოს ნივთის დაზიანება;

27.2. შეგებებული სარჩელით მოპასუხე კომპანია წარმოადგენდა ამ სფეროში გამოცდილ ობიექტს (განსხვავებით კასატორისგან) და იგი იღებდა ყველანაირ პასუხისმგებლობას, გადაცემული ნივთი ინდუსტრიის სტანდარტების შესაბამისად გაერეცხა, გაეწმენდა და შეერჩია შესაბამისი რეცხვის/წმენდის მეთოდი, თუნდაც გაერჩია „ძვირადღირებული“ ქსოვილის ნაწარმი ჩვეულებრივი ქსოვილის ნაწარმისგან, რაც მხარეთა შორის, 2016 წლის 4 ოქტომბრის მომსახურების ხელშეკრულების დადების მიზანს წარმოადგენდა. ამასთან, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოწინააღმდეგე მხარისათვის იმთავითვე სავარაუდო იყო, რომ მისთვის გადაცემული ნივთის განადგურების შემთხვევაში, სრულად იქნებოდა პასუხისმგებელი ნივთის ღირებულების ანაზღაურებაზე;

27.3. იმის გარდა, რომ სასამართლოს თავისი ინიციატივით არ შეეძლო მიეთითებინა ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე, ამასთანავე, მან არასწორად განმარტა სკ-ის 415-ე მუხლი და საერთოდ არ იმსჯელა იმ აუცილებელ ელემენტებზე, რაც შერეული ბრალის დადგენის მიზნებისთვის იყო აუცილებელი. გასაჩივრებული გადაწყვეტილება განსხვავდება საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკისაგან;

27.4. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩავთვლით, რომ სახეზეა შერეული

ბრალი, პასუხისმგებლობის ოდენობა თანაბარწილად არ უნდა იქნეს განსაზღვრული. ასეთ დროს, სასამართლო ვალდებულია, დაადგინოს, რომელ მხარეს რა მოცულობით ეკისრება მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობა და მისი ანაზღაურების ოდენობაც აღნიშნული მოცულობის პროპორციულად განსაზღვროს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება მხარეთა ბრალეულობის ხარისხით უფრო მეტად თუ რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული.

28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 5 აგვისტოს განჩინებით შპს „ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნეს წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 13 ნოემბრის განჩინებით შპს „ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

30. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

31. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

32. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დამებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

33. საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილი]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადანყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები [სსსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილი].

34. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში, უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემომწმებაც სასამართლოს ვალდებულია და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი ნაწილის დასაბუთების (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ: №ას-1172-2021, 10 ივნისი, 2022, პ.14).

35. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველზე ერთობლიობაში აფუნდებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადანყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38) კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციე-

ლების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჟანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42).

36. საქართველოს უზენაესი სასამართლო უპირველესად აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის წარმოშობილია წარდობის სამართალურთიერთობა. (სსკ-ის 629-ე, 648-ე, 650-ე მუხლები). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ წარდობა ორმხრივი და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა (იხ. სუსგ-ები: №ას-1142-2021, 2022 წლის 10 ნოემბერი; №ას-1315-2020, 2021 წლის 9 სექტემბერი; №ას-764-2019, 2019 წლის 2 მარტი).

37. საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივრის ფარგლებში, მოთხოვნილია შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, კერძოდ, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო, მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რომელიც 4 500 ევროს შეადგენს. კასატორის მითითებით, საქმის მასალებით დასტურდება, რომ სამრეცხაო კომპანიამ დააზიანა მისთვის გადაცემული სტუმრის ნივთი, სასტუმრომ კი დაზიანებული ნივთის ღირებულება, რომელმაც სწორედ 4 500 ევროს ეკვივალენტი ლარში შეადგინა, სრულად აუნაზღაურა სტუმარს. საკასაციო საჩივრის ფარგლებში, მხარე სწორედ აღნიშნული თანხის შეგებებული სარჩელით მოპასუხისათვის დაკისრებას მოითხოვს.

38. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 650-ე მუხლის თანახმად, მენარდე პასუხს აგებს შემკვეთის ქონების დაღუპვის ან დაზიანებისათვის გაუფრთხილებლობის დროსაც.

39. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ 650-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა წარდობის შინაარსის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს, რადგან კანონმდებლობა პასუხისმგებლობას აკისრებს მენარდეს შემკვეთის ქონებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ მუხლში საუბარია შემკვეთის იმ ქონებაზე, რომელიც წარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით აღმოჩნდა მენარდის მფლობელობაში, მაგალითად, შესაკეთებლად გადაცემული ნივთი, მოწყობილობები, დანადგარები, სამშენებლო მასალები, სატრანსპორტო საშუალებები, დამზადებული ნაკეთობა და ა.შ. (იხ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, ასევე, ზ. ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, გვ. 186).

40. წინამდებარე დავის ფარგლებში, სასტუმრო ზიანის ანაზღაურებას სწორედ მიმწოდებლისათვის გადაცემული ნივთის დაზიანების საფუძველზე მოითხოვს, შესაბამისად, შეგებებული სარჩელის მოთხოვნის საფუძველიანობა სსკ-ის 650-ე მუხლის მიხედვით უნდა შემოწმდეს.

41. საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ ნარდობის ხელშეკრულებით მენარდის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს უზრუნველყოს შემკვეთის ქონების დაცვა დაღუპვისა და დაზიანებისაგან. საუბარია შემკვეთის იმ ქონებაზე, რომელიც ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე აღმოჩნდება მენარდის მფლობელობაში. მენარდე მოვალეა დაიცვას შემკვეთის ქონება იმგვარად, როგორც შემნახველს ეკისრება მიბარებული ნივთების დაცვა. კერძოდ, მან უნდა განახორციელოს ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული და სხვა სახის ღონისძიებები. მენარდემ ისევე კეთილსინდისიერად უნდა შეინახოს შემკვეთის ქონება, როგორც საკუთარ ნივთს შეინახავდა (იხ. ზ. ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულება (თეორია და პრატიკა), 2016, გვ. 412).

42. საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ მენარდის ქონებრივი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებით დადგენილი საფუძველების არსებობა, რომლებიც ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებენ. მენარდე პასუხს აგებს თავისი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებისათვის. გაუფრთხილებლობა სამოქალაქო სამართალში ბრალის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. „გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ ყურადღებას“, რომელიც განისაზღვრება ობიექტური მასშტაბით და არა კონკრეტული ინდივიდის პიროვნებიდან გამომდინარე. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეს მოეთხოვება მისი პროფესიის „საშუალო წარმომადგენლისათვის“ დამახასიათებელი ჩვეული წინდახედულების დაცვა. გაუფრთხილებლად მოქმედებს პირი, რომელიც ვერ იჩინს სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელ აუცილებელ გონივრულ ყურადღებას. განზრახვისაგან განსხვავებით, გაუფრთხილებლობა ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის სურვილის გარეშე (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, 650-ე მუხლი ზ. ძლიერიშვილი).

43. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ 650-ე მუხლიდან გამომდინარე როგორც ქონების დაღუპვის ან დაზიანების ფაქტი, ასევე გან-

ცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი ეკისრება შემკვეთს, ხოლო მენარდემ კი უნდა დაამტკიცოს, რომ მას ბრალი არ მიუძღვის შემკვეთის ქონების განადგურებასა თუ დაზიანებაში (იხ. იქვე).

44. საქართველოს უზენაესი სასამართლო მიუთითებს, რომ 650-ე მუხლს მჭიდრო კავშირი აქვს სამოქალაქო სამართლის ისეთ ინსტიტუტთან, როგორც არის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას (394-ე, 408-ე-415-ე მუხლები).

45. სახელმეკრულებო ზიანის ანაზღაურების დაკისრებისთვის აუცილებელია დადასტურდეს, რომ მოვალეს ნაკისრი ჰქონდა ის ვალდებულება, რომლის დარღვევასაც ედავება კრედიტორი, ასევე სახეზე უნდა იყოს აღნიშნული ვალდებულების დარღვევა, რაც კრედიტორისთვის ზიანის მიყენების პირდაპირი და უშუალო საფუძველი გახდა.

46. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, [ქონებრივი] ზიანი არის კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სხვაობა „უნდა-ყოფილიყო“ და „არის მდგომარეობას“ შორის (სხვაობის ჰიპოთეზა). სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

47. იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მოვალის მოქმედების უშუალო შედეგს. სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, „ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.“ მეცნიერებამ მიზეზობრივი კავშირის მრავალი თეორია შეიმუშავა (აუცილებელი და შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირის თეორია; შესაძლებლობისა და სინამდვილის თეორია; ეკვივალენტურობის თეორია; უშუალო მიზეზობრივი კავშირის თეორია და ა.შ.).

48. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელმეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელმეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელმეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება (იხ. სუსგ საქმე №ას-553-2019, 19 მარტი, 2021 წელი; საქმე №ას-459-438-2015, 07 ოქტომბერი, 2015 წელი). სსკ-ის 412-ე მუხლი მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკებისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეუ-

ლებრივი პრინციპებისათვის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზიანი არის ხელშეკრულების დარღვევის ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი. ზიანის სავარაუდოობა დგინდება გონივრულობის თვალსაზრისით და არ განისაზღვრება კონკრეტული ხელშეკრულების დამრღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით. მოვალემ ზიანი ყოველთვის უნდა აანაზღაუროს, მაგრამ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში (იხ. სუსგ საქმე №ას-459-438-2015, 07 ოქტომბერი, 2015 წელი; №ას-630-593-2012, 11 ივნისი, 2012 წელი).

49. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უპირატესობას ანიჭებს უშუალო მიზეზობრივი კავშირის თეორიას, ანუ პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს ზიანისათვის, როცა მისი ქმედება ადეკვატურ კავშირშია დამდგარ შედეგთან/ზიანთან (*causa principalis sine qua non*), ანუ დამდგარი ზიანი დარღვეული ვალდებულების რეალური და მოსალოდნელი შედეგია და მისი მიზეზობრივი კავშირი ქმედებასთან ობიექტური გადმოსახედიდან დასტურდება. სავარაუდოობა სახეზეა, თუ შედეგის დაშვება შეგნებული მოვალის პერსპექტივიდან ობიექტურად შესაძლებელი იყო (შდრ. ჰ. ბიოლინგი, პ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2009, გვ. 48). მაშასადამე უშუალო, ანუ ადეკვატური მიზეზობრიობის თეორიის თანახმად, შედეგის მიზეზად ერთი პირობაც საკმარისია, თუ ის ქმნის შედეგის დადგომის ობიექტურ შესაძლებლობას, ანუ მიზეზობრივი კავშირის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მოვლენებს შორის ობიექტური კავშირის არსებობას და იმას, რომ მიზეზსა და შედეგს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში. პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის მიზეზი, როცა ის უშუალოდაა დაკავშირებული დამდგარ ზიანთან. ამგვარად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი, პირდაპირი შედეგია (სუსგ №ას-1069-2021, 23 დეკემბერი 2021 წელი).

50. საკასაციო პალატა განმარტავს, ზიანის ანაზღაურების ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ ამას არ მოჰყვეს რომელიმე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება. ზიანის ანაზღაურების უმნიშვნელოვანეს დათქმას უსაფუძვლო გამდიდრების აკრძალვა წარმოადგენს. ამ პრინციპის მიხედვით, მოვალემ უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელშიც კრედიტორი იქნებოდა, ვალდებულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. მოვალე არ არის ვალდებული კრედიტორი იმაზე უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენოს, ვიდრე იგი ზიანის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა.

51. ზიანის ოდენობის განსაზღვრა იმ განცდილი ზიანის კომპენსი-

რებაში მდგომარეობს, რომელიც მოსარჩელეს მიადგა მოპასუხის ქმედებით. განცდილი ზიანის ოდენობა კი, განეკუთვნება არა სამართლის, არამედ ფაქტის საკითხს; ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება და რელევანტური მტკიცებულებების წარდგენა კი, მოსარჩელის საპროცესო ვალდებულებაა.

52. საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმის ფარგლებში, დადასტურდა ქონების დაზიანების ფაქტი, ასევე, დადგენილია, რომ შეგებებული სარჩელით მოპასუხის დირექტორმა, 2022 წლის 12 ივლისის წერილით, ფაქტობრივად, დაადასტურა მის მიერ ზიანის მიყენება.

53. შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მართლზომიერების საკითხის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მიერ განცდილი ზიანის ოდენობის დასადასტურებლად წარდგენილ მტკიცებულებაზე, კერძოდ, ფაქტობრივი ზიანის დასადასტურებლად შეგებებული სარჩელის ავტორი უთითებდა საქმეში არსებულ დოკუმენტზე (სასტუმროს ინვოისი). შეგებებული სარჩელის ავტორის მითითებით, აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სტუმარს, რომლის კუთვნილი ნივთი დაზიანდა უნდა გადაეხადა 111 009.76 ლარი, მაგრამ გადაიხადა 97 967.55 ლარი, ვინაიდან, სასტუმრომ აუნაზღაურა სხვაობა – დაზიანებული ნივთის ღირებულება – 13 042.21 ლარის ოდენობით. საქართველოს უზენაესი სასამართლო უპირველესად აღნიშნავს, რომ ინვოისი ფინანსური დოკუმენტია, სადაც აღნიშნულია, რომ მყიდველმა გამყიდველს გარკვეული თანხა უნდა გადაუხადოს, ინვოისში ძირითადად მოცემულია გამყიდველი საქონლის ან მომსახურების ჩამონათვალი, რაოდენობა/მოცულობა, გადახდის თარიღი, გამყიდველის საბანკო მონაცემები. ინვოისი გამყიდველსა და მყიდველს შორის მიღწეული შეთანხმების წერილობითი ფორმაა. გარდა ამისა, საქონლის ან მომსახურების მყიდველს დეტალური ინფორმაცია აქვს, რა იყიდა და რა ფასად. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტიდან არ დგინდება, რომ 13 042.21 ლარი, სწორედ დაზიანებული ნივთის ღირებულების ასანაზღაურებლად გამოიქვითა, სასტუმროს კი ფაქტობრივად დამდგარი ზიანის სტუმრისათვის ანაზღაურების დასადასტურებლად სხვა რელევანტური მტკიცებულება გარდა ზემოაღნიშნული ინვოისისა არ წარუდგენია. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართლოდენ მხარის ახსნა-განმარტება და ზემოაღნიშნული მტკიცებულება მოპასუხე კომპანიის მიერ სტუმრისათვის დაზიანებული ნივთის ასანაზღაურებლად 13 042.21 ლარის გამოიქვითვის/ ანაზღაურების დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

54. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს იმსჯელოს ისეთ

საპროცესო სამართლებრივ ინსტიტუტზე, როგორცაა საუარესოდ შემობრუნების დაუშვებლობა (non reformacio in pejus), რომლის თანახმადაც, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს მხოლოდ საკასაციო საჩივრის ფარგლებში და, უფლებამოსილია შეცვალოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ (სსსკ-ის 404.1, 409-ე მუხლები). არ არის გამორიცხული, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემონმებისას, საკასაციო სასამართლო მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ გადაწყვეტილება არასწორია იმ ნაწილშიც, რომელიც არაა გასაჩივრებული და კასატორის სასარგებლოდაა გამოტანილი. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლო ვერ გააუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამ ნაწილში.

55. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ რამდენადაც წარმოდგენილია მხოლოდ სასტუმროს საკასაციო საჩივარი და მისი განხილვის ფარგლებში, სასამართლო მოკლებულია მხარის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული მოთხოვნის საუარესოდ შებრუნებას, მოსარჩელე კომპანიის საკასაციო საჩივრის/ შეგებებული საკასაციო საჩივრის არარსებობის პირობებში, საუარესოდ შემობრუნების დაუშვებლობის პრინციპის გათვალისწინებით, იკვეთება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების საფუძვლები. შესაბამისად, წინამდებარე განჩინების 48-ე პუნქტში აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას იმსჯელოს შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილებისა და ზიანის ანაზღაურების ოდენობის გაზრდის თაობაზე.

56. რამდენადაც საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორის მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების სსსკ-ის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. დავალება

დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მარნეულის შირ

გადანყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1035-2024

18 დეკემბერი 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: **ლ. ქოჩიაშვილი**
(თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ა. ძაბუნიაძე,
გ. ჯეირანაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. კ. მ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე დ. ბ-ძის მიმართ 1300 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარის) დაკისრების შესახებ.

2. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 09 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, 650 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა. გადაწყვეტილება დაეფუძნა შემდეგ ფაქტობრივსამართლებრივ დასაბუთებას:

5.1. 2020 წლის 28 ივლისს მოპასუხესა და მ. მ-ს შორის დაიდო საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვით,

მოპასუხეს (ადვოკატს) მოსარჩელისათვის სისხლის სამართლის საქმეზე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შესახებ) საადვოკატო მომსახურება უნდა გაენია. საადვოკატო მომსახურების ჰონორარი 1300 აშშ დოლარით (ეკვივალენტი ლარით) განისაზღვრა.

5.2. გამოძიების ეტაპსა და სასამართლოში მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დასაცავად 2020 წლის 28 ივლისს გამოიწერა №020/070 ორდერი. მოპასუხემ 2020 წლის 13 აგვისტოს მიიღო საადვოკატო მომსახურების ჰონორარი, 1300 აშშ დოლარი. მხარეთა შორის დადებული საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება შეწყდა მოსარჩელის ინიციატივით.

5.3. მოსარჩელემ 2021 წლის 21 ივნისს საჩივრით მიმართა ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოპასუხისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2021 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე მოპასუხის მიმართ დისციპლინური დევნა არ აღიძრა.

5.4. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე უფლებამოსილი პირია იდავოს 2020 წლის 28 ივლისის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ მოთხოვნაზე.

5.5. სააპელაციო პალატის განმარტებით, შესაფასებელი იყო, თუ რამდენად ვლინდებოდა მოპასუხისათვის საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ უკან დაბრუნების ფაქტობრივსამართლებრივი საფუძველი.

5.6. მხარეთა შორის მთავარი სადავო გარემოება იყო, შეასრულა თუ არა მოპასუხემ დაკისრებული ვალდებულება ჯეროვნად, სრულად და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. აპელანტის მიერ შედავებული იქნა ის გარემოება, რომ მოპასუხემ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები სრულად არ შეასრულა, კერძოდ, ადვოკატმა (მოპასუხემ) არ მოკითხა მონმეები და სასამართლო პროცესებს ნაწილობრივ დაესწრო.

5.7. სააპელაციო პალატის განმარტებით, მხარეთა შორის დადებული გარიგება დავალების ხელშეკრულებაა, რომლის ფარგლებშიც, რწმუნებულის ძირითადი ვალდებულებაა, შეასრულოს დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე, ხოლო მარწმუნებელი ვალდებულია, გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. გასამრჯელოს საკითხი შესრულებული დავალებისათვის მონესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექს-

სის 710-ე მუხლით, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, მარნმუნებელი ვალდებულია, გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

5.8. იმ გარემოების შესაფასებლად, თუ რამდენად გაუწია მოპასუხემ მოსარჩელეს იურიდიული მომსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრული მოცულობით, სააპელაციო პალატამ ყურადღება მიაქცია საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 1.2. პუნქტით განსაზღვრულ პირობას, რომლის მიხედვით, საადვოკატო მომსახურება იანგარიშება სამუშაო დროის ოდენობით და მოიცავს შემდეგ ელემენტებს: კლიენტთან შეხვედრისა და კონსულტაციის დროს; საპროცესო მოქმედებების შესრულების დროს; საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის დროს; სასამართლო პროცესებზე მონაწილეობის დროს; თუ რომელიმე მოქმედება (სასამართლო პროცესი, საგამოძიებო მოქმედება და სხვა) დანიშნულ დროზე არ დაიწყო, სამუშაო დრო აითვლება დანიშნული დროიდან; საქმის მასალების გაცნობის დროს; საქმესთან დაკავშირებული მგზავრობის დროს; საქმის მასალების ანალიზისათვის საჭირო დროს (ანალიტიკური სამუშაო); საქმესთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოს; სამუშაო დრო გამოითვლებოდა საათებითა და წუთებით. აპელანტის მითითებით, ადვოკატმა ნაკისრი ვალდებულებები ნაწილობრივ შეასრულა, კერძოდ, მონაწილეობა არ მიიღო საგამოძიებო მოქმედებებში – არ გამოკითხა მოწმეები, ასევე, სასამართლო პროცესებს ნაწილობრივ დაესწრო; დანარჩენი მომსახურება ადვოკატმა განია.

5.9. მოწმეების გამოკითხვის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ გაითვალისწინა ამავე სასამართლოში 2024 წლის 24 მაისის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულ პირთა ჩვენებები, კერძოდ:

მოწმე გ. კ-ის განმარტებით, რომ მოპასუხეს მიანოდა ინფორმაცია გამოსაკითხ პირებთან დაკავშირებით და აცნობა, რომ შესაძლებელი იყო, მოსარჩელის ყველა იმ თანამშრომლის გამოკითხვა, რომლებიც შესაბამის დღეს სამსახურში მორიგეობდნენ. მოწმის მითითებით, მას თვითონაც სურდა, გამოსაკითხ პირთა შორის ყოფილიყო, თუმცა მოპასუხეს არავინ გამოუკითხავს. აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ თანამშრომლებმა მოსარჩელის ინტერესების დასაცავად, საკუთრი ფინანსური რესურსით, სხვა ადვოკატი აიყვანეს. მოწმის განმარტებით, გამოსაკითხ პირებს შეეძლოთ დაედასტურებინათ გარემოება, რომ მოსარჩელე არ იმყოფებოდა შენობაში;

მოწმე ე. ბ-ის განმარტებით, იმყოფებოდა მოსარჩელისა და მოპასუხის ერთ-ერთ შეხვედრაზე; იცოდა მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს არასრული იურიდიული მომსახურება გაუწია;

მოწმე შ. კ-ქმე განმარტა, რომ არსებობდა პირთა წრე, რომელთა

გამოკითხვა მოსარჩელის ინტერესების დასაცავად მიზანშეწონილი იყო. გამოსაკითხ პირებს შეეძლოთ იმ გარემოების დადასტურება, რომ მოსარჩელე არ იმყოფებოდა იმ ოთახში, სადაც დანაშაულის ჩადენაში ედებოდა ბრალი. ადვოკატი მ. ვ-ი მოსარჩელის თანამშრომლებმა საკუთარი ფინანსური სახსრებით აიყვანეს, სასამართლო განხილვის დასრულების ბოლო დროს.

5.10. მოსარჩელის მითითებით, ელოდა, რომ ის პირები, რომლებიც მოპასუხემ არ გამოკითხა, გააქარწყლებდნენ მის მონაწილეობას წარდგენილ ბრალდებაში. მოპასუხემ აღნიშნა, რომ გამოსაკითხ პირებთან კომუნიკაცია იყო საკმაოდ რთული, ვინაიდან ისინი იყვნენ პოლიციის თანამშრომლები და ზოგიერთ მათგანს გამოკითხვაში მონაწილეობა არ სურდა. მოპასუხემ მოსამართლის შეკითხვაზე, გაიხსენებდა თუ არა იმ პირებს, რომელთაც გამოკითხვაზე უარი განაცხადეს, მიუთითა, რომ ზუსტი სახელებისა და გვარების გახსენება, გასული დროის ფაქტორის გათვალისწინებით, სირთულეს წარმოადგენდა. მოპასუხის განმარტებით, ერთი პირის გამოკითხვისთვისაც კი, დიდი ძალისხმევა განია; მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ მოპასუხეს დაუკავშირდა გამოკითხვის მსურველი რომელიმე პირი და მან უარი განაცხადა საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობაზე.

5.11. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის ინტერესში შედიოდა იმ პირების გამოკითხვა, რომლებიც, მისი რწმენით, საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდნენ. პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასამართლო ვერ დაადგინდა იმ გარემოებას, რომ მოპასუხემ ადვოკატის მოვალეობა არაკეთილსინდისიერად, მარწმუნებლისათვის საზიანოდ შეასრულა, რამაც მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება განაპირობა, ვინაიდან პალატა მოკლებული იყო საპროცესოსამართლებრივ შესაძლებლობას, დაედგინა ფაქტი იმის შესახებ, თუ რა შედეგი დადგებოდა იმ პირების გამოკითხვის შემთხვევაში, რომელთა გამოკითხვაც მოსარჩელეს სურდა სასარგებლო ინფორმაციის მიღების მოლოდინით. სააპელაციო პალატა ვერ იმსჯელებდა მოსარჩელის სისხლის სამართლის საქმის სხვაგვარი განვითარების თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირები გამოკითხებოდნენ, ასევე, ვერ შეაფასებდა ადვოკატის მიერ დაგეგმილი სტრატეგიის სისწორესა და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებს გაითვალისწინებდა მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების სისრულის კონტექსტით, კერძოდ, იმ გარემოების დასადგენად, ხომ არ არსებობდა პირთა წრე, რომელთა გამოკითხვაც მარწმუნებლის ინტერესი იყო და, ძალისხმევის განევის შემთხვევაში, ადვოკატისათვის აღნიშნული საპროცესო მოქმედებების ჩატარება შესაძლებელი იქნებოდა.

5.12. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, რომელიც საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობას მოიცავდა, ნაწილობრივ, ერთი პირის გამოკითხვის ნაწილში იყო შესრულებული.

5.13. პალატის განსჯით, უდავო იყო, რომ: საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა; მოსარჩელემ სხვა ადვოკატი აიყვანა; მოპასუხე სასამართლო სხდომების ნაწილს არ ესწრებოდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ისიც, რომ მოსარჩელეს ადვოკატის მხრიდან სხვადასხვა საპროცესო მოქმედების ინტერესი ჰქონდა და ადვოკატმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები სრულად არ შეასრულა. იმავდროულად, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოპასუხემ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარკვეული ვალდებულებები შეასრულა და ამას არც აპელანტი ხდიდა სადავოდ.

5.14. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ის საადვოკატო მომსახურება, რომელიც მოპასუხემ მოსარჩელეს გაუწია, უნდა ანაზღაურებულიყო, ხოლო მოპასუხისათვის გადახდილი თანხის ნაწილის დაბრუნების საფუძველი არსებობდა, ვინაიდან საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 2.1.11. პუნქტის შესაბამისად, კლიენტი ადვოკატს მომსახურებისათვის 1300 აშშ დოლარს (ეკვივალენტ ლარს) განეული სამუშაოს შესაბამისად უხდიდა. აღნიშნული ღირებულება მოიცავდა საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობისა და სასამართლო პროცესებზე მონაწილეობის დროს.

5.15. ვინაიდან დადგენილი იყო, რომ ადვოკატმა გამოკითხვის მსურველი პირები სრულად არ გამოკითხა, ასევე – მოპასუხე სასამართლო სხდომების ნაწილს არ ესწრებოდა და მოსარჩელის ინტერესების დაცვა სხვა ადვოკატმა განაგრძო, ცხადი იყო, რომ მოსარჩელეს მოპასუხის მხრიდან საადვოკატო მომსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრული სრული მოცულობით არ გაენია. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ განეული საადვოკატო მომსახურების პროპორციული ღირებულების გონივრული ოდენობა, რომელიც ანაზღაურებას არ უნდა დაქვემდებარებოდა გასაწევ საადვოკატო მომსახურებასთან მიმართებით, მოსარჩელის მოლოდინისა და ინტერესების გათვალისწინებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის ოდენობის ნახევარი იყო.

5.16. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 720-ე მუხლზე მიუთითა და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა და მოსარჩელის ინტერესების დაცვა სხვა ადვოკატმა განაგრძო, შესაბამისად, მოპასუხეს საადვოკატო მომსახურება შესრულებული სამუშაოს

მიხედვით უნდა ანაზღაურებოდა, ხოლო იმ მომსახურების ტოლფასი ღირებულება, რომელიც ადვოკატმა კლიენტს ვერ გაუწია, მოპასუხეს უკან უნდა დაბრუნებოდა.

5.17. სარჩელით მოთხოვნილი იქნა მოპასუხისათვის 1300 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნული ვალუტის დაკისრება, სარჩელის აღძვრის დღეს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის დაანგარიშებით (სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში აპელანტმა გადახდილი თანხის ნახევარი ნაწილის, კერძოდ, 650 აშშ დოლარის უკან დაბრუნება მიიჩნია სარჩელის დაკმაყოფილების მიზანშეწონილ ოდენობად). სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ფულის მსყიდველობითუნარიანობის შეცვლის შედეგად წარმოქმნილი ზიანის თავიდან ასაცილებლად, კერძოდ, თუ მხარეები სახელშეკრულებო დათქმით გაითვალისწინებენ ფულის კურსის (მსყიდველობითუნარიანობის) შესაძლო ცვლილებებს, ისინი შეძლებენ თავიდან აიცილონ ამ გარემოების შედეგად წარმოშობილი უსიამოვნება. შესაბამისად, ხელშეკრულებაში სხვადასხვა სახის დათქმები წარმოადგენს ერთგვარ დაზღვევის საშუალებას უარყოფითი შედეგების რისკისაგან, ხოლო ასეთი დათქმების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, თავისთავად იმოქმედებს „ნომინალიზმის პრინციპი“. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ ყოფილა ფულის კურსის (მსყიდველობითუნარიანობის) შესაძლო ცვლილებების თაობაზე შეთანხმება, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხისათვის დასაკისრებელი 650 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, სარჩელის აღძვრის დღეს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის დაანგარიშების მიხედვით, არ უნდა განსაზღვრულიყო, არამედ – უნდა დადგენილიყო 650 აშშ დოლარის დაბრუნების ვალდებულება (ვალის ვალუტა), რაც ეროვნული ვალუტით ანგარიშსწორების შემთხვევაში (გადახდის ვალუტა), უნდა განსაზღვრულიყო გადახდის დღეს არსებული კურსის შესაბამისად.

5.18. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ვინაიდან მოპასუხემ მოსარჩელეს საადვოკატო მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად სრულად არ გაუწია, ხოლო მოპასუხის მიერ მიღებული საადვოკატო ჰონორარი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების შესრულებას ფარავდა, რწმუნებული ვალდებული იყო, მიღებული ჰონორარი უკან დაებრუნებინა იმ გათვლითა და პროპორციით, რაც შეუსრულებელ ვალდებულებებს შეესაბამებოდა. რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ მოპასუხეს 1300 აშშ დოლარის ნაწილის, კერძოდ, 650 აშშ დოლარის დაბრუნების ვალდებულება უნდა დაკისრებოდა არა ზიანის ანაზღაურების კონტექსტით, არამედ მოსარჩელის მიერ მოპასუხესთან საადვოკატო მომსახურების

ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე. რაც შეეხება ხელშეკრულების შეწყვეტის მართლზომიერებას, სასამართლომ დამატებითი მსჯელობა ამ მიმართებით აღარ განავრცო, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, მოსარჩელეს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველი ჰქონდა, რაც საადვოკატო მომსახურების იმ მასშტაბით მიუღებლობით გამოიხატებოდა, რასაც ამავე ხელშეკრულებით განერილი პირობების შესაბამისად ვარაუდობდა.

6. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. საკასაციო საჩივრის პრეტენზიები დაეფუძნა შემდეგს:

6.1. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე და, ამ პრინციპიდან გამომდინარე, საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 2.1.10 პუნქტზე, რომლის მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა (საადვოკატო მომსახურების ჰონორარი), რომელსაც კლიენტი უხდის ადვოკატს, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, უკან არ ბრუნდება. რაკი ხელშეკრულებაში ცალსახად არის მითითებული, რომ კლიენტის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ჰონორარი უკან არ ბრუნდება, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა ამ პუნქტით, რაც საკმარისი იქნებოდა მხარეთა შორის დავის გადასაწყვეტად, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მოპასუხეს რაიმე იმპერატიული დანაწესით არ ეკრძალებოდა ხელშეკრულებაში მსგავსი დებულების გათვალისწინება.

6.2. საქმეში წარმოდგენილი მასალებით, საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება არ დასტურდება. ამასთან, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ კასატორი სასამართლო პროცესებს ნაწილობრივ დაესწრო, არ შეესაბამება სინამდვილეს. კასატორი მოსარჩელის მხოლოდ ბოლო პროცესზე არ გამოცხადდა, ვინაიდან ამ უკანასკნელმა წინასწარ თავად განუცხადა, რომ არ სურდა ყოფილიყო მისი ადვოკატი. თუკი მოსარჩელეს სურდა მოპასუხეს მიეღო პროცესში მონაწილეობა, შეეძლო განეცხადებინა სასამართლოსთვის და მოეთხოვა მისი არყოფნის გამო პროცესის სხვა დროისათვის გადადება, რაც სასამართლოს მხრიდან როგორც წესი, დაკმაყოფილებოდა. ნიშანდობლივია, რომ ამ პროცესამდე კასატორი მოსარჩელეს თვეების განმავლობაში იცავდა და აკითხავდა სასჯელალსრულების დაწესებულებაში, ხოლო

ბოლო პროცესზე, მხოლოდ ფორმალური მხარე იყო დარჩენილი, კერძოდ კი, საპროცესო შეთანხმებისთვის მოსარჩელის ხელმოწერა, რაც რამდენიმე წუთში დასრულდა. შესაბამისად, ცალსახაა, რომ მოპასუხემ ეს საქმე ფაქტობრივად ბოლომდე მიიყვანა, რაც ნიშნავს იმას, ნაკისრი ვალდებულებები არ დაურღვევია.

6.3. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 03.11.2021 წლის №043/21 გადაწყვეტილებით, დადგინდა, რომ მოპასუხის ქმედებებით ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება და ეთიკური ნორმების დარღვევა არ იკვეთებოდა, სააპელაციო პალატამ ხსენებული დასკვნით არ იხელმძღვანელა, რაც არასწორია, ვინაიდან ადვოკატის მიერ ვალდებულების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ცხადია, რომ ეთიკის კომისია დისციპლინურ პასუხისმგებლობას დააკისრებდა მას, რაც არ გამოვლენილა.

6.4. როდესაც, მოპასუხე მხოლოდ ერთ ფორმალურ პროცესს (სადაც საპროცესო შეთანხმება გაფორმდა) არ დაესწრო და ისიც, მოსარჩელისვე ინიციატივით, გაურკვეველია, თუ როგორ დაადგინა სასამართლომ, რომ მოპასუხემ ბრალდებულის დაცვა ნაწილობრივ განახორციელა და როგორ განსაზღვრა ასანაზღაურებელი ჰონორარის მოცულობა 650 აშშ დოლარით. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმე მოპასუხის მიერ ფაქტობრივად დასრულებული იყო, შესაბამისად, მის სასარგებლო პროპორციულ ანაზღაურებად არ შეიძლება მიჩნეულიყო უკვე გადახდილი ჰონორარის ნახევარი. სრულიად გაუგებარია, თუ რატომ გამოიყენა სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 720-ე მუხლი ჰონორარის ნახევრის დაბრუნების წინაპირობად. ეს ნორმა ადგენს კლიენტისათვის თანხის გადახდის ვალდებულებას, ხოლო თანხის დაბრუნებაზე დანაწესს, საერთოდ არ შეიცავს.

6.5. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მონმეთა ჩვენებები. მონმეთა ჩვენებებით მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევა არ მტკიცდება. უდავო ფაქტია, რომ მოპასუხემ სისხლის სამართლის საქმეში ჩაატარა საგამოძიებო მოქმედება და გამოკითხა ერთი მონმე, ხოლო დანარჩენ მონმეებს ფიზიკურად ვერ დაუკავშირდა. ერთ-ერთი მონმისა და მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეს შეეძლო სხვა მონმეების დაკითხვაც და არ დაკითხა, ამიტომაც მათ დამატებით სხვა ადვოკატიც აიყვანეს, თუმცა გაურკვეველია, თუ შესაძლებელი იყო სხვა მონმეების დაკითხვა და თუ ეს ბრალდებულის ინტერესი იყო, მოსარჩელის სხვა ადვოკატმა რატომ არ დაკითხა ისინი. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს, რომ სხვა მონმეები, რომლებიც ძალოვანი უწყების წარმომადგენლები იყვნენ, პროცესში მონაწილეობას თავს არიდებდნენ. ასევე, გაურკვეველია, თუ მოსარჩელეს არ სურდა საპროცესო შეთანხმების გაფორმება, რატომ არ დაავალა ადვოკატს, ემოქმედა

სხვა სტრატეგიით და რატომ მოაწერა საპროცესო შეთანხმებას ხელი. სისხლის სამართლის პროცესი თვეობით მიმდინარეობს და სტრატეგიის ცვლილება, პრობლემას არ წარმოადგენს.

6.6. არსებული მტკიცებულებებით, მოსარჩელისათვის საქმისათვის საუკეთესო შედეგი სწორედ საპროცესო შეთანხმების გაფორმება იყო, მით უფრო, რომ დანარჩენი ორი ბრალდებული აფორმებდა საპროცესო შეთანხმებას და ჩვენებს მოსარჩელის წინააღმდეგ მისცემდა. ორი პირდაპირი ჩვენება კი, საკმარისი იქნებოდა მოსარჩელის გამამტყუნებელი განაჩენისთვის. აღნიშნული კარგად ჰქონდა გაცნობიერებული მოსარჩელეს და სწორედ ამიტომ დათანხმდა საპროცესო შეთანხმებას. რაც შეეხება დაკითხულ დანარჩენ ორ მოწმეს, მათი ჩვენებები უსარგებლოა, ვინაიდან არსებითად არაფერს ადასტურებს მოპასუხის მხრიდან ვალდებულების დარღვევის ფაქტის მხრივ.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

8. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

9. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია, შესრულდა თუ არა კასატორის (ადვოკატის) მხრიდან დავალების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად და ჯეროვნად.

10. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები),

რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონახვაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა, გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

11. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება სასამართლოს კომპეტენციაა, თუმცა საქმეზე გადწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ სარჩელში, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებში მოცემული სამართლებრივი შეფასებები მბოჭავი არ არის სასამართლოსთვის და მას ყოველთვის შეუძლია, განსხვავებულად შეაფასოს სადავო სამართალურითიერთობა.

12. მოსარჩელემ თანხის დაკისრების შესახებ მოთხოვნა დააფუძნა შემდეგ ფაქტობრივ საფუძველზე: 2020 წლის 28 ივლისს დაიდო საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მოპასუხეს ევალებოდა სისხლის სამართლის საქმეზე მოსარჩელისთვის საადვოკატო მომსახურების განევა, რისთვისაც მოპასუხისათვის გადახდილი იქნა ჰონორარი – 1300 აშშ დოლარი. მოპასუხე ჯეროვნად არ ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის გამოც მოსარჩელემ ის ცალმხრივად შეწყვიტა. მოსარჩელის მტკიცებით, ფაქტობრივად განეული მომსახურების გათვალისწინებით, მოპასუხეს დასაბრუნებელი აქვს წინასწარ გადახდილი ჰონორარის, 1300

აშშ დოლარის ნახევარი – 650 აშშ დოლარი.

13. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, თანხის დაკისრების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 720-ე მუხლის მესამე ნაწილიდან (თუ ხელშეკრულება წყდება მარნმუნებლის მიერ, მაშინ ის მოვალეა აუნაზღაუროს რნმუნებულს მინდობილი მოქმედების შესრულებისას განეული ყველა აუცილებელი ხარჯი, ხოლო, თუ ხელშეკრულება სასყიდლიანი იყო, – გადაუხადოს გასამრჯელო შესრულებული სამუშაოს კვალობაზე) და 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ (პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში) ქვეპუნქტიდან გამომდინარეობს.

14. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დავალება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანია რნმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგის დადგომას და, როგორც წესი, ეფუძნება ურთიერთდობას, რნმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალებული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით წარმოება და მიღწეული შედეგის ადრესატი წარმოდგენილი პირი ხდება.

15. ადვოკატი, როგორც პროფესიონალი, კლიენტთან გაფორმებული იურიდიული (საადვოკატო) მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ცხადია, კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში სამართლებრივად იბოჭება იმ შეთანხმებით, რომლის ძირითადი პირობების შემთავაზებელი თვითონვეა (იხ.ს.უ.ს.გ.№ას-1161-1116-2016).

16. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საადვოკატო მომსახურება არ არის უსასყიდლო ე.წ. „pro bono“ ანუ, უსასყიდლო მომსახურება (რაც ასევე განსხვავდება, სახელმწიფოს ხარჯზე ცალკეული სემინტის პირთათვის განეული უფასო იურიდიული დახმარებისაგან) იმ პროფესიული სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილია, რომელიც მიღებული და დამკვიდრებულია, როგორც ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების საადვოკატო ბიუროების, ისე – აშშ-ის იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელთა კერძო საადვოკატო პრაქტიკაში და არა მხოლოდ სოციალურად დაუცველ პირთა იურიდიულ მომსახურებას მოიცავს, არამედ იდეალური მიზნების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივ მხარდაჭერასაც (იხ. სუსგ საქმე №ას-703-2023 30.10.2023წ; №ას-1448-2020, 5.02.2021წ; №ას-1161-1116-2016, 12.10.2017წ.)

შესაბამისად, კლიენტს ეკისრება ადვოკატის მიერ განეული იურიდიული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულების ფარგლებში, ხოლო რაც შეეხება ანაზღაურების ოდენობას, აღნიშნული უნდა დადგინდეს მხარეთა ნების გამოვლენის გონივრულობას, შეთანხმების მიღწევასა იმ დანაწესის გათვალისწინებით, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მოწესრიგებიდან გამომდინარე, ადვოკატს ეკისრება კლიენტის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელისათვის ყველა ფინანსური ვალდებულების /რომელიც სასამართლო ხარჯების გარდა, ადვოკატისათვის გადასახდელ ჰონორარსაც მოიცავს/ შესახებ ინფორმაციის დროულად და კვალიფიციურად მიწოდება (აპეკ-ის 8.6 მუხლის მიხედვით, „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“), რაც კერძოსამართლებრივი გარიგების მონაწილე კონტაქტთა იმთავითვე პრეზუმირებული კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობს (სსკ-ის მე-8.3 მუხლი).

საადვოკატო მომსახურების ჰონორარის (გასამრჯელოს) ოდენობის შესახებ რაიმე მოწესრიგებას „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი ან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი არ შეიცავს. მაგალითად, ევროგაერთიანების ადვოკატთა (CCBE) ქცევის მოდელური კოდექსი, რომელიც სახელმძღვანელოა ევროგაერთიანებისა და ევროპის ეკონომიკური სივრცის ადვოკატთათვის, აწესრიგებს ჰონორარის საკითხს, კერძოდ, 3.4 პუნქტით დადგენილია, რომ 3.4.1. ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი სრულად უნდა გაუმჟღავნდეს კლიენტს და უნდა იყოს სამართლიანი და ზომიერი. 3.4.2. ადვოკატსა და კლიენტს შორის სხვაგვარი შეთანხმების არსებობის გარდა, ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი ექვემდებარება რეგულირებას იმ ადვოკატურისა თუ იურიდიული საზოგადოების წესების შესაბამისად, რომელსაც ადვოკატი მიეკუთვნება. საკასაციო სასამართლო ისევე ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 3.3 მუხლს მოიხმობს, რომელიც უკრძალავს ადვოკატს აწარმოოს ე.წ. *Pactum Quota de Litis* (3.3.1 ქვეპუნქტი), რაც ნიშნავს 3.3.2. შეთანხმებას ადვოკატსა და კლიენტს შორის, რომელიც დადებულია იმ საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე, რომელშიც კლიენტი ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს და რომლის საფუძველზე კლიენტი იღებს ვალდებულებას ადვოკატს გადასცეს წილი საქმის შედეგიდან, მიუხედავად იმისა, თუ წილი თანხას ან სხვა სარგებელს წარმოადგენს, რომელსაც კლიენტი საქმის გადაწყვეტისას მიიღებს. *Pactum Quota de Litis* არ მოიცავს შეთანხმებას, რომლის თანახმად, ჰონორარი გამოიანგარიშება ადვოკატის მიერ აღებული საქმის ღირ

რებულების საფუძველზე, ოფიციალურად დამტკიცებული ჰონორარების სისტემის ან ადვოკატზე იურისდიქციის მქონე კომპეტენტური ორგანოს კონტროლის ქვეშ (http://www.ccbe.eu/NTCdocument/EN_CCBE_CoCpdf1_1382973057.pdf, (მდრ: ს.უ.ს.გ. №ას-1161-1116-2016, 12.10.2017წ; №ას-1117-2020, 25.03.2021წ; ს.უ.ს.გ. №ას-29-2021, 28.05.2021წ.)).

17. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ არის საკანონმდებლო წესით მონესრიგებული ადვოკატის მიერ ჰონორარის გამომანგარიშების საკითხი, სასამართლომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების, ანუ მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების გონივრულობისა და გასამრჯელოს სამართლიანობის შეფასების გზით უნდა იმსჯელოს. საადვოკატო მომსახურების განვივისას მოქმედებს მყარი პრეზუმფიცია, რომ ადვოკატი უსასყიდლოდ არ გასწევს მომსახურებას და მას ეკუთვნის ის გასამრჯელო (ჰონორარი), რაც მხარეთა შორისაა შეთანხმებული.

18. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და არც საკასაციო საჩივრით არ გამხდარა სადავო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

18.1. 2020 წლის 28 ივლისს კასატორსა და მ. მ-ს შორის დაიდო საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, მოპასუხეს (ადვოკატს) მოსარჩელისათვის სისხლის სამართლის საქმეზე საადვოკატო მომსახურება უნდა გაენია. საადვოკატო მომსახურების ჰონორარი 1300 აშშ დოლარით (ეკვივალენტი ლარით) განისაზღვრა.

18.2. 2020 წლის 13 აგვისტოს კასატორმა მიიღო საადვოკატო მომსახურების ჰონორარი, 1300 აშშ დოლარი.

18.3. მოსარჩელემ ვადამდე შეწყვიტა მოპასუხესთან გაფორმებული საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება.

18.4. მოსარჩელემ 2021 წლის 21 ივნისს საჩივრით მიმართა ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოპასუხისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა.

18.5. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2021 წლის 03 ნოემბრის გადაწყვეტილებით, მოპასუხის მიმართ დისციპლინური დევნა არ აღიძრა.

18.6. საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 1.2. პუნქტის მიხედვით, საადვოკატო მომსახურება იანგარიშება სამუშაო დროის ოდენობით და მოიცავს შემდეგ ელემენტებს: კლიენტთან შეხვედრისა და კონსულტაციის დროს; საპროცესო მოქმედებების შესრულების დროს; საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის დროს; სასამართლო პროცესებზე მონაწილეობის დროს; თუ რომელიმე მოქმედება (სასამართლო პროცესი, საგამოძიებო მოქმედება და სხვა) დანიშნულ დრო-

ზე არ დაინყო, სამუშაო დრო აითვლება დანიშნული დროიდან; საქმის მასალების გაცნობის დროს; საქმესთან დაკავშირებული მგზავრობის დროს; საქმის მასალების ანალიზისათვის საჭირო დროს (ანალიტიკური სამუშაო); საქმესთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოს; სამუშაო დრო გამოითვლებოდა საათებითა და წუთებით.

18.7. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში, მოსარჩელის თანამშრომლებიდან, რომელთა მონმის სახით დაკითხვაც მოსარჩელეს სურდა, მოპასუხემ გამოკითხა მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი.

18.8. მოპასუხე სისხლის სამართლის საქმის განხილვის ყველა სასამართლო სხდომას არ დასწრებია.

18.9. მოპასუხე საადვოკატო მომსახურების ფარგლებში მოსარჩელეს შეხვდა და გაუწია კონსულტაცია; მიიღო საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობა; გამოკითხა ერთი მონმე; დაესწრო სასამართლო სხდომების ნაწილს.

18.10. მოსარჩელემ სისხლის სამართლის საქმეზე სხვა ადვოკატი აიყვანა, რომლის მონაწილეობითაც მოსარჩელემ ბრალდების მხარესთან გააფორმა საპროცესო შეთანხმება, რითაც სისხლის სამართლის საქმისწარმოება დასრულდა.

19. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, რომ მოსარჩელის თანამშრომელთა სისხლის სამართლის საქმეზე მონმის სახით გამოკითხვა მოსარჩელის ინტერესში შედიოდა, გამომდინარე იქიდან, რომ პირველ რიგში, უცნობია რამდენად მოსარჩელისათვის სასარგებლო ჩვენებებს მისცემდნენ აღნიშნული პირები და გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მოპასუხესთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ, ხსენებულ პირთა მონმის სახით გამოკითხვა არც ახალ ადვოკატს უწარმოებია, უფრო მეტიც, მოსარჩელემ ბრალდების მხარესთან გააფორმა საპროცესო შეთანხმება, რომლის მიზნებისათვის დაცვის მხარის მონმეთა ჩვენებებს რამე მნიშვნელობა არ გააჩნიათ.

რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების დამტკიცების სასამართლო სხდომაზე მოპასუხის დაუსწრებლობას, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ აღნიშნულ სხდომაზე კასატორის გამოუცხადებლობის მიზეზს მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტა წარმოადგენდა, შესაბამისად, ამ სასამართლო სხდომაზე მონაწილეობის მიუღებლობა, მოპასუხეს ბრალად არ უნდა შეერაცხოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხის მხრიდან დავალების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის ფაქტი არ დასტურდება.

20. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 720-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს

შეუძლიათ ნებისმიერ დროს. შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება წყდება მარნმუნებლის მიერ, მაშინ ის მოვალეა აუნაზღაუროს რწმუნებულს მინდობილი მოქმედების შესრულებისას განეული ყველა აუცილებელი ხარჯი, ხოლო, თუ ხელშეკრულება სასყიდლიანი იყო – გადაუხადოს გასამრჯელო შესრულებული სამუშაოს კვალობაზე.

მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მხარეთა შორის დადებული დავალების ხელშეკრულება იყო სასყიდლიანი და საზღაური შეადგენდა 1300 აშშ დოლარს. მოპასუხისათვის ჰონორარი გადახდილი იქნა წინასწარ, სრული ოდენობით. ხელშეკრულება ვადადმე, ცალმხრივად შეწყვიტა მოსარჩელემ, რის გამოც, შესრულებული სამუშაოს კვალობაზე ის ვალდებულია, გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო. საკასაციო სასამართლო აქვე მიაპყრობს ყურადღებას საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 2.1.10 პუნქტსაც, რომლის მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა (საადვოკატო მომსახურების ჰონორარი), რომელსაც კლიენტი უხდის ადვოკატს, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, უკან არ ბრუნდება.

21. საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია განმარტოს, რომ სამართლებრივი დახმარება მრავალმხრივი პროცესია, რომელიც მოიცავს არაერთ მნიშვნელოვან ასპექტს და განსაზღვრავს ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას. ადვოკატის მოვალეობები არ შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლო სხდომებზე დასწრებით, არამედ მოიცავს სამართლებრივი კონსულტაციების განევას, მტკიცებულებების შეგროვებას, სტრატეგიის დაგეგმვას, კლიენტის წარმომადგენლობას სხვადასხვა სამართლებრივ პროცესებში და მოლაპარაკებების წარმოებას. თითოეული ეს კომპონენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს და, კონკრეტულ შემთხვევებში, გადამწყვეტი შეიძლება გახდეს საქმის წარმატებული წარმართვისთვის.

ადვოკატის საქმიანობის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს სამართლებრივი დახმარების მთლიან, კომპლექსურ სურათს და არა მხოლოდ ცალკეულ საპროცესო მოქმედებებს. პროცესზე გამოუცხადებლობა ან მონმის გამოუკითხველობა ვერ ჩაითვლება ვალდებულების შეუსრულებლობად, თუ ეს ობიექტური გარემოებებით იყო განპირობებული და ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად სხვა სამართლებრივი საშუალებები გამოიყენა. სამართლებრივი კონსულტაცია, საქმის სტრატეგიული მართვა და მტკიცებულებების სწორად შეფასება ხშირად ისეთივე ან კიდევ უფრო გადამწყვეტი შეიძლება იყოს, ვიდრე უშუალოდ სასამართლო პროცესზე დასწრება. შესაბამისად, როგორც უკვე აღინიშნა, ადვოკატის საქმიანობის შეფასებისას, აუცილებელია, მისი მოქმედებების მთლიანობაში განხილვა, რათა სათანადოდ შეფასდეს მათი

გავლენა კლიენტის ინტერესებსა და საქმეზე.

22. კონკრეტულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ საადვოკატო მომსახურების ფარგლებში მოპასუხე შეხვდა მოსარჩელეს და გაუწია კონსულტაცია; მიიღო საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობა; გამოკითხა ერთი მოწმე; დაესწრო სასამართლო სხდომების ნაწილს.

ბოლო, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობა გამონვეული იქნა მოსარჩელის მხრიდან დავალების ხელშეკრულების შეწყვეტით, რაც როგორც უკვე აღინიშნა, მოპასუხეს ბრალად ვერ შეეარაცხება.

მოპასუხის მხრიდან ვალდებულების ჯეროვნად შესრულების თვალსაზრისით, აღსანიშნავია ისიც, რომ სპეციალურმა ორგანომ, რომელიც ადვოკატთა პროფესიული პასუხისმგებლობის კონტროლის განხორციელებაზეა უფლებამოსილი – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ, მოპასუხის ქმედება ეთიკის ნორმების დარღვევად და დისციპლინურ გადაცდომად არ შეაფასა და, შედეგად, ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნა არ აღიძრა.

23. ამდენად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების, მოხმობილი სამართლებრივი ნორმებისა და განმარტებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის წინასწარ გადახდილი საზღაური, შეესატყვისება ამ უკანასკნელის მიერ განეულ საადვოკატო მომსახურებას, რის გამოც სარჩელის დაკმაყოფილებისა და მოპასუხისათვის თანხის დაკისრების საფუძველი არ ვლინდებოდა.

24. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილებას თვითონ მიიღებს, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით – სარჩელი უარყოფილი იქნეს.

25. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა საკასაციო საჩივრისთვის შეადგენს დავის საგნის ღირებულების

5%-ს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა, ხოლო ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სააპელაციო საჩივრისათვის შეადგენს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ყველა ინსტანციის სასამართლოში შეადგენს ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ოდენობის ნახევარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 5000 ლარს.

დავის საგნის ღირებულებიდან გამომდინარე წინამდებარე საკასაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 150 ლარს. ვინაიდან კასატორის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილია 300 ლარი, მას უკან უნდა დაუბრუნდეს ზედმეტად გადახდილი 150 ლარი.

დავის საგნის ღირებულებიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 75 ლარს. ვინაიდან მოსარჩელის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 138 ლარის ოდენობით, მას უკან უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან, 138 ლარიდან ზედმეტად გადახდილი 63 ლარი.

ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი (იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან), მე-2 (ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას) და მე-3 (თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადანყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც) ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ა :

1. დ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. კ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
4. დ. ბ-ძეს (პ/ნ ...) გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (300 ლარი), დაუბრუნდეს ზედმეტად გადახდილი 150 ლარი (საგადახდო დავალება №22877254050, გადახდის თარიღი: 16.07.2024წ, გადამხდელის ბანკი – ს.ს. „საქართველოს ბანკი“) შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...
5. კ. მ-ს (პ/ნ ...) დ. ბ-ძის (პ/ნ ...) სასარგებლოდ დაეკისროს 150 ლარის გადახდა, საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ.
6. კ. მ-ს (პ/ნ ...) სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (138 ლარი), დაუბრუნდეს ზედმეტად გადახდილი 63 ლარი (საგადასახადო დავალება №9705, გადახდის თარიღი: 22.02.2024წ, გადამხდელის ბანკი – ს.ს. „თიბისი ბანკი“) შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. სატრანსპორტო ექსპედიცია ექსპედიტორის პასუხისმგებლობა

ბანჩინება საპარტვილოს სახელით

№ას-1631-2023

30 აპრილი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი
(თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. ძიმისტარაშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ა. ქ-ის“ (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი, მომხმარებელი/შემკვეთი) სარჩელი, სს „თ.ა.ჯ-ის“ (მოპასუხე, კასატორი, ექსპედიტორი) მიმართ, ზიანის – 17 511.78 აშშ დოლარისა და ამავე თანხის წლიური 6.9%-ის, 2020 წლის 24 თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ანაზღაურების დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვისა და ექსპედიციის ხელშეკრულების საფუძველზე, მოპასუხეს უნდა დაეორგანიზებინა, შემკვეთის/მოსარჩელის მიერ, Ebay-დან 17 511.78 აშშ დოლარად, შეძენილი 22 ცალი მყარი დისკის ამერიკის შეერთებული შტატების ქ. ნიუკასლიდან თბილისში ჩამოტანა;

2.2. მოსარჩელის კუთვნილი ამანათი „თრექინგ“ კოდით – ..., ექსპედიტორი კომპანიის საწყობში მიიტანეს 2020 წლის 27 იანვარს; 2020 წლის 10 თებერვალს, საქართველოში ჩამოტანილი ამანათი აიწონა, გაიხსნა და აღმოჩნდა, რომ მისი შიგთავსი ცარიელი იყო;

2.3. მოსარჩელემ 2020 წლის 12 თებერვალს მოპასუხეს წარუდგინა განცხადება რეკლამაციის შესახებ და მოითხოვა ხელშეკრულების საფუძველზე, რეისის ჩამოფრენიდან 14 კალენდარული დღის ვადაში,

ტვირთის დაკარგვით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაზედაც მოპასუხე კომპანიამ უარი განაცხადა;

2.4. რეორგანიზაციის შედეგად სს „თ.ა.ჯ-ი“ წარმოდგენს შპს „U“-ს უფლებამონაცვლეს;

2.5. საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ ექსპედიტორის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის უშუალო მიზეზშედეგობრივი კავშირი არ დასტურდება. მოპასუხის მიერ წარმოდგენილ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 17 მარტის №001853320 ვიდეოსა და კომპიუტერული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გამოსაკვლევად წარმოდგენილი ვიდეო-ჩანაწერების კომპლექსური ანალიზით ირკვევა, რომ მე-5 ფოტოზე ისრით ნაჩვენები ამანათის გახსნასთან და რაიმე სახით მის შიგთავსთან შეხება არ აქვს ობიექტზე დასაქმებულ არც ერთ პირს, თუ მოწყობილობას. ამანათი, ობიექტზე შემოსვლიდან, აწონვისა და კონტეინერში მოთავსების ეტაპს გადის გაუხსნელად.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 17 511.78 აშშ დოლარის გადახდა. შესაბამისდ, გადანაწილდა მხარეთა შორის სასამართლო ხარჯები.

3.2. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები (იხ. წინამდებარე განჩინების 2.1-2.4 ქვეპუნქტები) და დაასკვნა, რომ არსებობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ი) 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების შეცვლის წინაპირობები. ვინაიდან, სასამართლოს მიერ არასწორად იქნა შეფასებული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია.

3.3. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნის (ტვირთის დაკარგვით მიყენებული ზიანის ანაზღაურება) სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ი) 730.1 „ექსპედიციის ხელშეკრულებით ექსპედიტორი კისრულობს თავისი სახელითა და შემკვეთის ხარჯზე განახორციელოს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებანი. შემკვეთი მოვალეა, გადაიხადოს შეთანხმებული პროვიზია“, 731-ე „ექსპედიტორმა კეთილსინდისიერი ექსპედიტორის გულისხმიერებით უნდა გაგზავნოს

ტვირთი, შეარჩიოს გადაზიდვაში მონაწილე პირები. ამასთან, მან უნდა დაიცვას გამგზავნის ინტერესები და შეასრულოს მისი მითითებები“, 739.1 „თუ სხვა შეთანხმება არ არსებობს, ექსპედიტორს უფლება აქვს საკუთარი ძალებით გადაზიდოს ტვირთი. ამ უფლების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შემკვეთის უფლებებსა და ინტერესებს“, 394.1 „მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამონვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის“, 408.1 „იმ პირმა, რომელიც ვალდებულება აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“ და 409-ე „თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება“ მუხლები.

3.4. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის/შემკვეთის პრეტენზია, რომ მხარეთა შორის დადებული ექსპედიციის ხელშეკრულებით ექსპედიტორმა საკუთარი სახელითა და კლიენტის ხარჯით იკისრა ვალდებულება, ტვირთის დანიშნულებისამებრ მიწოდებაზე და მასვე ეკისრებოდა, როგორც სატრანსპორტო ექსპედიტორის, ასევე ტვირთის გადამზიდვის ვალდებულებებიც. მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, დაკარგა გადასაზიდად მიწოდებული ტვირთი და არ მიაწოდა მოსარჩელეს დანიშნულების ადგილზე.

3.5. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 730-ე მუხლზე (ნორმის დეფინიცია იხ. წინამდებარე განჩინების 3.3 ქვეპუნქტში) და განმარტა, რომ ექსპედიციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შემკვეთი დამოკიდებულია ექსპედიტორის გამოცდილებაზე, რაც გამოიხატება საქონლის გადაზიდვის ორგანიზების, გადაზიდვისთვის შესაბამისი ფასის, გადაზიდვის ყველაზე შესაფერისი დროისა და მარშრუტის შერჩევაში და ა.შ. ამდენად, საექსპედიციო მომსახურება შემკვეთისთვის მოსახერხებელია, თუმცა ექსპედიტორისთვის მალალი რისკის მატარებელია. სწორედ ამიტომ, ექსპედიტორმა უნდა უზრუნველყოს შემკვეთის სათანადოდ დაცვა. შემკვეთისთვის აუცილებელია, რომ მისი ტვირთის გადაზიდვის მომსახურება საიმედო იყოს. საიმედოობა კი ნიშნავს, რომ შემკვეთის მიერ დაქირავებულმა ექსპედიტორმა უნდა აანაზღაუროს გადაზიდვისას მიყენებული შესაძლო ზარალიც. იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპედიტორი გადაზიდვას ანდობს გადამზიდველს, ის გადაზიდვის ორგანიზებასთან ერთად, იღებს ტვირთის გადაზიდვის პასუხისმგებლობასაც. FIATA-ს (გადამზიდველთა ასოციაციე-

ბის საერთაშორისო ფედერაცია) ტიპური წესების მე-7 მუხლის თანახმად, ასეთი ექსპედიტორი, განზოგადებულად იწოდება, როგორც პრინციპალი, იგივე გადამზიდავ-ექსპედიტორი (კოპალიემვილი პ., სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების ძირითადი კონსტრუქციები – სამართლის ჟურნალი №2, 2018 წ.; გვ. 214.; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). საექსპედიციო ორგანოები ატარებენ საჭირო ზომებს და მატერიალურ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის, რომელიც განსაზღვრულია ვალდებულების დარღვევისთვის პასუხისმგებლობის თავში. იმ შემთხვევისთვის, როცა ხელშეკრულების შეუსრულებლობა მოხდა გადამზიდავის მიზეზით, მაშინ ექსპედიტორის პასუხისმგებლობა კლიენტის წინაშე განისაზღვრება იმავე წესებით, როგორც შესაბამისი გადამზიდავის (ბოცვაძე ლ., გელაშვილი ო., მეზურიშვილი ო., ჩხეცია ი., საერთაშორისო სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურება, 2008, გვ. 123), რამდენადაც ექსპედიციისა და გადაზიდვის კონსტრუქციები თანმთხვევადია, აქვთ ერთნაირი სუბიექტური შემადგენლობა და შესაბამისად, ექსპედიტორს იმავდროულად აქვს ტვირთის გადამზიდავის უფლება-მოვალეობები (ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ვალდებულებითი სამართალი კერძო ნაწილი, წიგნი IV, ტ., I. თბილისი, 2001, 436-437).

3.6. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ექსპედიტორის მიერ საკუთარ მოვალეობათა შესრულებისას „კეთილსინდისიერების პრინციპების“ დაცვის მტკიცების ვალდებულება ცალსახად ექსპედიტორის მხარესაა. იგი ვალდებულია ამტკიცოს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, შემკვეთის დავალებით მოქმედებისას, მის მიერ განხორციელებული მოქმედებები იყო დავალების ჯეროვნად შესრულებისთვის გონივრული, ობიექტური და ადეკვატური. ამასთან, სსკ-ის 741-ე მუხლი კრედიტორს, სპეციალური ნორმის საფუძველზე, ანიჭებს დამხმარე პირების მიმართ მოთხოვნის უფლებას, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ექსპედიტორი თავად არჩევს და თავადვე ხელმძღვანელობს ხელშეკრულებაში მონაწილე მესამე პირებს, გამართლებულია, რომ ექსპედიტორი დამხმარის ბრალისათვის, როგორც საკუთარი ბრალისათვის, ისე აგებდეს პასუხს შემკვეთის წინაშე (ჭეჭელაშვილი ზ. სახელშეკრულებო სამართალი. თბილისი, 2014, 187-188). ამდენად, დამხმარეში (მესამე პირში) მოიაზრება, სწორედაც გადამზიდაველი (გადამზიდაველები), რომელიც ექსპედიტორმა დაიქირავა შემკვეთის ვალდებულების შესასრულებლად და მისი ინტერესებიდან გამომდინარე.

3.7. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, სადავო ხელშეკრულების 1.1 პუნქტის მიხედვით, „ხელშეკ-

რულების საგანს წარმოადგენდა ექსპედიტორის საწყობიდან (რომელიც მდებარეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში – ქ. New Castle-ში), შემკვეთის მიერ გადაგზავნილი და ექსპერდიტორის მიერ მიღებული ტვირთის საქართველოში საექსპედიციო გადაზიდვის მომსახურების განევა, რომელსაც ექსპედიტორი უზრუნველყოფს თავისი სახელით და შემკვეთის ხარჯზე“. ამდენად, მოპასუხეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე, რადგან ექსპედიტორმა ექსპედიციის ხელშეკრულებით იტვირთა არა მხოლოდ გადაზიდვის ორგანიზება, არამედ გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობაც.

3.8. საქმეში წარმოდგენილი ინვოისით ირკვევა, რომ მოპასუხის საწყობში (მდებარე აშშ, ქ. ნიუკასლი) მიტანილი მოსარჩელის კუთვნილი ამანათი ინონიდა 3 ლბს, რაც 1.36 კგ-ს შეადგენს. ამასთან, დადგენილია, რომ 2020 წლის 10 თებერვალს საქართველოში ჩამოტანილი ამანათი გაიხსნა და აღმოჩნდა, რომ მისი შიგთავსი იყო ცარიელი, კერძოდ, მასში არ იყო მოთავსებული შემკვეთის მიერ შექმნილი, 17 511.78 აშშ დოლარის ღირებულების 22 ცალი მყარი დისკი. ამდენად, მითითებული ფაქტების შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ დააკენა, რომ აშშ-ში მოპასუხისათვის გადასაზიდად გადაცემული ტვირთი საქართველოში ჩამოტანამდე დაიკარგა. ექსპედიტორის განმარტებით, მას ტვირთი არ დაუკარგავს. კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით დასტურდებოდა, რომ ექსპედიტორისათვის გადაცემის შემდეგ, ამანათი არავის გაუხსნია და იმ სახით ჩამოიტანა საქართველოში, რა სახითაც აშშ-ში ჩაიბარა.

3.9. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის ეს განმარტება და ყურადღება გაამახვილა ექსპერტიზის დასკვნის იმ ნაწილზე, რომლითაც ირკვევა, რომ გამოსაკვლევად წარდგენილი და გაშიფრული ვიდეოჩანაწერი მოიცავს პერიოდს ამანათის ექსპედიტორთან (ობიექტზე) შემოსვლიდან მისი კონტეინერში მოთავსების მომენტამდე. ამასთან, ზემოხსენებული ინვოისით ირკვევა, რომ ამანათი ექსპედიტორს გადაეცა 01.27.2020 წელს, დილის 10:14 საათზე, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით კი, ვიდეოჩანაწერში ამანათი პირველად ჩნდება 01.27.2020 წელს, 19:13:58 საათზე, ანუ გადაცემიდან რამდენიმე საათის შემდეგ. გარდა ამისა, ვიდეოჩანაწერი საერთოდ არ მოიცავს აშშ-დან საქართველომდე ამანათის გადაზიდვის პერიოდს (01.27.2020-10.02.2020). აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, არ გამოირიცხება, რომ ამანათში მოთავსებული ტვირთი სწორედ იმ პერიოდში დაკარგულიყო, რომელიც არ არის ასახული ვიდეოჩანაწერში. აღნიშნულ დასკვნას ვერ გააქარწყლებს მოპასუხის მითი-

თება იმ ფაქტზე, რომ აშშ-ში ჩაბარებისას, ამანათი აიწონა და მისმა წონამ შეადგინა 0.19გრ.; საქმის მასალებით დასტურდება, რომ ამანათის ექსპედიტორისათვის გადაცემიდან მის აწონვამდე, გასული რამდენიმე საათი სრულად არაა ასახული ვიდეოჩანაწერში. გარდა ამისა, რადგან ინვოისში მითითებული ამანათის წონა არ ემთხვეოდა ამ უკანასკნელის აწონვისას მიღებულ წონას და, ამასთან, წონაში შეუსაბამობაც არ იყო უმნიშვნელო (ინვოისში მითითებული წონა – 1.36კგ (ანუ 1360გრ), 7-ჯერ აღემატება საწყობში ამანათის აწონვისას მიღებულ წონას – 190გრ-ს).

3.10. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სსკ-ის 731-ე მუხლით გათვალისწინებული კეთილსინდისიერი ექსპედიტორის გულისხმიერება, მოპასუხეს ავალდებულებდა, აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ (ტვირთის საქართველოში გადმოგზავნამდე) ეცნობებინა შემკვეთისათვის, რათა ამ უკანასკნელს მისცემოდა შესაძლებლობა, პრეტენზია წარედგინა ტვირთის მიმწოდებლისათვის (გამყიდველისათვის). მოცემულ შემთხვევაში, ექსპედიტორს ეს ვალდებულება არ შეუსრულებია – შემკვეთისათვის ზემოხსენებული ინფორმაცია არ მიუწოდებია. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება იმის თაობაზე, რომ, მის მიერ შემუშავებული სპეციალური აპლიკაციის მეშვეობით, მოსარჩელისათვის ცნობილი იყო ტვირთთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია (მათ შორის, წონის თაობაზე). აღნიშნული განმარტება, გარდა იმისა, რომ არ დასტურდებოდა სათანადო მტკიცებულებით, დასაშვებიც არ იყო სსსკ-ის 380-ე მუხლის მიხედვით (სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა), რადგან ის არ ყოფილა გაცხადებული პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს და არც მისი წარუდგენლობის საპატიო მიზეზი არსებობდა. ამდენად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სააპელაციო სასამართლო მიიჩნევდა, რომ გადაცემის მომენტში ამანათში არ იყო მოთავსებული სადავო ტვირთი, მის დაკარგვაზე პასუხისმგებლობა მაინც მოპასუხეს/ექსპედიტორს ეკისრებოდა, რადგან მან დაარღვია ზემოხსენებული კეთილსინდისიერი ექსპედიტორის გულისხმიერების ვალდებულება, რითაც ზიანი მიაყენა შემკვეთს. შესაბამისად, შემკვეთს შეუძლია წაუყენოს მოთხოვნა ექსპედიტორს იმ ზიანისათვის, რაც მას მიადგა ექსპედიტორის მიერ თავის ვალდებულებათა შეუსრულებლობით, რამაც ტვირთის დაკარგვა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით მოსარჩელის პირველი მოთხოვნა

– დაკარგული ტვირთის ღირებულების ანაზღაურების თაობაზე, დასაბუთებულია და დაკმაყოფილდა, კერძოდ, მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 17 511.78 აშშ დოლარის გადახდა.

3.11. რაც შეეხება მოსარჩელის მეორე მოთხოვნას – მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ ეს მოთხოვნა მიიჩნია დაუსაბუთებლად და განმარტა, რომ რადგან მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება და წინასწარ სავარაუდო იყო თუ არა ეს ზიანი მოვალისათვის (სსკ-ის 412-ე მუხლი). განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელეს 17 511.78 აშშ დოლარი გადახდილი აქვს მოძრავი ქონების შეძენის მიზნით, შესაბამისად, მის ინტერესს წარმოადგენდა ქონების შეძენა და არა ნასყიდობის საფასურის ბანკში ანაბარზე განთავსება და ამ გზით სარგებლის მიღება. შესაბამისად, მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი გამოვლენილი არ არის, რაც ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

4. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

4.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ (ექსპედიტორმა), მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

4.2. კასატორის განმარტებით, მოსარჩელემ ონლაინ მაღაზია Ebay-დან შეიძინა 17 511.78 აშშ დოლარის ღირებულების 22 ცალი მყარი დისკი (კომპიუტერული მეხსიერების მონაცემილობა), რომლის ამერიკის შეერთებული შტატებიდან თბილისში ტრანსპორტირების ორგანიზების ვალდებულება იკისრა მოპასუხემ, შპს „U“-ს აშშ-ს სანჯობიდან (აშშ, ქალაქი „New Castle“), ამანათის საქართველოში ტრანსპორტირების ორგანიზება განხორციელდა დათქმულ დროსა და ადგილას, თუმცა, ამანათის გახსნისას და დათვალეირებისას შიგთავსი აღმოჩნდა ცარიელი;

4.3. სადავო ამანათი, შეფუთული და გაუხსნელი, ამერიკის სანჯობში მიიღეს 2020 წლის 27 იანვარს, ამერიკის შიდა გადაზიდვი ფოსტის „ფ-ის“ მეშვეობით. სანჯობში მიღებისთანავე აიწონა და დაფიქსირდა ამანათის წონა – 0.19კგ. იგი არ გადაფუთულა და ჩამოვიდა საქართველოში იმავე მდგომარეობაში და იმავე წონით, როგორც მიიღეს ამერიკის სანჯობში;

4.4. კასატორის განმარტებით, ამანათის მიღების, გატარებისა და აწონვის გარემოებები დადასტურებული იყო საქმეში წარდგენილი ვიდეო და კომპიუტერული ექსპერტიზით. დასკვნის თანახმად, სანჯობში მყოფ პირებს ამანათი არ გაუხსნიათ, არც რაიმე სახის შეხება ჰქონიათ მის შიგთავსთან. ამანათი ობიექტზე შესვლიდან, აწონვისა და კონტეი-

ნერში მოთავსების ეტაპს გადის გაუხსნელად. ამანათის წონა შეადგენდა 0.19 კგ-ს, ნათელია, რომ ამანათი რა წონითაც მიიღო კასატორმა, იმავე წონით ჩამოიტანეს საქართველოში;

4.5. კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომელიც წინამდებარე განჩინების 3.5-3.7 ქვეპუნქტებშია ასახული და ტვირთების გადაზიდვისას ექსპედიტორისა და გადამზიდვის ერთნაირ ფუნქციასა და პასუხისმგებლობას უკავშირდება. ექსპედიტორი/მოპასუხე მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 730-ე მუხლი და FIATA-ს (გადამზიდველთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია) ტიპური წესების მე-7 მუხლი სადავო გარემოებებთან მიმართებით;

4.6. კასატორის მტკიცებით, სსკ-ის 730-ე მუხლის დისპოზიცია, „ექსპედიტორის მიერ ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებას“, გულისხმობს შემთხვევას, როდესაც ტვირთი/ამანათი იმგვარ გადაზიდვა/ტრანსპორტირებას, რომელიც მის უვნებლად საქართველოში საქართველოში ჩამოტანას უზრუნველყოფს, ანუ დაკარგვისა და დაზიანების გარეშე გადაზიდვას ითვალისწინებს აღნიშნული ნორმა;

4.7. კასატორის პრეტენზიის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ ნორმის განმარტებისას არ გაითვალისწინა, რომ ამანათი საქართველოში უსაფრთხოდ და არსებული სახით იქნა ტრანსპორტირებული და გადაზიდვასთან დაკავშირებული ღონისძიებები განხორციელდა კანონის შესაბამისად. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ ამანათი შეფუთული და გაუხსნელი ჩამოვიდა საქართველოში და გადაეცა მოსარჩელეს (შემკვეთს). უდავო გარემოებაა, რომ სპეციფიკურად შეფუთული ამანათი არ გახსნილა გადაზიდვის განმავლობაში და არც რაიმე დაზიანების კვალი არსებობდა. ამდენად, გადაზიდვის საიმედოობის პირობა მოპასუხემ შეასრულა. კასატორის განმარტებით, საიმედოობის განმარტება იმ შემთხვევაში ნიშნავს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, თუ კრედიტორმა გადაზიდვისას დაკარგა ამანათი, როგორც გადასაზიდი ობიექტი და იგი დანიშნულების ადგილზე არ მიიტანეს, ხოლო თუ დალუქული და შეფუთული ამანათი ჩამოიტანეს დანიშნულების ადგილზე, თუმცა მომხმარებლის მიერ გახსნის შემდეგ მასში არ აღმოჩნდა შეძენილი ნივთი, ასეთი ზიანი ვერ ანაზღაურდება. სპეციალური გარეგანი შეფუთვა, სხვა გადაზიდვებში ლუქი, დამლა და სხვა, იმისთვის ედება ტვირთს, რომ განისაზღვროს ბრალეული პირი შესაძლო დამდგარ ზიანში. თუ შეფუთვის, ლუქის, დამლის მთლიანობა არ არის დარღვეული, ექსპედიტორის თუ გადამზიდვის პასუხისმგებლობა გამოირიცხება ან დამოკიდებულია იმაზე, რა ბრალი შეიძლება მიუძღოდეს ექსპედიტორს. ამ გარემოების მტკიცების ტვირთი კი მო-

სარჩელეს ეკისრება;

4.8. კასატორის განმარტებით, მხარეები შეთანხმებული იყვნენ ამანათის დაკარგვის შემთხვევაში პასუხისმგებლობაზე (ხელშეკრულების 8.2. პუნქტი – ექსპედიტორი კომპანია ამანათის დაკარგვის ან გაუჩინარების შემთხვევაში სრულად იღებს პასუხისმგებლობას. მათ შორის კერძო პირის მიერ Ebay ან სხვა აუქციონში ნაყიდი პროდუქციის, ჩამონერილი, შეკეთებული ან ნახმარი პროდუქციის შემთხვევაში). განსახილველ შემთხვევაში, ამანათი არ დაკარგულა და შეფუთული, იგივე მდგომარეობაში, როგორც მიიღეს ამერიკის სანწყობში, ჩამოვიდა საქართველოში;

4.9. კასატორი მის (ექსპედიტორის) ბრალს გამორიცხავს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 17 მარტის №00 1853320 ვიდეო და კომპიუტერული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, რომლის თანახმად; გამოსაკვლევად წარდგენილი ვიდეო ჩანაწერების კომპლექსური ანალიზით ამანათის გახსნა ან რაიმე სახით შიგთავსთან შეხებას დასაქმებულების მიერ ადგილი არ ჰქონია და ამანათი, ობიექტზე შესვლიდან, აწონვის და კონტეინერებში მოთავსების ეტაპს გადის გაუხსნელად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს სხვაგვარად უნდა შეეფასებინა მოპასუხის პასუხისმგებლობის საკითხი და დაედგინა გარემოებები;

4.10. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით განმარტებულ FIATA-ს ტიპური წესების მე-7 მუხლთან დაკავშირებით მიუთითა, რომ მოცემული საერთაშორისო წესების ტერმინთა განმარტებაში სატრანსპორტო საექსპედიტორო მომსახურება არის ნებისმიერი სახის მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია საქონლისა და ტვირთის გადაზიდვასთან, ანუ გადასაზიდი ობიექტი განსაზღვრულია საქონელი (განცალკევებული იდენტიფიცირებული ნივთი) ან ტვირთი (გადასაზიდ სივრცეში ჩატვირთული ერთი ან რამოდენიმე ნივთი). კასატორის განმარტებით, აღნიშნული წესების მე-7 მუხლი განსაზღვრავს ტვირთების დაკარგვის შემთხვევაში ექსპედიტორის/გადამზიდავის პასუხისმგებლობას, განსახილველ შემთხვევაში გადასაზიდი ტვირთი არ დაკარგულა ყოფილა და ჩამოიტანეს იგივე მდგომარეობაში, როგორშიც მიიღეს სანწყობში;

4.11. კასატორის განმარტებით, ექსპედიტორს, გადამზიდავისგან განსხვავებით, არ აქვს შეფუთული ამანათის გახსნისა და მასში მოთავსებული ნივთების/საქონლის ცალობრივი შემოწმების უფლებამოსილება, რადგან ამანათს ექსპედიტორი იღებს სპეციალურად შეფუთულ, დალუქულ მდგომარეობაში. გამონაკლისი შემთხვევა არის, როდესაც მომხმარებელი ელექტრონული ფორმით (გადაფუთვის სერვი-

სის ჩართვა) ითხოვს ამანათის გადაფუთვას მისი ზომებში შემცირებისა და მოცულობითი წონის ღირებულების შემცირების მიზნით. განსახილველ შემთხვევაში, ამანათის შიგთავსთან ექსპედიტორს რაიმე სახის შემხებლობა არ ჰქონია, რაც დასტურდება ვიდეო-კომპიუტერული ექსპერტიზის დასკვნით;

4.12. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 733-ე მუხლი „შემკვეთს მხოლოდ განსაკუთრებული გასამრჯელოს გადახდის პირობით აძლევს უფლებას მოითხოვოს ექსპედიტორისგან ტვირთის მიღებისას მისი ცალობრივი (მათ შორის რაოდენობის, წონის) შემონმება“, შესაბამისად, არ უნდა იქნეს გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა და იურიდიული შედეგი. მოპასუხის განმარტებით, ექსპედიტორის პასუხისმგებლობა როგორც მხარეთა ხელშეკრულებით, ასევე, დასახელებული ნორმებით განისაზღვრება მხოლოდ ტვირთის, როგორც გადასაზიდი ობიექტის, დაკარგვის შემთხვევაში და არა საქართველოში ტრანსპორტირებული ამანათის შიგთავსში ნივთების არარსებობის შემთხვევაში, თუკი ამანათის გარეგანი შეფუთვა დაუზიანებელია და გაუხსნელია;

4.13. კასატორი უთითებს, რომ სამართლის ანალოგიის თვალსაზრისით იგივე რეგულაციას შეიცავს კონვენცია „ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ“, რომლის მე-17 მუხლის მიხედვით, „გადამზიდავი პასუხს აგებს ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და დაზიანებისთვის, თუ ტვირთი დაზიანდა ან დაიკარგა მისი მიღებიდან-ჩაბარებამდე დროის შუალედში, ასევე – მიტანის ვადის გადაცილებისთვის“. ამასთან, მოპასუხე საზღვაო კოდექსის 156-ე მუხლზეც უთითებს, რომლის თანახმადაც, „გადამზიდავი პასუხს აგებს გემზე მიღებული ტვირთის დაკარგვის, დანაკლისის ან დაზიანებისთვის, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ დაკარგვა, დანაკლისი ან დაზიანება გამონვეულია მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით“;

4.14. კასატორი განმარტავს, რომ სადავო ამანათის წონის საკითხი პირდაპირ კავშირშია შეფუთულ, გაუხსნელ და გარეგანად დაუზიანებელ მდგომარეობაში მიღებულ სადავო ამანათთან. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გამყიდველმა/გამომგზავნმა „ონლაინ“ მაღაზიამ თვითონ შეფუთა სადავო ამანათი, თვითონვე შექმნა ეტიკეტი ამანათისთვის და ჩააბარა აშშ ფოსტას – FedEx-ს, რაც დასტურდება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი FedEx-ის მიერ გაცემული შეკვეთის დეტალების დოკუმენტიდან და ოფიციალურ გვერდზე განთავსებული ხელშეკრულებიდან. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი შეკვეთის დეტალების დოკუმენტიდან ირკვევა, რომ შემკვეთს შეფუთვის სახედ არჩეული აქვს „თქვენი შეფუთვა“ (your package). აშშ ფოსტის საიტიდან ირ-

კვევა, რომ აღნიშნული სერვისის არჩევის შემთხვევაში, გამომგზავნი თავად ფუთავს და თავადვე აკრავს ამანათს საინფორმაციო ეტიკეტს. ([https://www.fedex.com/content/dam/fedex/us-unitedstates/shipping/images/2020/Q3/Step by step packing instructions 1983015854.pdf](https://www.fedex.com/content/dam/fedex/us-unitedstates/shipping/images/2020/Q3/Step%20by%20step%20packing%20instructions%201983015854.pdf)). ამავე ვებგვერდზე ასევე მითითებულია ინსტრუქციები ნივთის შეფუთვის და საინფორმაციო ეტიკეტის შექმნის შესახებ;

4.15. განსახილველ შემთხვევაში, „ფ-ის“ მიერ გაცემული აქტით დასტურდება, რომ ამანათის გამგზავნმა მალაზიამ (tm_space) თავად შეფუთა, შეავსო ამანათის წონისა და მოცულობის მონაცემები, შექმნა ეტიკეტი და მიიტანა „ფ-ის“ სერვის ცენტრში 2020 წლის 23 იანვარს. კასატორის განმარტებით, სარწმუნო არ არის ამანათის გამგზავნის მიერ მითითებული წონა, ვინაიდან 22 მყარი დისკის წონა 3 ლბლ-ზე ანუ 1.36 კგ.ზე მეტი შეიძლებოდა ყოფილიყო ნივთების რაოდენობიდან და მეტალის მასალისგან დამზადების გამო;

4.16. მნიშვნელოვანია, რომ სარჩელს მე-2 დანართად ერთვის „ფ-ის“ მიერ გაცემული ცნობის მხოლოდ პირველი გვერდი, თუმცა ცნობა ორგვერდიანია. მეორე გვერდზე კი მითითებულია მონაცემები გამომგზავნის მიერ „ფ-ის“ პირველ სერვისცენტრში ჩაბარებიდან, მოპასუხის ოფისში მიტანამდე განვლილი ყველა მისამართი და დრო. აღნიშნული ცნობის თანახმად, „ფ-მა“ 2020 წლის 22 იანვარს, 8:03 საათზე ელექტრონულად მიიღო გზავნილის რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაცია. 2020 წლის 23 იანვარს 5 საათზე გამომგზავნმა კალიფორნიაში, სან ხოსეს სერვის ცენტრში ჩააბარა გზავნილი, რომელმაც „ფ-ის“ სან ხოსეს სერვის ცენტრი დატოვა 7:48 საათზე. 2020 წლის 24 იანვარს, პარასკევს ღამის 2:12 საათზე, გზავნილი მიიღეს „ფ-ის“ ოუკლენდის მისამართზე, 7:33 საათზე გზავნილმა დატოვა ოუკლენდის ობიექტი და 3:30 საათზე ჩავიდა ნიუ ჯერსის შტატში ნიუარკის მისამართზე, 9:43 საათზე ამანათმა დატოვა ეს ობიექტი და მეორე დღეს 2020 წლის 25 იანვარს, დილის 3:11 საათზე ჩავიდა ფილადელფიის შტატში. ამანათი მისამართზე გაჩერდა ორი დღის განმავლობაში. ზუსტად ორი დღის შემდეგ 2020 წლის 27 იანვარს, ორშაბათს დილის 6:54 საათზე, ფილადელფიის შტატიდან ამანათი ჩავიდა „ფ-ის“ შემდეგ მისამართზე, დელავერის შტატში, ქალაქ ნიუ კასლში. 8:06 საათზე ამანათი განთავსდა „ფ-ის“ ავტომობილში და 10:14 საათზე ჩავიდა ექსპედიტორის მისამართზე, ნიუ კასლში;

4.17. კასატორის განმარტებით, ამანათის მოძრაობის ისტორიით ნათელია, რომ 5 დღის განმავლობაში, 2020 წლის 22 იანვრიდან 27 იანვრამდე ამანათმა გაიარა და გარკვეული დროით გაჩერდა 5 სხვადასხვა მისამართზე და მე-6 მისამართზე მივიდა ექსპედიტორის (მოპასუხის) საწყობში. სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია აღნიშნული გა-

რემოებები, მათ შორის, ამ დროის განმავლობაში როგორ ინახებოდა ამანათი „ფ-ის“ განთავსების ადგილებზე, ჰქონდათ თუ არა თანამშრომლებს მასთან შეხება და სხვა;

4.18. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის, დასკვნითი და კვლევითი ნაწილებით შეფასებულ დროის გამოთვლის გარემოებებს. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ ინვოისზე, თუმცა ასეთი სახელწოდების მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება. ამ გვერდებზე წარმოდგენილია შეკვეთის დეტალებისა და ამანათის ჩაბარების დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია ტვირთის ფაქტობრივი ჩაბარების დრო – 2020 წლის 27 იანვარი, 10:14 საათი;

4.19. კასატორის განმარტებით, მის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის წინაშე დასმული შეკითხვებიდან და ვიდეო – ჩანაწერებიდან გამომდინარე, დადგინდა სრულიად სხვა დრო და ექსპერტიზის დასკვნის გამოკვლევით ნაწილში მითითებულია შემდეგი: „კვლევის პროცესში ირკვევა, რომ FedEx-ის ავტომობილი, რომლითაც ამანათი მოიტანეს, ობიექტზე მოდის 19:13:58 საათზე.“ აღნიშნული ნიშნავს, რომ „დელივერის“ ანუ ჩაბარების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტში არის მცდარი საათი (10:14 საათი) მითითებული და რეალურად ფ-ის ავტომობილის სანჯობში მისვლისა და ამანათის მიტანის ფაქტობრივი დრო არის 19:13:58 საათი. ზემოაღნიშნული საკითხი სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია და მიიჩნია, რომ ექსპერტიზით დადგინდა ამანათის დაგვიანებით მიტანა, რაც მცდარია. ექსპერტიზის დასკვნის კვლევის ნაწილი შემდეგში მიუთითებს დროის გაგრძელებისა და მასში ამანათის მოძრაობის გარემოებების აღწერად ვიდეო სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერების მიხედვით;

4.20. კასატორი განმარტავს, რომ ვიდეო ჩანაწერი არის უწყვეტი და დასკვნის მიხედვით, ამანათი მუდმივად იყო ვიდეოკამერის მხედველობის არეალში, „ფ-ის“ მიერ ამანათის ობიექტზე მოტანიდან მის კონტეინერში მოთავსებამდე. შესაბამისად, ნათელია, რომ ექსპედიტორმა ჩაიბარა ზუსტად 0.19 კგ წონის ამანათი და ჩამოიტანა იგივე ამანათი გაუხსნელად;

4.21. კასატორმა მიუთითა სსკ-ის 731-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, ექსპედიტორმა კეთილსინდისიერი ექსპედიტორის გულისხმიერებით უნდა გაგზავნოს ტვირთი, შეარჩიოს გადაზიდვაში მონაწილე პირები; ამასთან, მან უნდა დაიცვას გამგზავნის ინტერესები და შეასრულოს მისი მითითებები. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეს არ დაურღვევია კეთილსინდისიერების მოვალეობა. შეასრულა სახელმეკრულეზო ვალდებულება და ჩამოიტანა ამანათი დანიშნულების ადგილას. არც გადაზიდვაში მონაწილე სხვა პირების მხრიდან დასტურდება

არაკეთილსინდისიერი ქმედება, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი ვიდეო კამერის ჩანაწერებით და ექსპერტის დასკვნით. ექსპედიტორმა ზუსტად შეასრულა შემკვეთის მითითება და მას ცალობრივ შემომნებაზე დავალება არ მიუღია;

4.22. კასატორი მიიჩნევს, რომ სსკ-ის 731-ე მუხლის და საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ექსპედიტორის მხრიდან ადგილი არ ჰქონია ტვირთის გაგზავნისა ან/და გადაზიდვაში მონაწილე პირების შერჩევაში არაკეთილსინდისიერ ქმედებას. ასევე, მოპასუხემ მიუთითა სსკ-ის 740-ე მუხლზე და გამოიციხა ექსპედიტორის ბრალი ამანათის შიგთავსთან დაკავშირებით. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანალიზა მტკიცების ტვირთი, ვინაიდან ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე ზიანის არსებობის ფაქტის და მისი ოდენობის მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს, ხოლო რადგან ექსპედიტორის პასუხისმგებლობა ბრალეულობის პრინციპს ეყრდნობა, ბრალის გამოიციხვის მტკიცების ტვირთი მოპასუხემ დაძლია;

4.23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შეფასებისა და მოპასუხის საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითი განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოპასუხე კომპანიის საკასაციო განაცხადი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს საჩივრებული გადაწყვეტილება, როგორც კანონიერი და დასაბუთებული მართლმსაჯულების აქტი.

5. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამომნებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოპასუხის საკასა-

ციო განაცხადის არსებითად განხილვის შედეგად, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ არ უნდა იქნეს გაზიარებული საკასაციო საჩივრის არგუმენტები.

6. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კრიტიერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სამართლებრივი ნორმა. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდика, თბ., 2003, გვ.64).

7. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება სსკ-ის 730.1 „ექსპედიციის ხელშეკრულებით ექსპედიტორი კისრულობს თავისი სახელითა და შემკვეთის ხარჯზე განახორციელოს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებანი. შემკვეთი მოვალეა, გადაიხადოს შეთანხმებული პროვიზია“, 731-ე „ექსპედიტორმა კეთილსინდისიერი ექსპედიტორის გულისხმიერებით უნდა გაგზავნოს ტვირთი, შეარჩიოს გადაზიდვაში მონაწილე პირები. ამასთან, მან უნდა დაიცვას გამგზავნის ინტერესები და შეასრულოს მისი მითითებები“, 739.1 „თუ სხვა შეთანხმება არ არსებობს, ექსპედიტორს უფლება აქვს საკუთარი ძალებით გადაზიდოს ტვირთი. ამ უფლების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შემკვეთის უფლებებსა და ინტერესებს“, 394.1 „მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის“, 408.1 „იმ პირმა, რომელიც ვალდებუ-

ლია აანაზლაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზლაურების მავალდებულებელი გარემოება“ და 409-ე „თუ ზიანის ანაზლაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზლაურება“ მუხლებს, რაც სავსებით მართებულად განსაზღვრა სააპელაციო სასამართლომ და მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილების საფუძველზე დაადგინა საქმის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოებები.

8. მოპასუხე (კასატორი) საწარმო ამტკიცებს, რომ ექსპედიტორს, გადამზიდვისგან განსხვავებით, არ აქვს შეფუთული ამანათის გახსნისა და მასში მოთავსებული ნივთების/საქონლის ცალობრივი შემოწმების უფლებამოსილება, რადგან ამანათს ექსპედიტორი იღებს სპეციალურად შეფუთულ, დალუქულ მდგომარეობაში. გამონაკლისი შემთხვევა არის, როდესაც მომხმარებელი ელექტრონული ფორმით (გადაფუთვის სერვისის ჩართვა) ითხოვს ამანათის გადაფუთვას მისი ზომებში შემცირებისა და მოცულობითი წონის ღირებულების შემცირების მიზნით. განსახილველ შემთხვევაში კი, ამანათის შიგთავსთან ექსპედიტორს (კასატორ მხარეს) რაიმე სახის შემხებლობა არ ჰქონია, რაც დასტურდება ვიდეო-კომპიუტერული ექსპერტიზის დასკვნით. სსკ-ის 733-ე მუხლი „შემკვეთს მხოლოდ განსაკუთრებული გასამრჯელოს გადახდის პირობით აძლევს უფლებას მოითხოვოს ექსპედიტორისგან ტვირთის მიღებისას მისი ცალობრივი (მათ შორის რაოდენობის, წონის) შემოწმება“, შესაბამისად, არ უნდა იქნეს გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა და იურიდიული შედეგი. მოპასუხის განმარტებით, ექსპედიტორის პასუხისმგებლობა როგორც მხარეთა ხელშეკრულებით, ასევე, დასახელებული ნორმებით განისაზღვრება მხოლოდ ტვირთის, როგორც გადასაზიდი ობიექტის, დაკარგვის შემთხვევაში და არა საქართველოში ტრანსპორტირებული ამანათის შიგთავსში ნივთების არარსებობის შემთხვევაში, თუკი ამანათის გარეგანი შეფუთვა დაუზიანებელია და გაუხსნელია.

9. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს (იხ. წინამდებარე განჩინების 2.1-2.4 და 3.2 ქვეპუნქტები) სავსებით საკმარისად მიიჩნევს საქმეზე შემეჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად და განმარტავს, რომ ხელშეკრულების თავისუფლება ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ხელშეკრულების დადების თავისუფლება; ბ) ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება. ხელშეკრულების შინაარსის თავისუფალი განსაზღვრა გულისხმობს იმასაც, რომ სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების

მიხედვით, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას“ (შეად. გელაშვილი ი., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III მუხლი 319, ველი 8, თბილისი, 2019); ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული ხელშეკრულების სახეები არ არის ამომწურავი. ხელშეკრულების მხარეებს, როგორც წესი უფლება აქვთ, დამოუკიდებლად აირჩიონ ხელშეკრულების ტიპიც და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი (იხ. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, გვ. 103). საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმების შედეგია. შეთანხმება გულისხმობს მხარეთა თანხვედრი ნების გამოვლენას, რომელიც მიმართულია ერთი და იმავე სამართლებრივი მიზნის მიღწევისაკენ. სახელშეკრულებო სამართალში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრას, რადგან სწორედ ამ მომენტიდან წარმოეყვებათ მხარეებს სახელშეკრულებო უფლებები და იბოჭებიან ნაკისრი ვალდებულებებით (შეად. ბალიშვილი ე., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III მუხლი 327, ველი 3, თბილისი, 2019; სუსგ №ას-680-2021, 26.01.2022წ.).

10. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულება იმყოფება სხვადასხვა ვალდებულებითი ურთიერთობის გადაკვეთაზე. განცალკევებულად, ექსპედიტორის ცალკეული ფუნქცია მოქცეულია სხვადასხვა კერძო სახელშეკრულებო ურთიერთობაში. ტვირთის ჩატვირთვა/გადმოტვირთვა წარმოადგენს ნარდობას, ტვირთის მიწოდება – გადაზიდვის ხელშეკრულებას, ტვირთის შენახვა-მიბარების ხელშეკრულებას, ტვირთის მიღება/ჩაბარება – დავალების ან კომისის ხელშეკრულებას. წარმოდგენილი მსგავსებების მიუხედავად, სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულება არ იგივდება თითოეულ განხილულ სამართალ ურთიერთობასთან და გააჩნია დამოუკიდებელი ხასიათი... FIATA-ს წესების 2.1. მუხლის თანახმად, საექსპედიციო მომსახურება ნიშნავს მომსახურების ნებისმიერ სახეს, რომელიც დაკავშირებულია: საქონლის გადაზიდვასთან (ერთი ან რამდენიმე სახეობის ტრანსპორტით), კონსოლიდაციასთან, შენახვასთან, დასაწყობებასთან, დამუშავებასა და დანიშნულებისამებრ მიწოდებასთან, ასევე დამხმარე და საკონსულტაციო მომსახურების განწევას, რომელიც დაკავშირებულია ყველა ზემოთ აღწერილ სამუშაოებთან. საქონელთან და მის გადაზიდვასთან დაკავშირებული, საბაჟო

და საგადასახადო საკითხების გადანყვევების, დეკლარირების, დაზღვევის, გადახდების განხორციელების, დოკუმენტების გაფორმების მომზადების მომსახურების ჩათვლით (კოპალეიშვილი პ., სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების ძირითადი კონსტრუქციები – სამართლის ჟურნალი №2, 2018 წ.; გვ. 204.; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

11. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ, სსკ-ის 668-ე მუხლზე დაყრდნობით, განმარტა, რომ კომპანიამ ხელშეკრულებით იკისრა არა ტვირთის გადაზიდვის, არამედ გადაზიდვის ორგანიზაციის ვალდებულება, რომელიც მოიცავდა როგორც გადაზიდვის ორგანიზებას, ასევე საბუთების გაფორმებას. ამრიგად, ეს ურთიერთობა თავისი შინაარსით, უფრო ახლოს დგას სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებასთან, თუმცა ექსპედიციის ხელშეკრულებისაგან ამ სამართალურთიერთობას განასხვავებს ის გარემოება, რომ ხელშეკრულების თანახმად შემოსენებული საწარმო მესამე პირებთან ურთიერთობაში უნდა გამოსულიყო არა საკუთარი, არამედ დამკვეთის, სახელით. აღნიშნულის საფუძველზე სასამართლომ დაასკვნა, რომ რეალურად მხარეთა შორის დადებული იყო არა გადაზიდვის ან სატრანსპორტო ექსპედიციის, არამედ დავალების ხელშეკრულება (იხ. სუსგ №ას-418-391-2010, 5.07.2010წ.). მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას, რომ მხარეთა შორის დადებული ექსპედიციის ხელშეკრულებით ექსპედიტორმა საკუთარი სახელითა და კლიენტის ხარჯით იკისრა ვალდებულება, ტვირთის დანიშნულებისამებრ მიწოდებაზე და მასვე ეკისრებოდა, როგორც სატრანსპორტო ექსპედიტორის, ასევე ტვირთის გადამზიდვის ვალდებულებებიც. მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, დაკარგა გადასაზიდად მიწოდებული ტვირთი და არ მიანოდა მოსარჩელეს დანიშნულების ადგილზე. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპედიტორი გადაზიდვას ანდობს გადამზიდველს, ის გადაზიდვის ორგანიზებასთან ერთად, იღებს ტვირთის გადაზიდვის პასუხისმგებლობასაც. ამდენად, მოპასუხეს/კასატორს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე, რადგან ექსპედიტორმა ექსპედიციის ხელშეკრულებით იტვირთა არა მხოლოდ გადაზიდვის ორგანიზება, არამედ გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობაც. „სატრანსპორტო ექსპედიცია, პრაქტიკულად, მოიცავს საქონლის ტრანსპორტირების სრულ ლოგისტიკას ტვირთის გამგზავნიდან ტვირთის მიმღებამდე“ (იხ. კოპალეიშვილი პ., სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების ძირითადი კონსტრუქციები – სამართლის ჟურნალი №2,

2018 წ.; გვ. 205.; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

12. საკასაციო სასამართლო საეხებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ დასკვნას, რომ ექსპედიტორის მიერ საკუთარ მოვალეობათა შესრულებისას „კეთილსინდისიერების პრინციპების“ დაცვის მტკიცების ვალდებულება ცალსახად ექსპედიტორის მხარესაა, რაც იურიდიულ დოქტრინასა და საკასაციო სასამართლოს პრაქტიკასთან სრულად შესაბამისია (შეად. სუსგ-ებს: №ას-745-2023, 6.06.2024წ.; №ას-11-2023, 7.04.2023წ.; №ას-1677-2018, 5.07.2022წ.; №ას-1087-2021, 21.02.2021წ.; №ას-227-212-2014, 1.12.2014წ.). სსკ-ის 731-ე მუხლის საფუძველზე, ექსპედიტორმა კეთილსინდისიერი ექსპედიტორის გულისხმიერებით უნდა გაგზავნოს ტვირთი, შეარჩიოს გადაზიდვაში მონაწილე პირები. ამასთან, მან უნდა დაიცვას გამგზავნის ინტერესები და შეასრულოს მისი მითითებები, 740-ე მუხლით ექსპედიტორი ექსპედიციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობებისათვის, ჩვეულებრივ, მაშინ აგებს პასუხს, თუ მას ან მის დამხმარეს მიუძღვის რაიმე ბრალი, ხოლო 396-ე მუხლით მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს. საქმეზე დადგენილი გარემოებების მიხედვით მოპასუხე/კასატორი, რომელიც ექსპედიტორია, როგორც ორგანიზატორი, პასუხისმგებელია მის მიერ შერჩეული დამხმარე სატრანსპორტო ორგანიზაციების/ფიზიკური პირების, მესამე პირების ბრალეულ ქმედებებზე. ამდენად, ექსპედიციის ხელშეკრულებით, მომსახურების მიმწოდებელი – ექსპედიტორი მოქმედებს საკუთარი სახელითა და შემკვეთის ხარჯით, რაც იმას ნიშნავს, რომ ქონებრივ-სამართლებრივი შედეგები მის მიერ განხორციელებული მოქმედებებისათვის ექსპედიტორს პირდაპირ არ ეხება, არამედ ეს შედეგები უშუალოდ შემკვეთის უფლებებსა და ინტერესებზე აისახება. აქედან გამომდინარე, ექსპედიტორს ბრალად შეეარაცება არა მხოლოდ უშუალოდ თავისი, არამედ იმ პირის განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედება, რომელიც ექსპედიტორს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში ეხმარება.

13. საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ FIATA-ს („ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ“) მოდელურ წესებზე მითითებას, რომლის მე-7 მუხლით განსაზღვრულია ექსპედიტორის, როგორც გადამზიდველის, პასუხისმგებლობა, კერძოდ: ექსპედიტორი ექვემდებარება პასუხისმგებლობას, როგორც პრინციპალი, არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ფაქტობრივად ახორციელებს გადაზიდვას საკუთარი სატ-

რანსპორტო საშუალებით (შემსრულებელი გადამზიდავი), არამედ იმ შემთხვევაშიც, თუ საკუთარი სატრანსპორტო დოკუმენტის გაცემით ან სხვაგვარად, მან აიღო მკაფიო ან ნაგულისხმევი ვალდებულება აიღოს გადამზიდავის პასუხისმგებლობა (კონტრაქტორი გადამზიდავი). თუმცა, ექსპედიტორი არ ჩაითვლება პასუხისმგებლად, როგორც გადამზიდავი, თუ მომხმარებელმა მიიღო სატრანსპორტო დოკუმენტი, რომელიც გაცემულია სხვა პირის მიერ, გარდა ექსპედიტორისა და გონივრულ ვადაში არ ამტკიცებს, რომ ექსპედიტორი მაინც პასუხისმგებელია როგორც გადამზიდავი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ექსპედიტორი/გადამზიდავი პასუხს აგებს, როგორც საკუთარი მოქმედებისა და დაუდევრობისათვის, ასევე თავისი აგენტების, თანამშრომლების ან სხვა პირთა მოქმედების და დაუდევრობისათვის, ვისი მომსახურებითაც სარგებლობს გადამზიდავი გადამზიდავის განხორციელებისას, როდესაც ეს აგენტები, თანამშრომლები ან სხვა პირები მოქმედებენ მათთვის დაკისრებული მოვალეობების ფარგლებში. ამდენად, დამხმარეში, აგენტებში, თანამშრომლებში (მესამე პირში) მოიაზრება გადამზიდავი (გადამზიდაველები), რომელიც ექსპედიტორმა დაიქირავა შემკვეთის ვალდებულების შესასრულებლად და მისი ინტერესებიდან გამომდინარე. „ყველა მომსახურება, რომელსაც უწევს ექსპედიტორი კლიენტს, ასრულებს ერთ მიზანს – ტვირთის გადაზიდვას ან გადაზიდვის ორგანიზებას. ტრანსპორტირებასთან კავშირის გარეშე სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულება არ არსებობს. ამდენად, სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების „დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულებაა“ ტვირთის გადაზიდვა ან გადაზიდვის ორგანიზება, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ექსპედიტორის მხრიდან ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულების ზოგად სტანდარტსაც“ (იხ. კოპალეიშვილი პ., სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების ძირითადი კონსტრუქციები – სამართლის ჟურნალი №2, 2018 წ.; გვ. 206.; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

14. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე ლობჟანიძე და ფერაძე საქართველოს წინააღმდეგ – საჩივარი №21447/11 და №35839/11 2020 წლის 27 თებერვალი – განმარტავს: „კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი ეროვნულ სასამართლოებს ავალდებულებს, ნათლად მიუთითონ საფუძვლები, რომლებსაც დაეყრდნენ გადაწყვეტილების მიღებისას (იხ. *Taxquet v. Belgium* [didi palata], no. 926/05, § 91, ECHR 2010, და *Nikolay Genov v. Bulgaria*, no. 7202/09, § 27, 13 ივლისი 2017). ვალდებულების ფარგლები შეიძლება განსხვავდებოდეს სადავო გადაწყვეტილების ბუნებიდან გამომდინარე და ის უნდა განისაზღვროს თითოეული საქმის გარემოებების გათვალისწინებით (იხ. *Ruiz Torija v. Spain*, 9 dekemberi 1994, § 29, Series A no. 303-A; *García Ruiz v. Spain* [დიდი პალატა],

no. 30544/96, § 26, ECHR 1999-I; და *Moreira Ferreira v. Portugal* (no.2) [დიდი პალატა] (no. 19867/12, § 84, 11 ივლისი 2017). ზემოაღნიშნული ვალეზულება არ მოითხოვს მომჩივნების მიერ წარმოდგენილ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. *Fomin v. Moldova*, no. 36755/06, § 31, 11 ოქტომბერი 2011), არამედ ის გულისხმობს, რომ სამართალწარმოების მხარეები უნდა ელოდნენ კონკრეტულ და მკაფიო პასუხებს იმ არგუმენტებზე, რომლებიც გადამწყვეტია სამართალწარმოების შედეგებისთვის (იხ. *Moreira Ferreira*, § 84; *Tchankotadze v. Georgia*, no. 15256/05, § 103, 21 ივნისი 2016; და *Deryan v. Turkey*, no. 41721/04, § 33, 21 ივლისი 2015). გადანწყვეტილებიდან ნათლად უნდა ჩანდეს, რომ განხილულ იქნა საქმის არსებითი საკითხები (იხ. *Boldea v. Romania*, no. 19997/02, § 30, 15 თებერვალი 2007, და *Uche v. Switzerland*, no. 12211/09, § 37, 17 აპრილი 2018; ასევე ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03).

15. მიუხედავად მოპასუხის ვრცელი საკასაციო შედავებისა, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვის ეტაპზე არ გამოიკვეთა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას მატერიალური და/ან საპროცესო ნორმების დარღვევა, რამაც გადანწყვეტილების იურიდიულ შედეგზე იქონია გავლენა, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს გადანწყვეტილება, როგორც კანონიერი და დასაბუთებული, უცვლელად უნდა დარჩეს.

16. კასატორის მიერ სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 410-ე, 399-ე, 372-ე, 264.3, 408-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სს „თ.ა.ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. დაზღვევა

დამზღვევის ბრალი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

გადანყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-1647-2023

31 ივლისი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: რ. ნადარაია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
ლ. ქოჩიაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ (შემდგგში – მოსარჩელე, კასატორი) სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში სს „ს.კ.უ-ის“ (შემდგგში – მოპასუხე) მიმართ და მოითხოვა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად, დამზღვევის მიმართ დამდგარი ზიანის 8283 ლარის ანაზღაურება.

1.2. მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარჩელი სს „ს.კ.უ-ის“ მიმართ დაკმაყოფილდა. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 8283 ლარის გადახდა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს „ს.კ.უ-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთება:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და სს „ს.კ.უ-ს“ შორის, 2022 წლის 7 ივნისს გაფორმდა დაზღვევის ხელშეკრულება, რომლითაც დაზღვეულ იქნა საჯარო რეესტრის კუთვნილი MITSUBISHI-ს მარკის ავტომანქანა, სახელმწიფო ნომრით ...

5.2. სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების 2022 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტერმინთა განმარტებების ნაწილის თანახმად, შემთხვევად განისაზღვრება შემთხვევა, როდესაც ზიანი მიადგა დაზღვეულ სატრანსპორტო საშუალებას, დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების უფლებამოსილი მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობას ან დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების უფლებამოსილი მძღოლის მიერ ექსპლუატაციისას დამზღვევს წარმოეშვა პასუხისმგებლობა მესამე პირის მიმართ. იმავე დოკუმენტის 1-ლი ნაწილის მე-2 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისგან, თუ დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა დადგა უხეში გაუფრთხილებლობით.

5.3. 2022 წლის 30 ივნისს 13:54 საათზე ზუგდიდის რაიონის სოფელ ... დაზიანდა დაზღვეული ავტომობილი. ადგილზე გამოწერილი საჯარო ქვითრის მიხედვით, სამართალდამრღვევად ცნობილ იქნა ჯ. ე-ძე, ხოლო სამართალდარღვევის საფუძვლად მითითებულ იქნა, რომ მძღოლმა ვერ უზრუნველყო ავტომანქანის სწორი მართვა, რა დროსაც შეეჯახა ელექტრო ბოძს. ადგილზე შედგენილი გამოკითხვის ოქმის თანახმად, ჯ. ე-ძემ განმარტა, რომ ავტომობილის დაქოქვის შემდეგ, ჩაადგო უკანა სვლის სიჩქარეში, უნდოდა უკან მოძრაობა, მაგრამ ავტომანქანა წავიდა წინ და შეეჯახა ბეტონის ელექტრო ბოძს, რასაც შედეგად მოჰყვა ავტომობილის დაზიანება. მოძრაობის დაწყების დროს ავტომანქანა ელექტრო ბოძიდან დაშორებული იყო დაახლოებით ერთი მეტრით.

5.4. დაზღვეული ავტომობილის მძღოლმა, ჯ. ე-ძემ სადაზღვევო კომპანიას განუცხადა შემდეგი – „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მანქანა მეყენა ელექტრო გადამცემ ბოძთან ახლოს, როდესაც მანქანაში დავჯექი და გადავრთე უკუსვლის რეჟიმში, უცებ წინ გამიქნია და დაზიანდა მანქანის ფრთები, ე.წ. კაპოტი, ბუფერი და ფარები“.

5.5. სადაზღვევო კომპანიის 2022 წლის 15 სექტემბრის წერილით (საჯარო რეესტრის კანცელარიაში რეგისტრაციის თარიღი: 19.09.2022; ნომერი: 253748/...) საჯარო რეესტრს უარი ეთქვა ზარალის ანაზღაურ-

რებაზე. უარის თქმის საფუძვლად მითითებულია, რომ შემთხვევა დადგა უხეში გაუფრთხილებლობით.

5.6. სადავო სადაზღვევო შემთხვევით დამდგარმა ზიანმა შეადგინა 8283 ლარი, შპს „კ. მ-ის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი ...) 2022 წლის 16 ივლისის ინვოისი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება:

5.7 პალატამ ყურადღება გაამახვილა მხარეთა შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულების პირობებსა და სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლის მოთხოვნებზე ერთობლივად და აღნიშნა, რომ ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტებით შეთანხმდა გამონაკლისი შემთხვევები, რომლებიც დამზღვევს ათავისუფლებდა სადაზღვევო ანაზღაურებისგან. მათ შორისა იყო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების 2022 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის 1-ლი ნაწილის მე-2 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისგან, თუ დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა დადგა უხეში გაუფრთხილებლობით. შესაბამისად, მხარეებმა, სახელშეკრულებო პირობით დაადასტურეს სსკ-ის 829-ე მუხლით გათვალისწინებული პირობა და თავად გამოიციხეს მზღვეველის ვალდებულება ისეთი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, როდესაც შედეგი გამოწვეული იქნებოდა დაზღვეულის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.

5.8. პალატამ მიუთითა, რომ პირველ რიგში შესაფასებელი იყო დაზღვეული და დაზიანებული ავტომობილის მძღოლისა და მოსარჩელის მიერ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით გაკეთებული განმარტებების საფუძვლიანობა. მოსარჩელის განმარტებით, ავტომობილის დაძვრისას მძღოლმა გადაცემათა კოლოფი მომართა უკუ სვლის რეჟიმში, თუმცა შემთხვევის ადგილის რელიეფური მდგომარეობის გათვალისწინებით ავტომობილი წინ დაგორდა და შეეჯახა ელექტრობოძს. პალატამ აღნიშნა, რომ საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად მოსარჩელეს რაიმე მყარი მტკიცებულება, გარდა შემთხვევის ადგილის ფოტოსურათებისა, საქმეში არ წარმოუდგენია. თავის მხრივ მოპასუხე მხარემ, რომელიც უთითებდა უფლებამოსილი მძღოლის უხეშ გაუფრთხილებლობაზე, წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შეფასებული არ ყოფილა. აღნიშნული დასკვნის თანახმად, შემთხვევის ადგილის დახრის, ზედაპირის მდგომარეობის და სხვა პირობების (ქვები, ჩაღრმავება, ბალახი და სხვა) გათვალისწინებით, ავტომანქანა ვერ გაგორდებოდა ვერც გადაცემათა ცვლის კოლოფის მართვის ბერკეტის ნეიტრალურ პოზიციაში ყოფნისას და ვერც გამორთული გადაბმულობის პირობებში; გადაცემათა

მექანიკურად ცვლის კოლოფის მექანიზმების, სისტემების და მოწყობის გათვალისწინებით, ტექნიკურად გამართული ავტომობილის კოლოფის მართვის ბერკეტის უკუსვლის პოზიციაში გადართვის შემთხვევაში შეუძლებელია გადაბმულობის ჩართვის შემდგომ ავტომობილი წავიდეს წინ. პალატამ მითითებული დასკვნის შინაარსისა და იმის გათვალისწინებით, რომ ექსპერტიზის დასკვნის საწინააღმდეგო რაიმე წონადი არგუმენტი ან მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარმოუდგენია, დადგენილად მიიჩნია, რომ დაზღვეული ავტომობილის მძღოლმა ავტომობილის დაძვრისას გადაცემათა კოლოფი მომართა წინა სვლის რეჟიმში და გაზის საფეხურზე პედალირების შედეგად ავტომობილი შეეჯახა ბეტონის ბოძს. პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ ფოტოსურათებზე აღბეჭდილ ავტომობილის დაზიანებებზე და მიიჩნია, რომ შეუძლებელია ავტომობილმა ერთი მეტრის მანძილზე მხოლოდ დაგორებით ისეთი სიჩქარე განავითაროს, მით უფრო სწორ რელიეფზე, რომ ასეთი დაზიანება მიიღოს. პალატამ ემპირიული ცოდნის საფუძველზე მიიჩნია, რომ მძღოლმა ავტომობილი მხოლოდ წინსვლის რეჟიმში კი არ მომართა, არამედ საკმაოდ მძლავრად დაძრა, ერთ მეტრში მდგომ ელექტრო ბოძს შეეჯახა მთელი ძალით, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად დაზიანდა ავტომობილი.

5.9. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სააპელაციო საამართლომ მიიჩნია, რომ მძღოლის მიერ საჭირო იყო უმარტივესი მანევრის განხორციელება, რა დროსაც მძღოლს მის წინ დაახლოებით ერთ მეტრში მდგარი ერთადერთი ბეტონის ბოძისათვის უნდა აერიდებინა მართვის ქვეშე მყოფი ავტომობილი. მძღოლის მიერ მანევრის შესრულების დროს რაიმე გარე ფაქტორებს, რასაც შეიძლებოდა ობიექტურად შეეშალა ხელი მძღოლის ყურადღების კონცენტრირებისათვის, ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, ბეტონის ბოძთან დაჯახება, პალატის მოსაზრებით, მეტყველებს ავტომობილის მართვის საბაზისო ნესების უხეშ დარღვევაზე, რაც ვერანაირად ვერ იქნებოდა შეფასებული მარტივ გაუფრთხილებლობად სსკ-ის 829-ე მუხლის მიზნებისთვის და გამორიცხავდა სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 25 იანვრის განჩინებით, სსკ-ის 396-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად.

8. საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

8.1. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა აღნიშნულ საკითხზე საკასაციო პალატის მიერ დადგენილი პრაქტიკა, არასწორად დაადგინა საქმეზე სადავო ფაქტობრივი გარემოებები და არასწორი შეფასება მისცა მათ. არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შემთხვევის დროს ავტომანქანას სიჩქარე განვითარებული არ ჰქონია, აღნიშნული კი, საკასაციო სასამართლოს არაერთ საქმეში მითითებული განმარტების მიხედვით, მარტივ გაუფრთხილებლობად ფასდება. მძღოლის მიმართ გამოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა აქტითაც (საჯარიმო ქვითარი) დასტურდება, რომ მძღოლი არ იყო ალკოჰოლური თუ ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ, ავტომანქანაში იმყოფებოდა მარტო, შესაბამისად, ავტომანქანაში არ იყო მგ ზავრთა გადაჭარბებული რაოდენობა, მოძრაობის დაწყებამდე მძღოლმა მანქანა ჩააგდო უკანა სვლის გადაცემათა კოლოფში ყველა ნორმის დაცვით, მაგრამ გზის საფარის უსწორმასწორობისა და დამრეცი ტერიტორიის გამო, მძღოლის განზრახვის გარეშე, მანქანა დაგორდა წინა მიმართულებით. კასატორის მოსაზრებით, შესაძლოა სახეზე იყოს გაუფრთხილებლობა, მაგრამ მარტივი და არა უხეში.

8.2. კასატორს მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ მძღოლი ავტომანქანის გადაცემათა კოლოფს შეცდომით მომართავდა წინა მიმართულებით სვლისათვის, ნაცვლად, უკანა მიმართულებით სვლისა, სახეზე იქნებოდა მარტივი გაუფრთხილებლობა, მძღოლის მარტივი უყურადღებობა, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მზღვეველის მიერ ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძვლად.

8.3. საკასაციო საჩივრის ავტორი ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობაზე, რომლის თანახმად, მძღოლმა ავტომანქანა საკმაოდ მძლავრად დაძრა, რის შედეგადაც ერთ მეტრში მდგომ ბოძს შეეჯახა მთელი ძალით. საპელაციო პალატის აღნიშნულ მსჯელობას კასატორი არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ ავტომანქანას ძლიერი დაზიანება არ აღენიშნება. ამასთან, აღნიშნული შემთხვევა მაღალი სიჩქარით დაჯახებისგან რომ იყოს გამონეული, ეს პირველ რიგში აღნიშნული იქნებოდა პატრულის მიერ შედგენილი ოქმში. ასევე, ძლიერი დაჯახების შედეგად გაიხსნებოდა უსაფრთხოების ბალიში, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ ჰქონია ადგილი. ფოტოებიდან ნათლად ირკვევა, რომ მძღოლმა ყველანაირად სცადა თავიდან აერიდებინა ავტოსაგზაო შემთხვევა, საჭე უკიდურეს მარჯვენა მხარეს მომართა, რათა არიდებოდა მის წინ განთავსებულ ბოძს, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ბოძი განთავსებული იყო ძალიან ახლოს და ავტომანქანა იყო დიდი გაბარიტების მქონე, დროის სიმცირის გამო ვერ მოასწრო ბოძისათვის

მანქანის სრულად არიდება. ფოტოებიდან დგინდება, რომ ავტომანქანა უკიდურესი მარცხენა ნაწილით არის ბოძზე დაჯახებული, ხოლო საბურავები მიმართულია უკიდურეს მარჯვენა მხარეს.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 25 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

10. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

11. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

12. სადაზღვევო შემთხვევით გამონვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლია სსკ-ის 799-ე მუხლის პირველი ნაწილი (დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა, აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა,

გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება), ამავე კოდექსის 820-ე (ზიანის დაზღვევისას მზღვეველმა ზიანი უნდა აანაზღაუროს ფულით) და 821-ე (მზღვეველი ზიანს ანაზღაურებს მხოლოდ სადაზღვევო თანხის ფარგლებში) მუხლები.

13. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის გაფორმებულია დაზღვევის ხელშეკრულება; სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანდა დაზღვეული ავტომანქანა. მზღვეველი სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე უარს აცხადებს იმ საფუძველით, რომ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი მოქმედებდა უხეში გაუფრთხილებლობით. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის მოპასუხის მიერ ანაზღაურების საფუძვლის არსებობა.

14. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლის თანახმად, მზღვეველი თავისუფლდება საკუთარი მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დამზღვევმა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. ამდენად, განსახილველ დავაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, მართებულად შეფასდეს მძღოლის ბრალეულობა, კერძოდ, მისი მხრიდან ვლინდებოდა უხეში გაუფრთხილებლობა თუ მარტივი გაუფრთხილებლობისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ჰქონდა ადგილი. აღნიშნული განაპირობებს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. ამასთან, დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე წამოჭრილი დავის დროს მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება: სადაზღვევო შემთხვევასა და მიღებულ ზიანს შორის *causa proxima*-ს არსებობა დამზღვევმა უნდა ამტკიცოს, მზღვეველმა კი უნდა დაასაბუთოს, რომ ზიანის გამომწვევი მიზეზი კანონის ან ხელშეკრულების გამონაკლისია და მასზე ვერ გავრცელდება სადაზღვევო დაფარვა (იხ.: №ას-1091-2022, 23.02.2023წ.).

15. სამოქალაქო კანონმდებლობა არ ქმნის უხეში გაუფრთხილებლობის ლეგალურ დეფინიციას. ამდენად, მისი არსებობა უნდა დადგინდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი და ლოგიკური შეფასების შედეგად. მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობა არის მეტისმეტი დაუდევრობა, უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელ ყურადღებას არ იჩენს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით (იხ.: სუსგ №ას-1306-1226-2015, 01.07.2016წ.; №ას-865-2023, 29.09.2023წ.; №ას-422-2023, 9.11.2023წ.). უხეში გაუფრთხილებლობა გულისხმობს აუცილებელი წინდახედულობის ნორმების განსაკუთრებით მძიმე დარღვევას (იხ.: სუსგ №ას-654-2019, 26.06.2020წ.; №ას-499-2023, 7.06.2023წ.).

გამორიცხვის მეთოდით, მარტივ გაუფრთხილებლობად შეფასდება ყველა ის მოქმედება, რომელიც არ წარმოადგენს აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას, როგორცაა: დაშვებული სიჩქარის 80-100%-ით გადაჭარბება, უმიზეზოდ საპირისპირო მოძრაობის ზოლში გადასვლა, ქარაფშუტულად, სათანადო გათვლების გარეშე, დაკავებული ზოლიდან გამოსვლით იმავე ზოლში თანხედენილი მიმართულებით წინ მოძრავი ერთი ან რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების გადასწრება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ასევე, სახანძრო და სხვა სპეციალური ტრანსპორტისათვის გზის დაუთმობლობა, ავტომანქანის სამართავად გადაცემა მართვის უფლების არმქონე ან არაფხიზელი მესამე პირისათვის და ა.შ. (იხ.: სუსგ №ას-1306-1226-2015, 01.07.2016წ.; №ას-1091-2022, 23.02.2023წ.). სადაზღვევო ხელშეკრულებაში/პოლისში საგამონაკლისო ნორმების იმპლემენტაციის დანიშნულებაა ამომწურავად განისაზღვროს იმ გარემოებათა/ქმედებათა წრე, რაც მზღვეველის პასუხისმგებლობას გამოორიცხავს, ყველა სხვა შემთხვევა კი, დაზღვევის ინტერესების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. საგამონაკლისო შემთხვევების გაფართოების დაშვება, ეწინააღმდეგება ხელშეკრულებაში ამგვარი დათქმების ჩართვის მიზანს. მხარეები თავისუფალი ნების გამოვლენის პირობებში დებენ ხელშეკრულებას და თვითონვე განსაზღვრავენ სახელშეკრულებო ურთიერთობების იმპერატიულ და დისპოზიციურ ნესებს, რომელსაც ორივე მხარე განუხრელად უნდა დაემორჩილოს და იცავდეს. საგამონაკლისო დათქმები სადაზღვევო ხელშეკრულების სწორედ იმპერატიულ დანაწესთა იმ წყებას მიეკუთვნება, რომელიც სადაზღვევო თანხის ანაზღაურებისათვის დაუშვებლად მიჩნეულ ქმედებათა სრულ სპექტრს განსაზღვრავს (შეად. სუსგ-ებს: №ას-1147-1067-2017, 29.12.2017წ.; №ას-618-618-2018, 16.11.2020წ.). ამდენად, დაზღვევის საგამონაკლისო შემთხვევები ვინროდ უნდა განიმარტოს, იმგვარად, რომ მზღვეველთა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება არ წახალისდეს და ამით საფრთხე არ დაემუქროს სამართლებრივ სივრცეში დაზღვევის სამართლებრივ დანიშნულებასა და მიზანს.

16. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის სადავო არ არის ზიანის არსებობის ფაქტი და ზიანის გამომწვევი სუბიექტი, ასევე სადაზღვევო შემთხვევასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, მხარეთა შორის სადავოა მხოლოდ გასაჩივრებული გადანყვეტილებით მძღოლის მართლსაწინააღმდეგო ქმედების „უხეშ გაუფრთხილებლობად“ კვალიფიკაცია. შესაბამისად, სადავო შემთხვევის სწორად გადაწყვეტისათვის უნდა შეფასდეს მძღოლის (მოსარჩელე) ქმედება, კერძოდ, მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა თუ არა „უხეშ გაუფრთხილებლობას“, თუ ვლინდება მარტივი გაუფრთხილებლობისათვის დამახასი-

ათებელი ნიშნები, ვინაიდან, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება უხეში გაუფრთხილებლობა, ეს გამოორიცხავს მზღვეველის პასუხისმგებლობას (სსკ-ის 829-ე მუხლი) კანონისა და მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

17. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია დაზღვევის მომსახურების სატენდერო დოკუმენტაცია, რომლის 1-ლი ნაწილის 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, კონსოლიდირებული ტენდერით განსაზღვრული ერთ-ერთი სადაზღვევო რისკია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (არ აქვს მნიშვნელობა ვისი მიზეზით ხდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა), მიუხედავად იმისა, მოძრაობდა, თუ იმყოფებოდა გაჩერებულ მდგომარეობაში დაზღვეული სატრანსპორტო საშუალება. მითითებული სატენდერო დოკუმენტაციის მეორე მუხლი შეეხება საერთო გამონაკლისებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევით დამდგარი ზიანი. აღნიშნული მუხლის „ო“ ქვეპუნქტი განმარტავს, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანი არ ანაზღაურდება უხეში გაუფრთხილებლობისას. „უხეში გაუფრთხილებლობის“ ლეგალურ დეფინიციას კი, როგორც უკვე აღნიშნა სამოქალაქო კანონმდებლობა არ იძლევა და მისი წინაპირობები ხელშეკრულებით არც მხარეებს განუსაზღვრავთ. შესაბამისად, საკასაციო პალატამ დაზღვევის ნორმების სამართლებრივი ანალიზისა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, კონკრეტულ შემთხვევაში არსებული ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით უნდა შეაფასოს აღნიშნული საკითხი.

18. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ შემთხვევის დადგომის დროს მძღოლის მიერ ავტომანქანის სიჩქარის განვითარება, არ დასტურდება. შესაბამისად, სიჩქარის იმ ხარისხის გადაჭარბებას, რაც მძღოლის მხრიდან აუცილებელი წინდახედულობის ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევად შეფასდება, ადგილი არ ჰქონია. მძღოლის მიმართ შედგენილი საჯარიმო ქვითრით დგინდება, რომ მძღოლი არ იყო ალკოჰოლური თუ ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ და ავტომანქანაში იმყოფებოდა მარტო, ანუ მანქანაში არ იყო მგზავრთა გადაჭარბებული რაოდენობა. ასევე დადგენილია, რომ ავტომანქანა იდგა განათების ბოძთან დაახლოებით ერთ მეტრში. ფაქტია, რომ მძღოლს ავტომანქანის ბოძისათვის ასაცილებლად უკუსვლა უნდა განეხორციელებინა, თუმცა, ავტომანქანა წინ დაძრა და შეეჯახა განათების ბოძს. სააპელაციო სასამართლომ მძღოლის ქმედების უხეშ გაუფრთხილებლობად კვალიფიკაციისათვის ყურადღება გაამახვილა შემდეგზე: საექსპერტო კვლევის შედეგების მხედველობაში მიღებით, კერძოდ იმის გათვალისწინებით, რომ დაღმართის არარსებობის გამო ავტომობილი თავისით ვერ დაგორდებოდა (მითუმეტეს ერთი მეტრის

მონაკვეთში ასეთი ძალით ვერ დაგორდებოდა) და ასევე იმის მხედველობაში მიღებით, რომ უკუსვლის რეჟიმში მომართვის შემთხვევაში ავტომობილი წინ ვერანაირად ვერ შეძლებდა გადაადგილებას, მიიჩნია, რომ დაზღვეული ავტომობილის მძღოლმა ავტომობილის დაძვრისას გადაცემათა კოლოფი მომართა წინა სვლის რეჟიმში და გაზის საფეხურზე პედალირების შედეგად ავტომობილი შეეჯახა ბეტონის ბოძს. პალატამ ასევე მიიჩნია, რომ მძღოლმა ავტომობილი მხოლოდ წინსვლის რეჟიმში კი არ მომართა, არამედ საკმაოდ მძლავრად დაძრა, რის შედეგადაც ერთ მეტრში მდგომ ელექტრო ბოძს შეეჯახა მთელი ძალით, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად დაზიანდა ავტომობილი. იმ პირობებში, როდესაც ავტომობილს ერთ მეტრში ჰქონდა დაბრკოლება, მძღოლმა მინიმალური ყურადღების მოთხოვნის დარღვევით, არასწორად მომართა გადაცემათა კოლოფი და კვლავ მინიმალურ მოთხოვნათა დარღვევით მძლავრად დაძრა ავტომობილი. ავტომობილის მძლავრ აქსელერაციას რომ არ ჰქონოდა ადგილი, გადაცემათა კოლოფის არასწორად მომართვის პირობებშიც კი შესაძლოა, რომ მძღოლს მოესწრო რეაგირება და თავიდან აერიდებინა ავტომობილის დაზიანება. შესაბამისად, ასეთ უწყინარ ვითარებაში (ზაფხულის მშრალ ამინდში, დღისით), იმ უმარტივესი მანევრის განხორციელებისას, რა დროსაც მძღოლს მისგან წინ დაახლოებით ერთ მეტრში მდგარი ერთადერთი ბეტონის ბოძისათვის უნდა აერიდებინა მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილი, ასეთი დარღვევების დაშვების შედეგად, მთელი ძალით ბეტონის ბოძთან დაჯახება, პალატის მოსაზრებით, მეტყველებს ავტომობილის მართვის საბაზისო წესების უხეშ დარღვევაზე, რაც ვერანაირად ვერ იქნება შეფასებული მარტივ გაუფრთხილებლობად სსკ-ის 829-ე მუხლის მიზნებისთვის. საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს ამ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს და აღნიშნავს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა ძირითადად დაკავშირებულია მძღოლის მხრიდან გარკვეულ უყურადღებობასთან/შეცდომასთან. მოცემულ შემთხვევაში, მანქანა არ იდგა დაღმართზე, თუმცა ის უკუსვლის ნაცვლად, წინ დაიძრა, რაც ერთმნიშვნელოვნად მძღოლის შეცდომის შედეგია (საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა გამორიცხავს, ტექნიკურად გამართული ავტომობილის კოლოფის მართვის ბერკეტის უკუსვლის პოზიციაში გადართვის შემთხვევაში, გადაბმულობის ჩართვის შემდგომ, ავტომანქანის წინ წასვლას). დადგენილია, რომ ავტომანქანა გაჩერებული იყო განათების ბოძთან ახლოს. ავტომანქანის უკუსვლის ნაცვლად წინ დაძვრა, მძღოლისათვის, თავისთავად გამოიწვევდა მოულოდნელობას და სწორედ განათების ბოძთან ახლოს მდებარეობა უმცირებდა მას შემთხვევის თავიდან აცილების შესაძლებლობას, თუნდაც მინიმალური უყურადღებობის პირობებში. ამდენად, ასეთი გარემოებების ერთობლიობა, იძ-

ლევა იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ მოცემული ავტოსაგზაო შემთხვევა არ გამოწვევია მძღოლის მიერ წინდახედულობის ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას, მითუმეტეს იმ პირობებში, რომ შემთხვევის დადგომისას მძღოლი არ იყო ნასვამი. რაც შეეხება სააპელაციო პალატის მითითებას მასზედ, რომ მძღოლმა მძღავრად დაძრა ავტომანქანა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოძს არ დაეჯახებოდა, პალატა ასევე ვერ გაიზიარებს, რადგან სააპელაციო პალატის მიერ მითითებული სიმძლავრით ავტომანქანის დაძვრის შემთხვევაში, ავტომანქანის საბურავები დატოვებდა შესაბამის კვალს, ავტომანქანის მიერ ასეთი კვალის დატოვების ფაქტი კი სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი არ არის. ამასთან, ასეთი კვალის დატოვების ალბათობა მაღალია იმ დროს, როდესაც მანქანა დგას შერეული გრუნტის მქონე ზედაპირზე, რომელიც ნაწილობრივ დაფარულია მიწით, ხოლო ნაწილობრივ ხრეშით, რასაც ამ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომისას მძღოლის მხრიდან ადგილი არ ჰქონია იმ ხარისხის უყურადღებობას, რომელიც შეიძლება შეფასდეს უჩვეულოდ მაღალი ხარისხის უყურადღებობად, რაც თავის მხრივ, ქმედების უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილად მიჩნევის შესაძლებლობას იძლევა.

19. საკასაციო პალატა ითვალისწინებს მყარად დადგენილ პრაქტიკას, რომლის თანახმად, ყველა ის მოქმედება, რომელიც არ წარმოადგენს აუცილებელი წინდახედულობის ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას, გამორიცხვის მეთოდით უნდა შეფასდეს მარტივ გაუფრთხილებლობად და მიიჩნევის, რომ არ იკვეთება მძღოლის მიერ წინდახედულობის ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევად მიჩნევის საფუძველი. მძღოლის მიერ უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებას ვერ ადასტურებს ასევე მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, ვინაიდან, მასში მითითებული არ არის რაიმე ისეთი გარემოების შესახებ, რაც მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების მკვეთრად დარღვევას და თავისი მოქმედებით აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნების უჩვეულოდ მაღალი ხარისხით დაუმორჩილებლობას დაადასტურებდა. შესაბამისად, აღნიშნული დასკვნის გაზიარების შემთხვევაშიც, დაზღვევის საგამონაკლისო შემთხვევის არსებობა არ დასტურდება, ხოლო მხარეებმა სადაზღვევო რისკად მიიჩნიეს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა ისე, რომ არ აქვს მნიშვნელობა ვისი მიზეზით მოხდება იგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მზღვევლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი არ იკვეთება.

20. რაც შეეხება სააპელაციო პალატის მითითებას, მოსარჩელის მიერ სათანადო მტკიცებულებების წარუდგენლობაზე, საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მხარეთა ახსნა-განმარტების საფუძველზე, სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების ერთობლიობა იძლევა მძლოლის მოქმედების მარტივ და არა უხემ გაუფრთხილებლობად შეფასების საშუალებას და არამართლზომიერია ამ მოტივით სადაზღვევო კომპანიის უარი ზიანის ანაზღაურებაზე.

21. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ უმნიშვნელოვანესია სსკ-ის 829-ე მუხლით გათვალისწინებული დაზღვევის საგამონაკლისო შემთხვევის ვიწრო განმარტება, იმგვარად, რომ მზღვევლები პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებაზე არაკეთილსინდისიერად არ წახალისდნენ და ამით, საფრთხე არ დაემუქროს სამართლებრივ სივრცეში დაზღვევის სამართლებრივ დანიშნულებასა და მიზანს (იხ.: სუსგ №ას-1479-2019, 21.01.2020წ.; №ას-595-2022, 28.04.2023წ.). განსახილველ შემთხვევაში კი, აუცილებელი წინდახედულობის ნორმის ფარგლების განსაკუთრებით მძიმედ დარღვევის დამადასტურებელი დამატებითი ფაქტორების გარეშე, ავტომანქანის განათების ბოძზე შეჯახების უხემ გაუფრთხილებლობად მიჩნევა, ნორმით დადგენილი საგამონაკლისო შემთხვევის ვრცლად განმარტება იქნებოდა.

22. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და სარჩელი დაკმაყოფილდეს. სს „სადაზღვევო კომპანია უ-ს“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 8283 ლარის ანაზღაურება.

23. სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ,

მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადანყვეტილებით დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადანყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

24. განსახილველ შემთხვევაში, სსკ-ის 53-ე მუხლის დანაწესის შესაბამისად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 662.64 (248.49+414.15) ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ნოემბრის გადანყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება;
3. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარჩელი სს „ს.კ.უ-ის“ მიმართ დაკმაყოფილდეს;
4. სს „ს.კ.უ-ს“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს 8283 ლარის გადახდა;
5. სს „ს.კ.უ-ს“ (...) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (...) სასარგებლოდ დაეკისროს პირველი და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 662.64 (248.49+414.15) ლარის ანაზღაურება.
6. საკასაციო სასამართლოს გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაფლავების ბრალი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-978-2023

26 დეკემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის

შემადგენლობა: თ. ძიმისტარაშვილი
(თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ქოჩიაშვილი,
ა. ძაბუნძიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სარჩელის მოთხოვნა და საფუძვლები

1.1. სსიპ „შემოსავლების სამსახურმა“ (შემდეგში: მოსარჩელე, მეორე აპელანტი, მეორე კასატორი) სარჩელით მიმართა სასამართლოს, მოითხოვა სს „ს.კ.უ-ისთვის“ (შემდეგში: მოპასუხე, პირველი აპელანტი, პირველი კასატორი) 9 000 ლარის დაკისრება, ასევე, 2022 წლის 23 ივნისიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად პირგასამტეხლოს – შეუსრულებელი ვალდებულების 9 000 ლარის 0.2%-ის გადახდა.

1.2. 2021 წლის 30 დეკემბერს მხარეთა შორის დაიდო №1/301221/3 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებებისათვის სადაზღვევო მომსახურების განევა. 2022 წლის 11 მაისს სსიპ შემოსავლების სამსახურის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება RENAULT LOGAN სახელმწიფო ნომრით ... დაზიანდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად. შპს „გ.მ-ის“ შეფასებით, დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენა მიზანშეწონილი არ არის. ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩასაბარებელი (სალიკვიდაციო) ღირებულება შეადგენს 2 000 ლარს. ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაზრო ღირებულება დაუზიანებელ მდგომარეობაში შეადგენს 9500 ლარს. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ავტოსატრანსპორტო საშუალების საბალანსო ღირებულებაა 9 000 ლარი. 2022 წლის 12 მაისს სადაზღვევო კომპანიას წარედგინა განაცხადი ავტოსატრანსპორტო საშუალების ზი-

ანის ფაქტზე. 2022 წლის 22 ივნისს მოპასუხემ მოსარჩელეს აცნობა, რომ უარს აცხადებდა ზიანის ანაზღაურებაზე, რადგან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამონწვეული იყო მძღოლის უყურადღებობით, გულგრილობით, მეტისმეტი დაუდევრობით. რასაც არ ეთანხმება მოსარჩელე.

2. მოპასუხის შესაგებელი

2.1. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მძღოლს უნდა შეესრულებინა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები, სწორად უნდა შეერჩია მოძრაობის სიჩქარე, უნდა ემოძრავა კანონით განსაზღვრულ სამოძრაო ზოლში და მისი ქმედებები არ გამოიწვევდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას. სისხლის სამართლის საქმეზე 2022 წლის 2 ივნისის გამოძიების შეწყვეტის დადგენილებით, 2022 წლის 22 ივნისის ექსპერტიზის დასკვნით, ფოტო მტკიცებულებებითა და მზღვეველის ცხელ ხაზზე განხორციელებული ზარით დგინდება, რომ მძღოლი არ მართავდა ავტომობილს სათანადო წინდახედულობის ფარგლებში. მისი ქმედების შედეგად პირდაპირ დაირღვა „სადაზღვევო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი აკრძალვა სიჩქარის გადაჭარბების შესახებ, ასევე დისტანციის დაუცველობის შესახებ, რაც უნდა შეფასდეს მძღოლის უხეშ გაუფრთხილებლობად. მოპასუხემ ასევე სადავოდ გახადა ზიანის ოდენობა. მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, ანაზღაურების შემდეგ მზღვეველს უნდა გადაეცეს დაზიანებული ავტომანქანა, რაც განსახილველი დავის ფარგლებში ვერ მოხდება. შესაბამისად, საბალანსო ღირებულებას უნდა გამოაკლდეს დაზიანებული ავტომანქანის ჩასაბარებელი სალიკვიდაციო ღირებულება 2 000 ლარი და მოთხოვნა უნდა იყოს არა 9 000, არამედ, 7 000 ლარი. მოპასუხე ასევე არ ეთანხმება მოთხოვნას პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ და აღნიშნავს, რომ მოთხოვნილი პირგასამტეხლო აღემატება სასარჩელო მოთხოვნას, რაც არასამართლებრივია და მხარის უსაფუძვლო გამდიდრების მცდელობაა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე კომპანიას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 9 000 ლარის გადახდა და 2022 წლის 23 ივნისიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ყოველდღიურად პირგასამტეხლოს – შეუსრულებელი ვალდებულების – 9 000 ლარის 0.02%-ის გადახდა (რაც ყოველდღიურად შეადგენს 1.8 ლარს).

4. მხარეთა სააპელაციო მოთხოვნები

4.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-

ლეგის 2022 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრები წარადგინეს როგორც მოსარჩელემ, ასევე მოპასუხემ. მოსარჩელემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა, ხოლო, მოპასუხემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 14 ივნისის განჩინებით მხარეთა სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

5.2. მხარეთა შორის 2021 წლის 30 დეკემბერს დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 1/301221/3 ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებებისათვის სადაზღვევო მომსახურების განწევა.

5.3. ხელშეკრულების 10.1. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაფეროვნად შესრულების ან/და ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში, მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო, შეუსრულებელი ვალდებულების 0.2%-ის ოდენობით. ხოლო, ხელშეკრულების 10.2. პუნქტის შესაბამისად, პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს „მხარის“ მიერ მეორე „მხარისადმი“ გაგზავნილ შესაბამის შეტყობინებაში მითითებული ვადიდან არაუგვიანეს 15 დღის განმავლობაში.

5.4. დადგენილია, რომ 2022 წლის 11 მაისს მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს დაზიანდა მოსარჩელის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება – RENAULT LOGAN სახელმწიფო ნომრით – ... (იხ. ელექტრონული საჯარიმო ქვითარი, 2022 წლის 2 ივნისის დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს ცნობა).

5.5. შპს „გ. მ-ის“ 2022 წლის 13 ივნისის დეფექტური აქტის თანახმად, დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენა მიზანშეწონილი არ არის. ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩასაბარებელი (სალიკვიდაციო) ღირებულება შეადგენს 2 000 ლარს. ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაზრო ღირებულება დაუზიანებელ მდგომარეობაში შეადგენს 9 500 ლარს.

5.6. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ 2022 წლის 2 ივნისის დადგენილებით, შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის №075110522002 საქმეზე, ტრანსპორტის მოძრაობის უსაფ-

რობოების ნესის დარღვევის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო.

5.7. დადგენილია, რომ მოპასუხე სადაზღვევო კომპანიამ უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე, იმ საფუძველზე მითითებით, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამონვეული იყო მძღოლის უყურადღებობით, გულგრილობით, მეტისმეტი დაუდევრობით.

5.8. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხის უარი ზიანის ანაზღაურებაზე არ გამომდინარეობს მხარეთა შორის გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულებიდან, შესაბამისად მისი მხრიდან ადგილი აქვს ხელშეკრულების პირობების დარღვევას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მიყენებული ზიანის – 9 000 ლარის, ასევე პირგასამტეხლოს 9 000 ლარის 0.2%-ის გადახდა 2022 წლის 23 ივნისიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

5.9. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით მოპასუხემ შესაგებელში მიუთითა მძღოლის უხემ გაუფრთხილებლობაზე რაც ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს. მოპასუხის განმარტებით, მძღოლს უნდა შეესრულებინა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები, სწორად უნდა შეერჩია მოძრაობის სიჩქარე, უნდა ემოძრავა კანონით განსაზღვრულ სამოძრაო ზოლში და მისი ქმედებები არ გამოიწვევდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას.

5.10. მოპასუხემ საქმეზე წარადგინა შპს „ა-ის“ 2022 წლის 22 ივნისის ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, დაზღვეული ავტომანქანის მძღოლმა არ დაიცვა საგზაო უსაფრთხოების მოთხოვნები, გადავიდა მისი მოძრაობის ზოლის მარჯვენა მხარეს, რა დროსაც გადაკვეთა უწყვეტი ხაზი და შეეჯახა გზის გვერდულაზე გაჩერებულ ავტომანქანას. მძღოლმა დაარღვია საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის სხვადასხვა მუხლები და პუნქტები. ამავე დასკვნის თანახმად, მძღოლს უნდა შეესრულებინა საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები, სწორად უნდა შეერჩია მოძრაობის სიჩქარე, უნდა ემოძრავა კანონით განსაზღვრულ სამოძრაო ზოლში და მისი ქმედებები არ გამოიწვევდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას.

5.11. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე კომპანიის მიერ მოყვანილი არგუმენტები და განმარტა, რომ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანი არ იყო მძღოლის უხემ გაუფრთხილებლობით გამონვეული.

5.12. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქმეში არსებული მტკიცებულებებით, მათ შორის მოპასუხის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის შინაარსი არ იძლევა მძღოლის ქმედების უხემ გაუფ-

რთხილებლობად კვალიფიცირების საფუძველს.

5.13. მართალია მოპასუხის მიერ წარდგენილ ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ მძღოლმა არ დაიცვა საგზაო უსაფრთხოების მოთხოვნები, თუმცა სააპელაციო სასამართლოს განმარტებით მხოლოდ აღნიშნული გარემოება მძღოლის ქმედების უხეშ გაუფრთხილებლობად კვალიფიკაციის საფუძველს არ იძლეოდა, რაც სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას არ გამოორიცხავდა.

5.14. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პრეტენზია დაზიანებული ავტომანქანის გადაცემასთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების 2022 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მე-12 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალების ზიანი, რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას (სრული განადგურება/ტოტალი) ან სატრანსპორტო საშუალების ზიანი, რომლის აღდგენა-შეკეთების ღირებულება ერთჯერადად ხელშეკრულებაში მითითებული საბალანსო ღირებულების 80%-ს ან მეტს შეადგენს, სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შემდეგ, დამზღვევი ვალდებულია მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში გადასცეს მას საკუთრების უფლება განადგურებულ სატრანსპორტო საშუალებაზე. მე-13 პუნქტის თანახმად კი, დამზღვევი უფლებამოსილია დაზიანებულ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლება არ გადასცეს მზღვეველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურებამდე. შესაბამისად, მხარეთა მიერ შეთანხმებული ზემოაღნიშნული დათქმების გათვალისწინებით, სასამართლომ სწორად შეაფასა მოპასუხის მიერ სადავოდ გამხდარი ზემოაღნიშნული საკითხი და არ არსებობს ამ ნაწილში კომპანიის სააპელაციო საჩივრის გაზიარების საფუძველი.

5.15. სააპელაციო სასამართლომ, ზიანის ანაზღაურებაზე სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის გათვალისწინებით, მართებულად მიიჩნია მოპასუხისთვის პირგასამტეხლოს დაკისრება.

5.16. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისთვის სააპელაციო სასამართლომ საქმეზე არსებულ გარემოებებზე, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად არსებული ზიანის მოპასუხის მიერ აუნაზღაურებლობაზე გაამახვილა ყურადღება და განმარტა, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა კონკრეტულ შემთხვევაში დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, ექვემდებარებოდა შემცირებას და გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა 0.2%-ის ნაცვლად სწორად განისაზღვრა – 0.02%-ით (2022 წლის 23 ივნისიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ყოველდღიურად პირგასამტეხლოს – შეუსრულებელი ვალდებულების – 9 000 ლარის 0.02%-ის გადახდა, რაც ყოველდღიურად შე-

ადგენს 1.8 ლარს).

6. მოპასუხის საკასაციო საჩივარი

6.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 14 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

6.2. პირველი კასატორის განმარტებით, მძლოლი უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებდა, მას ევალებოდა ავტომანქანის მოძრაობა გვერდულაზე, ასევე არ ჰქონდა მანევრირების უფლება გზისპირზე უწყვეტი ხაზის გადაკვეთის შედეგად.

6.3. კასატორის განმარტებით, მძლოლმა შეგნებულად და არა რაიმე გარეშემშლელი პირობების ზეგავლენის გამო დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები.

6.4. კასატორის განმარტებით, შესაფასებელია არსებობდა თუ არა გარეშემშლელი ფაქტორები რამაც ავტომობილის სავალი გზის ნაწილიდან გადასვლა გამოიწვია, ხოლო, ასეთი გარემოებების გარეშე, ავტომობილის გადასვლა არის თუ არა უხეში გაუფრთხილებლობა.

6.5. კასატორის განმარტებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 10.1 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან/და ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში, მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.2%-ის ოდენობით. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმების მიხედვით მოსარჩელეს უნდა გაეგზავნა შეტყობინება პირგასამტეხლოს დაკისრებასთან და ამ შეტყობინებიდან 15 დღის გასვლის შემდეგ ენიჭებოდა შესაძლებლობა სარჩელით მოეთხოვა პირგასამტეხლოს ანაზღაურება. ვინაიდან, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 10.2. პუნქტის თანახმად, პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს მხარის მიერ მეორე მხარისადმი გაგზავნილ შესაბამის შეტყობინებაში მითითებული ვადიდან არაუგვიანეს 15 დღის განმავლობაში. სასამართლომ გაიზიარა პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა და პირგასამტეხლო განსაზღვრა შეუსრულებელი ვალდებულების 9 000 ლარის 0.02%-ით, რაც ყოველდღიურად შეადგენს 1.8 ლარს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2022 წლის 23 ივნისიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე. აპელანტის განმარტებით, ამ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება გაუგებარი და ალოგიკურია. ამ ნაწილში მოთხოვნის სასამართლებრივი საფუძველი არ გამომდინარეობს სახელშეკრულებო დათქმიდან და იგი ცდება მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობას. თუ სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო მხარეთა შეთანხმე-

ბის საგანია, მაშინ მისი დაკისრებაც სწორედ სახელშეკრულებო დათქმიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამასთან, გაუგებარია, თუ რატომ დააკისრა სასამართლომ მოპასუხეს პირგასამტეხლო 23 ივნისიდან და არა სხვა თარიღიდან.

7. მოსარჩელის საკასაციო საჩივარი

7.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით.

7.2. კასატორის განმარტებით, პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინება შაბლონურია და არ გამომდინარეობს საქმის რეალურად შეფასებიდან. სასამართლოს არ შეუფასებია სამართალურთიერთობის არსი, ის გარემოება, რომ ხელშეკრულების მეორე მხარე ფინანსური თვალსაზრისით არის ძლიერი მხარე, მენარმე სუბიექტი და ხელშეკრულების დადების მომენტში არამარტო სრულად ჰქონდა გააზრებული ის პირობები რაც ხელშეკრულებით იყო დადგენილი, არამედ მკაფიოდ დაკონკრეტულად ეთანხმებოდა პირობებს. სასამართლოს საერთოდ არ შეუფასებია ის სარგებელი რასაც მოპასუხე იღებდა ვალდებულების შეუსრულებლობით. თუ სასამართლო უპირობოდ, ყოველთვის შეამცირებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროცენტს, მხარეს ექნება მკაფიო ინტერესი არ შეასრულოს ვალდებულება.

8. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

8.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 11 სექტემბრის განჩინებებით მხარეთა საკასაციო საჩივრები წარმოებაშია მიღებული, ხოლო, 2024 წლის 30 სექტემბრის განჩინების მიხედვით დასაშვებადაა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიანჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, ხოლო, მოპასუხე კომპანიის საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, მოსარჩელის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო, მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახ-

სნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველმა კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

10. სადაზღვევო შემთხვევით გამონვეული ზიანის ანაზღაურებისა და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 799-ე მუხლის პირველი ნაწილი „დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა, აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა, გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება“, ამავე კოდექსის 820-ე „ზიანის დაზღვევისას მზღვეველმა ზიანი უნდა აანაზღაუროს ფულით“ და 821-ე „მზღვეველი ზიანს ანაზღაურებს მხოლოდ სადაზღვევო თანხის ფარგლებში“ მუხლები.

11. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის გაფორმებულია დაზღვევის ხელშეკრულება; სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანდა დაზღვეული ავტომანქანა. მზღვეველი სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე უარს აცხადებს იმ საფუძველით, რომ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი მოქმედებდა უხეში გაუფრთხილებლობით, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია სადაზღვევო შემთხვევით გამონვეული ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის მოტივების (მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედება) შეფასება.

12. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლის თანახმად, მზღვეველი თავისუფლდება საკუთარი მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დამზღვევმა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. შესაბამისად, სსკ-ი 829-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მზღვეველის პასუხისმგებლობა მხოლოდ მარტივი გაუფრთხილებლობით მიღებული ზიანისათვის დგე-

ბა. ამდენად, განსახილველ დავაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, მართებულად შეფასდეს მძლოლის ბრალეულობა, კერძოდ, მისი მხრიდან ვლინდებოდა უხეში გაუფრთხილებლობა თუ მარტივი გაუფრთხილებლობისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ჰქონდა ადგილი. აღნიშნული განაპირობებს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. ამასთან, დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე წამოჭრილი დავის დროს მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება: სადაზღვევო შემთხვევასა და მიღებულ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის (causa proxima-ს) არსებობა დამზღვევმა უნდა ამტკიცოს, მზღვეველმა კი უნდა დაასაბუთოს, რომ ზიანის გამომწვევი მიზეზი კანონის ან ხელშეკრულების გამონაკლისია და მასზე ვერ გავრცელდება სადაზღვევო დაფარვა (იხ.: №ას-1091-2022, 23.02.2023წ.).

13. ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 1:301-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, „განზრახ ქმედებად ითვლება პირის გაცნობიერებული ქცევა, რომელიც გამიზნულად (შეგნებულად) მიმართულია ქმედების სამართლებრივი შედეგების წარმოშობისაკენ, ასევე, უხეში გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქმედებაც, რომლის დროსაც, პირი ითვალისწინებს თავისი ქცევის მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგს, მართალია, მიზანმიმართულად არ მიისწრაფვის, მაგრამ გულგრილად ეკიდება მის დადგომას. ამის საპირისპიროდ, მარტივი გაუფრთხილებლობისას პირი არ აცნობიერებს თავისი ქცევის შესაძლო სამართლებრივ შედეგს და, შესაბამისად, ეს არ ჩაითვლება განზრახ ქმედებად“. ამრიგად, ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები ერთმანეთისაგან განასხვავებს განზრახ და მარტივ გაუფრთხილებლობას. ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში განვითარებული პოზიციის მიხედვით, განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა აუცილებლად გულისხმობს მხარის გაცნობიერებულ ქმედებას (იხ., სუსგ №ას-1479-2019, 21.01.2020 წ., პ.53).

14. სამოქალაქო კანონმდებლობა არ ქმნის უხეში გაუფრთხილებლობის ლეგალურ დეფინიციას. ამდენად, მისი არსებობა უნდა დადგინდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი და ლოგიკური შეფასების შედეგად. მძლოლის უხეში გაუფრთხილებლობა არის მეტისმეტი დაუდევრობა, უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელ ყურადღებას არ იჩენს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით (იხ.: სუსგ №ას-1306-1226-2015, 01.07.2016წ.; №ას-865-2023, 29.09.2023წ.; №ას-422-2023, 9.11.2023წ.). უხეში გაუფრთხილებლობა გულისხმობს აუცილებელი წინდახედულების ნორმების განსაკუთრებით მძიმე დარღვევას (იხ.: სუსგ №ას-654-2019, 26.06.2020წ.; №ას-499-2023, 7.06.2023წ.).

გამორიცხვის მეთოდით, მარტივ გაუფრთხილებლობად შეფასდება ყველა ის მოქმედება, რომელიც არ წარმოადგენს აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას, როგორცაა: დაშვებული სიჩქარის 80-100%-ით გადაჭარბება, უმიზეზოდ საპირისპირო მოძრაობის ზოლში გადასვლა, ქარაფშუტულად, სათანადო გათვლების გარეშე, დაკავებული ზოლიდან გამოსვლით იმავე ზოლში თანხვედნილი მიმართულებით წინ მოძრაობა ერთი ან რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების გადასწრება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ასევე, სახანძრო და სხვა სპეციალური ტრანსპორტისათვის გზის დაუთმობლობა, ავტომანქანის სამართავად გადაცემა მართვის უფლების არმქონე ან არაფხიზელი მესამე პირისათვის და ა.შ. (იხ.: სუსგ №ას-1306-1226-2015, 01.07.2016წ.; №ას-1091-2022, 23.02.2023წ.).

15. სადაზღვევო ხელშეკრულებაში/პოლისში საგამონაკლისო ნორმების იმპლემენტაციის დანიშნულებაა ამომწურავად განისაზღვროს იმ გარემოებათა/ქმედებათა წრე, რაც მზღვეველის პასუხისმგებლობას გამორიცხავს, ყველა სხვა შემთხვევა კი, დაზღვევის ინტერესების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. საგამონაკლისო შემთხვევების გაფართოების დაშვება, ეწინააღმდეგება ხელშეკრულებაში ამგვარი დათქმების ჩართვის მიზანს. მხარეები თავისუფალი ნების გამოვლენის პირობებში დებენ ხელშეკრულებას და თვითონვე განსაზღვრავენ სახელშეკრულებო ურთიერთობების იმპერატიულ და დისპოზიციურ წესებს, რომელსაც ორივე მხარე განუხრელად უნდა დაემორჩილოს და იცავდეს. საგამონაკლისო დათქმები სადაზღვევო ხელშეკრულების სწორედ იმპერატიულ დანაწესთა იმ წყებას მიეკუთვნება, რომელიც სადაზღვევო თანხის ანაზღაურებისათვის დაუშვებლად მიჩნეულ ქმედებათა სრულ სპექტრს განსაზღვრავს (შეად. სუსგ-ებს: №ას-1147-1067-2017, 29.12.2017წ.; №ას-618-618-2018, 16.11.2020წ.).

16. ამდენად, დაზღვევის საგამონაკლისო შემთხვევები ვინაობა უნდა განიმარტოს, იმგვარად, რომ მზღვეველთა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება არ ნახალისდეს და ამით საფრთხე არ დაემუქროს სამართლებრივ სივრცეში დაზღვევის სამართლებრივ დანიშნულებასა და მიზანს.

17. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის სადავო არ არის ზიანის არსებობის ფაქტი და ზიანის გამომწვევი სუბიექტი, ასევე სადაზღვევო შემთხვევასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, მხარეთა შორის სადავოა მხოლოდ გასაჩივრებული განჩინებით მძღოლის ქმედების კვალიფიკაცია. შესაბამისად, სადავო შემთხვევის სწორად გადაწყვეტისათვის უნდა შეფასდეს მძღოლის (მოსარჩელე) ქმედება, კერძოდ, მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა თუ არა „უხემ გაუფრთხილებლობას“, თუ ვლინდება მარტივი გაუფრთხილებლობისათვის

დამახასიათებელი ნიშნები, ვინაიდან, უხეში გაუფრთხილებლობის და-
დასტურების შემთხვევაში, გამოირიცხება მზღვეველის პასუხისმგებ-
ლობა (სსკ-ის 829-ე მუხლი) კანონისა და მხარეთა შორის გაფორმებუ-
ლი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

**18. საკასაციო სასამართლო, წინამდებარე საქმეზე დადგენილ
გარემოებებზე მიუთითებს:**

18.1. მხარეთა შორის 2021 წლის 30 დეკემბერს დაიდო სახელმწიფო
შესყიდვების შესახებ №1/301221/3 ხელშეკრულება, რომლის საგანს
წარმოადგენდა შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე არსებული სატ-
რანსპორტო საშუალებებისათვის სადაზღვევო მომსახურების განწევა.

18.2. ხელშეკრულების 10.1. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით
ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან/და ვადაგა-
დაცილებით შესრულების შემთხვევაში, მხარეებს ეკისრება პირგასამ-
ტებლო, შეუსრულებელი ვალდებულების 0.2%-ის ოდენობით. ხოლო,
ხელშეკრულების 10.2. პუნქტის შესაბამისად, პირგასამტეხლოს გადახ-
და უნდა განხორციელდეს „მხარის“ მიერ მეორე „მხარისადმი“ გაგზავ-
ნილ შესაბამის შეტყობინებაში მითითებული ვადიდან არაუგვიანეს 15
დღის განმავლობაში.

18.3. დადგენილია, რომ 2022 წლის 11 მაისს მომხდარი საგზაო-სატ-
რანსპორტო შემთხვევის დროს დაზიანდა მოსარჩელის კუთვნილი ავ-
ტოსატრანსპორტო საშუალება – RENAULT LOGAN სახელმწიფო ნომ-
რით – ...

18.4. შპს „გ. მ-ის“ 2022 წლის 13 ივნისის დეფექტური აქტის თანახ-
მად, დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენა მიზან-
შენიშნული არ არის. ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩასაბარებელი
(სალიკვიდაციო) ღირებულება შეადგენს 2 000 ლარს. ავტოსატრან-
სპორტო საშუალების საბაზრო ღირებულება დაუზიანებელ მდგომარ-
ეობაში შეადგენს 9 500 ლარს (იხ. შპს „გ. მ-ის“ 2022 წლის 13 ივნისის
დეფექტური აქტი).

18.5. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ
2022 წლის 2 ივნისის დადგენილებით, შეწყდა გამოძიება სისხლის სა-
მართლის №075110522002 საქმეზე, ტრანსპორტის მოძრაობის უსაფ-
რთხოების წესის დარღვევის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხ-
ლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გა-
მო.

18.6. დადგენილია, რომ მოპასუხე სადაზღვევო კომპანიამ უარი გა-
ნაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე, იმ საფუძველზე მითითებით, რომ
საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამონვეული იყო მძღოლის უყუ-
რადლებობით, გულგრილობით, მეტისმეტი დაუდევრობით.

19. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმეში არსებული,

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული ცნობით ირკვევა, რომ მოსარჩელის ბალანსზე არსებული ავტომობილი უკანა ნაწილში დაეჯახა სხვა ავტომობილს, ორივე ავტომობილი დაზიანდა, ამასთან დაზიანდა დაზღვეული ავტომობილის მგზავრები. ამავე ცნობით ირკვევა, რომ შემთხვევის მონაწილე მძღოლები არ იყვნენ ალკოჰოლური თრობის ქვეშ. დასახელებული გარემოებები, მსგავსად არის აღწერილი ასევე სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებაში.

20. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის გარემოებების გამოკვლევის მიზნით მოპასუხემ ჩაატარა და წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა. აღსანიშნავია, რომ მოპასუხის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის საპირისპიროდ, მოსარჩელეს რაიმე მტკიცებულება სასამართლოსთვის არ წარუდგენია.

21. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო პროცესი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეებს უფლებებთან ერთად ეკისრებათ ფაქტების მითითებისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება, რომელთა შესრულებლობა მხარეებისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. ეს დანაწესი განმტკიცებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლში, რომლის მიხედვითაც, მოდავე მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ განსაზღვრონ ფაქტები თავიანთი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის დასასაბუთებლად და თვითონვე მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ე.ი. მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სათანადო მტკიცებულებების წარდგენით უნდა განახორციელოს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

22. საკასაციო პალატამ სსკ-ის 829-ე მუხლის ნორმატიული შინაარსის კონტექსტში არაერთხელ განმარტა „უხეში გაუფრთხილებლობის“

დეფინიცია. მაგალითად, საქმეში №ას-1479-2019, 21.01.2020წ., სადაც სადაზღვევო კომპანია მიუთითებდა მძღოლის უხემ გაუფრთხილებლობაზე, როგორც ზარალის ანაზღაურების გამომრიცხველ გარემოებაზე, დადგინდა, რომ მძღოლის ბრალეულობა გამოიხატა მარტივ გაუფრთხილებლობაში და არა გაზრახვასა თუ უხემ გაუფრთხილებლობაში. ამგვარი დასკვნა დაეფუძნა საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტებს: დაზღვეულ ავტომობილს მართავდა უფლებამოსილი მძღოლი; ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას; ავტოსაგზაო შემთხვევისას მძღოლი იმყოფებოდა ფხიზელ მდგომარეობაში; მძღოლი მოძრაობდა დასაშვები სიჩქარით საკუთარ ზოლში; შემთხვევა მოხდა ღამით, უამინდობისას; ავტოსაგზაო შემთხვევისას მძღოლს არ აღენიშნებოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. ამ ფაქტების ერთობლიობა, საქმის მასალების გათვალისწინებით, იძლეოდა დამზღვევის მოქმედების მარტივ და არა უხემ გაუფრთხილებლობად შეფასების საშუალებას. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი შემთხვევის ადგილის სქემის მიხედვით, მძღოლი მოძრაობდა მის სავალ ზოლში. არ იყო წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა შემთხვევის დროს მძღოლის მხრიდან გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობა ან/და მისი ალკოჰოლური თრობის ქვეშ ყოფნა.

23. დასახელებული საქმისგან განსხვავებით სხვა საქმეში (იხ. სუსგ საქმე №ას-943-901-2013, 17 თებერვალი, 2014 წელი), რომლითაც დაუშვებლობის გამო განუხილველად დარჩა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი, სადავო იყო სწორედ სამინისტროს უფლებამოსილი მძღოლის მიერ უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება. აღნიშნულ საქმეში საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილზე მოქმედი საგზაო ნიშნების უგულვებელყოფისა და სიჩქარის გადაჭარბების ფაქტის არსებობის გამო სახეზე იყო უხეში გაუფრთხილებლობა, რის გამოც, მოპასუხე სადაზღვევო კომპანიას არ ეკისრებოდა თანხის ანაზღაურების ვალდებულება.

24. მსგავსი განმარტება გააკეთა საკასაციო სასამართლომ საქმეებში №ას-943-901-2013, №ას-1319-1257-2014 და უხემ გაუფრთხილებლობად შეაფასა უფლებამოსილი მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების (მანევრირების წესებისა და საგზაო ნიშნების უგულვებელყოფა) დარღვევა („ავტომობილის მძღოლმა, რომელიც მოძრაობდა გადაჭარბებული, 70 კმ/სთ სიჩქარით, მაშინ, როდესაც დასაშვები სიჩქარე 40 კმ/სთ იყო, ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხო-

ება, გადაკვეთა უწყვეტი ღერძულა ხაზი, გადავიდა საპირისპირო მიმართულებით სამოდრაო ზოლში და შეეჯახა შემხვედრი მიმართულებით მოძრავ მიკროავტობუსს“ (იხ. სუსგ საქმე №ას-943-901-2013); „ავტოვარია გამოიწვია მძღოლის უხეშმა გაუფრთხილებლობამ – „ავტოსაგზაო შემთხვევა განაპირობა მძღოლის მიერ მანევრირების წესების უგულვებელყოფამ, რომელთა დაცვის შემთხვევაში, მას შეეძლო საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება. ამასთან, წარმოდგენილი ავტოტექნიკური და ავტოტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა, რომ ავტომობილი „შკოდა ოქტავია“ სახელმწიფო ნომრით ... შეჯახებამდე მოძრაობდა გადაჭარბებული სიჩქარით“ (იხ. სუსგ საქმე №ას-1319-1257-2014).

25. ამდენად, ზემოაღნიშნული განმარტებების, მითითებული პრაქტიკისა და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთების გათვალისწინებით ნათლადაა გამიჯნული თუ რა შემთხვევებში შეიძლება მძღოლის მოქმედება შეფასდეს უხეშ გაუფრთხილებლობად და რა შემთხვევებში მარტივ გაუფრთხილებლობად. საკასაციო პალატა, კვლავ გაამაზვილებს ყურადღებას შპს „ა-ის“ 2022 წლის 22 ივნისის ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლის თანახმად, დაზღვეული ავტომანქანის მძღოლმა არ დაიცვა საგზაო უსაფრთხოების მოთხოვნები, გადავიდა მისი მოძრაობის ზოლის მარჯვენა მხარეს, რა დროსაც გადაკვეთა უწყვეტი ხაზი და შეეჯახა გზის გვერდულაზე გაჩერებულ ავტომანქანას. მძღოლმა დაარღვია საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის სხვადასხვა მუხლები და პუნქტები. ამავე დასკვნის თანახმად, მძღოლს უნდა შეესრულებინა საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები, სწორად უნდა შეერჩია მოძრაობის სიჩქარე, უნდა ემოძრაავა კანონით განსაზღვრულ სამოდრაო ზოლში და მისი ქმედებები არ გამოიწვევდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას.

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთი განმარტების თანახმად, მძღოლის უხეშ გაუფრთხილებლობად და კვალიფიცირება განეკუთვნება შეფასებით კატეგორიას და მისი დადგენა უნდა მოხდეს საგზაო მოძრაობის უშუალო მონაწილის კონკრეტული მოქმედების დადგენით და ამგვარი მოქმედებით დამდგარი შედეგის მიმართ მისი სუბიექტური დამოკიდებულებით. საქმეზე წარდგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობით, ექსპერტიზის დასკვნით, დასტურდება, რომ საგზაო შემთხვევა მოხდა გზის სავალი ნაწილის თანხვედრი მიმართულების უკიდურეს მარჯვენა მხარეს მდებარე გზის გვერდულაზე, სადაც „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-18 პუნქტის თანახმად, აკრძალულია მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა (გამონაკლისია ამ კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევები, რომელიც

არეგულირებს სატრანსპორტო საშუალების გაჩერება/დგომის წესებს და კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევები, რომელიც არეგულირებს ველოსიპედის, მოპედის, მოტოციკლის, თოვლმავლისა და მოტოციგის მძღოლებთან დაკავშირებული სპეციალური წესებს).

27. საკასაციო პალატის მოსაზრებით, დაზღვეული ავტომანქანის მძღოლის მიერ, მანევრირებისას, უწყვეტი ხაზის გადაკვეთა გასწრების მიზნით და მოძრაობა გზის სავალი ნაწილის გვერდულაზე, წარმოადგენს მძღოლის უხემ გაუფრთხილებლობას. ამასთან აღსანიშნავია, რომ გაჩერებულ ავტომანქანაზე შეჯახება, ავტომობილის დაზიანების ხარისხი მეტყველებს ასევე დაზღვეული ავტომანქანის მოძრაობის სიჩქარეზეც, რაც წარმოადგენს დამატებით გარემოებას მძღოლის ქმედების უხემ გაუფრთხილებლობად შეფასებისთვის. საკასაციო პალატა ამხვილებს ყურადღებას იმ ფაქტორზეც, რომ საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი დოკუმენტების, ექსპერტიზის დასკვნით, ავტომობილების განლაგების გათვალისწინებით, არ იკვეთება ისეთი ობიექტური გარემოება, მაგალითად შემაფერხებელი გარემოებები, არასაკმარისი ხილვადობა და ა.შ., რომელიც საკასაციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას მარტივ გაუფრთხილებლობად შეეფასებინა მძღოლის მოქმედება.

28. ცხადია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის მონაწილე მძღოლი აცნობიერებდა მის მიერ განხორციელებული მანევრის კანონსაწინააღმდეგობას, აუცილებელი წინდახედულების ნორმების სრული უგულვებლყოფით და თვითიმედოვნებით, გასწია გაუმართლებელი რისკი, უსაფუძვლოდ იმედოვნებდა რა ზიანის თავიდან არიდებასა და უშვებდა საფრთხეს, უხეშად დაარღვია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „მძღოლმა, რომელსაც განზრახული აქვს რომელიმე მანევრის შესრულება, ეს მანევრი უნდა დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დანშუნდება, რომ არ შეუქმნის საფრთხეს მის უკან, წინ და გვერდით როგორც თანხმვედრი, ისე საპირისპირო მიმართულებით მოძრავ საგზაო მოძრაობის მონაწილეებს, მათი მდებარეობის, მოძრაობის მიმართულებისა და სიჩქარის გათვალისწინებით“ და ამავე კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი უცილებელი შემთხვევების გარდა, მძღოლმა უნდა იმოძრაოს მხოლოდ იმ გზაზე, გზის სავალ ნაწილზე, მოძრაობის ზოლზე ან ბილიკზე, რომელიც მისი კატეგორიის/ქვეკატეგორიის საგზაო მოძრაობის მონაწილისათვის არის განკუთვნილი.) მოთხოვნები, ასევე საგზაო მოძრაობის სხვა წესების უგულვებლყოფით, უმიზეზოდ გადაკვეთა მარჯვენა მხარეს უწყვეტი ხაზი, რამაც გამოიწვია ორი სატრანსპორტო საშუალების დაზიანება, რაც, თავისი შინაარსითა და შედეგებით, სწორედ მძღოლის

უხემ გაუფრთხილებლობაზე მეტყველებს და, სსკ-ის 829-ე მუხლის გათვალისწინებით, ათავისუფლებს მზღვეველს დამზღვევის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების მოვალეობის შესრულებისაგან (იხ. სუსგ №ას-566-566-2018).

29. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიანიჭა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების ერთობლიობა ქმნის მძლოლის მოქმედების უხემ გაუფრთხილებლობად შეფასების საფუძველს, დამზღვევის მხრიდან გამოვლინდა აუცილებელი წინდახედულების ნორმის მძიმე დარღვევა და მართლზომიერია ამ მოტივით სადაზღვევო კომპანიის უარი ზიანის ანაზღაურებაზე (შეად. სუსგ-ას №ას-691-2024, 26.07.2024 წ.).

30. რაც შეეხება მეორე კასატორის მოთხოვნას პირგასამტეხლოს შემცირების არამართლზომიერად ცნობის შესახებ, საკასაციო სასამართლო, საქმეში არსებული ხელშეკრულებისა და სასარჩელო მოთხოვნის გათვალისწინებით პირგასამტეხლოს შესახებ განმარტავს, რომ პირგასამტეხლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზე დამოკიდებულია, წინამდებარე შემთხვევაში კი ძირითადი ვალდებულების – სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არარსებობის პირობებში, მისგან გამომდინარე დამატებითი ვალდებულების დაკისრების შესახებ მსჯელობა კი აზრს მოკლებულია, რაც თავისთავად, მოპასუხის საკასაციო მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობებში, მას უსაფუძვლოს ხდის და გამორიცხავს ზემოთ აღნიშნულ საკასაციო პრეტენზიაზე პასუხის გაცემას.

31. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად. ამდენად საკასაციო პალატა კასატორთა არაძირითად არგუმენტებზე აღარ იმსჯელებს (იხ., „ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ“ №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], პარ. 81).

32. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭი-

რო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

33. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

34. განსახილველ შემთხვევაში ვინაიდან, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მოპასუხის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დაეკისროს მოსარჩელეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. სს „ს.კ.უ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 14 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
5. სსიპ „შემოსავლების სამსახურს“ სს „ს.კ.უ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 869.13 ლარი;
6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამფუძვეთის პრაქტიკული სადღეღამეო შემთხვევის დადგომისას

ბანკინება საქართველოს სსრ-ში

№ას-999-2023

23 იანვარი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის

შემადგენლობა: თ. ძიმისტარაშვილი
(თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სარჩელის მოთხოვნა

1.1. სსიპ დევენილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სს „ნ.ვ.დ-ის“ წინააღმდეგ მოითხოვა ზიანის ანაზღაურება 23 032 ლარის ოდენობით, ასევე ავტომანქანის საჯარიმო ავტოსადგომზე გადაყვანის და განთავსების ხარჯი – 99 ლარი.

2. მოპასუხის შესაგებელი

2.1. მოპასუხემ წარდგინა შესაგებელი სარჩელი არ ცნო, და საამონაკლისო პირობაზე მითითებით სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეს სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრა 23 032 ლარის გადახდა და ავტომანქანის საჯარიმო ავტოსადგომზე გადაყვანის და განთავსებისთვის გაღებული ხარჯის – 99 ლარის ანაზღაურება.

4. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი

4.1. მოპასუხემ სააპელაციო საჩივარი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, ამ გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-

ლატის 2023 წლის 16 მაისის გადანყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადანყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

5.2. მხარეთა შორის 2020 წლის 31 დეკემბერს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №270107/8 (კონსოლიდირებული ტენდერი CON200000300) ხელშეკრულება;

5.3. ხელშეკრულების №2 დანართის მიხედვით, სააგენტოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალება „SSANGYONG TIVOLI“ სახ. ნომრით – ... დაზღვეულ იქნა მოპასუხე კომპანიაში.

5.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების 2021 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის პირველი ნაწილის, პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, წინამდებარე კონსოლიდირებული ტენდერით განსაზღვრული სადაზღვევო რისკია – საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (არ აქვს მნიშვნელობა ვისი მიზეზით ხდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა), მიუხედავად იმისა დაზღვეული სატრანსპორტო საშუალება მოძრაობდა თუ იმყოფებოდა გაჩერებულ მდგომარეობაში; – პირველი ნაწილის, მე-2 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მზღვეველი თავისუფლდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან, თუ დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა დადგა უხეში გაუფრთხილებლობით; – პირველი ნაწილის, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ სადაზღვევო შემთხვევა დადასტურდა, სატრანსპორტო საშუალებების გადაყვანის ხარჯებს გაიღებს მზღვეველი, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, თუმცა დამზღვევს რჩება ვალდებულება უზრუნველყოს დაზიანებული ქონების შენარჩუნება ისეთ მდგომარეობაში, რომ თავიდან აცილებულ იქნეს ზიანის ოდენობის შემდგომი ზრდა. – მე-2 ნაწილის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, იმ სატრანსპორტო საშუალების შეფასება/შეკეთება, რომლებზეც სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის ვრცელდება საგარანტიო პირობები, განხორციელდება შესაბამისი მარკის სერვის-ცენტრში, ხოლო იმ სატრანსპორტო საშუალებების შეფასება/შეკეთება, რომლებზეც არ ვრცელდება საგარანტიო პირობები, განხორციელდება მხარეთა მიერ შეთანხმებულ შემკეთებელ სერვის ცენტრებში.

5.5. 2021 წლის 15 მარტს, დაახლოებით 19:50 სთ-ზე, ქ. თბილისში, ... მხრიდან ფარნავაზ მეფის ქუჩის მიმართულებით დაახლოებით 80 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა დაზღვეული ავტომანქანა, რომელსაც მართავდა მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – ნ. ნ-ძე. მსვლელობისას დაზღვეული ავტომობილის მძღოლმა დაახლოებით 50 მეტრში შენიშნა ი. ბ-ის მართვის ქვეშე მყოფი ავტომობილი „HONDA FIT“ სახელმწიფო ნომრით ..., რომელიც გამოვიდა გზის მარ-

ჯვენა მხარეს არსებული მეორე ხარისხოვანი გზიდან (... ქ. №... და №... კორპუსებს შორის გამოსასვლელი) და მოძრაობდა თავდადებულის ქუჩაზე. აღნიშნულის დანახვაზე ნ. ნ-ძემ დაამუხრუჭა, საჭე მიმართა მარცხნივ, გადავიდა საპირისპირო სამოძრაო ზოლში, სადაც შეეჯახა ზემოხსენებულ ავტომობილს;

5.6. ქ. თბილისში, ..., №... და №... კორპუსებს შორის გამოსასვლელთან განთავსებულია საგზაო ნიშანი „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ 40 კმ/სთ-მდე;

5.7. 2021 წლის 31 მაისის წერილით მოპასუხემ უარი განაცხადა სადაზღვევო ზიანის ანაზღაურებაზე იმ საფუძვლით, რომ დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა დადგა მოსარჩელის მხრიდან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად.

5.8. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით დაზღვეული ავტომობილის მძღოლის ქმედება, რომელმაც ავარია გამოიწვია, უხემ გაუფრთხილებლობას წარმოადგენდა.

5.9. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ, ექსპერტიზის კვლევით ნაწილში მითითებულია, რომ საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის დროს მძღოლ ი. ბ-ის მოქმედება არ შეესაბამებოდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართ №1, პრიორიტეტის ნიშანი 2.3 „დაუთმე გზა“ (გზა, რომელზე მოძრავი მძღოლი ვალდებულია გზა დაუთმოს გადასაკვეთ გზაზე მოძრავ მძღოლს) მოთხოვნებს, რომელთა დაცვის შემთხვევაშიც მომხდარ საგზაო სატრანსპორტო შემთხვევას ადგილი არ ექნებოდა.

5.10. ამავე დასკვნით დასტურდება რომ საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის დროს მძღოლ ნ. ნ-ძის მოქმედება არ შეესაბამებოდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს (მძღოლს ეკრძალება სატრანსპორტო საშუალების მართვა ამ კანონით განსაზღვრული სიჩქარის შეზღუდვის გადაჭარბებით. შერჩეული სიჩქარე მძღოლს საშუალებას უნდა აძლევდეს მუდმივად აკონტროლოს სატრანსპორტო საშუალება ისე, რომ დაცულ იქნეს მოძრაობის უსაფრთხოება), რომელთა დაცვის შემთხვევაშიც მომხდარ საგზაო სატრანსპორტო შემთხვევას ადგილი არ ექნებოდა.

5.11. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ დავაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მართებულად შეფასდეს, მძღოლის ქმედება, კერძოდ, მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა უხემ გაუფრთხილებლობას, თუ ვლინდება მარტივი გაუფრთხილებლობისთვის დამახასიათებელი ნიშნები. ავტოსატრანსპორტო საშუალება მომეტებული საფრთხის წყაროს წარმოადგენს. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ დადგენილია მთელი რიგი რეგულაციები ავტო-

სატრანსპორტო საშუალების მფლობელთა მიმართ და მათ ევალებათ იცოდნენ თავიანთი ვალდებულებები, დაიცვან ისინი ზედმინეწებით და ავტოსატრანსპორტო საშუალება გონივრული და სათანადო წინდახედულობის ფარგლებში მართონ. შესაბამისად, თუ დადგინდება, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ არ ჰქონდა ადგილი კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევას და იგი ავტომანქანას მართავდა სათანადო წინდახედულობის ფარგლებში, მისი ქმედება არ შეიძლება შეფასდეს განზრახ ან უხეშ გაუფრთხილებლობად. ამასთან, სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, მოძრაობის წესებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დადგენილი სიჩქარის ფარგლებში, დაწესებულ ზოლებში, მოძრაობა, რისი დარღვევაც უპირატესად მძიმე შედეგს იწვევს. შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლს ევალება აღნიშნული წესები, განსაკუთრებული გულისხმიერებით და ზედმინეწებით, დაიცვას.

5.12. სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ დარღვევა, რომელიც განსახილველ დავაში სასამართლოს მიერ უნდა შეფასდეს, ობიექტურად მომხდარი გარემოებების, ქმედების სუბიექტის (მისი ნების) და მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შინაარსისა და დადგენილი სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, უხეშ გაუფრთხილებლობად უნდა იქნეს მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალებში არსებული ექსპერტიზის დასკვნით ავტომობილის სიჩქარის განსაზღვრა ვერ მოხერხდა, დადგენილი გარემოებაა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა საცხოვრებელ ზონაში, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი ფაქტების კონსტანტაცია. დადგენილია, რომ 2021 წლის 15 მარტს, დაახლოებით 19:50 სთ-ზე, ქ. თბილისში, ... მხრიდან ფარნავაზ მეფის ქუჩის მიმართულებით დაახლოებით 80 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა დაზღვეული ავტომანქანა იმ ზოლში, სადაც მაქსიმალური სიჩქარე იყო 40 კმ/სთ. ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული 60 კმ/სთ მოძრაობა დასაშვები იყო საპირისპირო ზოლში მოძრავი ავტომობილებისათვის და არა ნ. ნძიის მართვის ქვეშე მყოფი ავტომობილის სამოძრაო ზოლისათვის. ასევე უდაოა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილი წარმოადგენდა დასახლებულ პუნქტს და ამიტომაც იყო მოძრაობა შეზღუდული 40 კმ/სთ სიჩქარით.

5.13. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მტკიცება, რომ ადგილი ჰქონდა მარტივ გაუფრთხილებლობას და ის რომ სიჩქარის გადაჭარბება მოხდა 5 კმ/სთ-ით, ვინაიდან საგზაო ნიშანზე მითითებული სიჩქარის 15 კმ/სთ სიჩქარემდე გაზრდის უფლებას კანონმდებელი აძლევს მძღოლს, რომელსაც მხარე ითვლის საპირისპირო ზოლისათვის ნებადართულ 60 კმ/სთ სიჩქარიდან და არა 40 კმ/სთ სიჩქარიდან, რომელშიც მოძრაობდა დაზღვეული ავტომობილის

მძლოლი – არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სიჩქარის გადაჭარბებად. პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით ესევე განმარტავს, რომ საგზაო ნიშანზე მითითებული სიჩქარის 15 კმ/სთ სიჩქარემდე გაზრდის უფლებას კანონმდებელი აძლევს მძლოლს იმ შემთხვევაში, როდესაც წინდახედულების ნორმების და ყველა სხვა ობიექტური გარემოების, მათ შორის ადგილმდებარეობის შეფასების შედეგად მაღალი ალბათობით მძლოლი დარწმუნდება, რომ სიჩქარის მომატებით არ დაირღვევა საგზაო მოძრაობის წესები და არ დადგება რაიმე ზიანი. მოცემულ შემთხვევაში კი დაზღვეული ავტომობილი დასახლებულ პუნქტში მოძრაობდა დაშვებულზე (40 კმ/სთ) ორჯერ მეტი (80 კმ/სთ) სიჩქარით, რაც უკვე სხვა ფაქტორების მხედველობაში არ მიღებითაც უხემ გაუფრთხილებლობას წარმოადგენს.

5.14. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების გათვალისწინებით მოცემულ შემთხვევაში მზღვეველი თავისუფლდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან, თუ დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა დადგა უხემ გაუფრთხილებლობით.

6. მოსარჩელის საკასაციო საჩივარი

6.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

6.2. კასატორის განმარტებით სასამართლო მიკერძოებულად, კონტრარგუმენტებით ცდილობდა მისი პოზიციის გაქარწყლებას.

6.3. კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არასწორადაა დადგენილი და შეფასებული სადავო გარემოებები.

6.4. კასატორის განმარტებით დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით უხემ გაუფრთხილებლობად მიჩნეულია დაშვებულზე 80-100%-ით გადაჭარბება. მოცემულ შემთხვევაში უდავოადაა დადგენილი, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილზე მოძრაობის დასაშვები სიჩქარე 60 კმ/სთ იყო.

7. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

7.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 11 სექტემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის თანახმად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო, 2024 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებადაა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემომნების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

8. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგ – სსსკ-ი) 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე „საკასაციო სასამართლო ამონშებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამომნოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა“, საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორის შედავების საფუძვლიანობა.

9. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

10. სსსკ-ის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

11. სსსკ-ის 410-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. მოცემულ შემთხვევაში „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება გამოიკვეთა.

12. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, საკასაციო პალატისათვის სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი გარემოებები.

13. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხი-

საგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონახვაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

14. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, სსკ-ის 799.1 „დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება“ მუხლიდან გამომდინარეობს.

15. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელზე დაპირისპირებული შესაგებლის ფარგლებში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, მოძრაობდა თუ არა დაზღვეული ავტომობილის მძღოლი უხეში გაუფრთხილებლობით, რაც მოცემულ შემთხვევაში მზღვეველს სსკ-ის 829-ე „მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დამზღვევემა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით“ მუხლით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისგან ათავისუფლებს.

16. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრე-

ბით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

17. „სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევია: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი, მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობის უარყოფა“ (იხ. თომას ჰერმანი, მტკიცებულებითი სამართალი, GIZ, თბილისი, 2016 წ., გვ.3-4).

18. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს

ინვევს. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაკულტატიური მოვალეობა. მხარეები სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალი არიან მითითებულ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, გვ.64) – შეად. სუსგ-ებს №ას-1298-2018; 22.03.2019წ; №ას-1329-2018, 22.02.2019წ; №ას-1610-2019, 07.02.2020წ; №ას-1027-2020, 27.11.2020წ; №ას-634-2021, 4.11.2021წ; №ას-1363-2021, 5.04.2022წ; №ას-1183-2022, 23.12.2022წ; №ას-1572-2022, 5.05.2023წ.; №ას-1449-2023, 9.02.2024წ.; №ას-1044-2022, 17.10.20204წ.; №ას-313-2024, 8.11.2024წ.; №ას-852-2024, 22.11.20206წ.; №ას-1038-2024, 11.10.2024წ.; №ას-1324-2024, 13.12.2024წ.; №ას-1202-2024, 13.12.2024წ.; №ას-24-2024, 26.12.2024წ.).

19. დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივი, სასყიდლიანი და რეალური ხელშეკრულებაა. ამასთან, დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივ მავალდებულებელი ხელშეკრულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო შენატანი, ხოლო მზღვეველი მოვალეა აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი. დაზღვევის ხელშეკრულების საგანია მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა. დამზღვევისთვის მიყენებული ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი გამოწვეულია მხარეთა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომით და არ არსებობს შემთხვევის ანაზ-

ლაურების გამომრიცხავი გარემოება.

20. სსკ-ის 829-ე მუხლიდან გამომდინარე, მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დამზღვევემა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. ამასთანავე, შესაძლებელია, რომ თავად ხელშეკრულება შეიცავდეს საგამონაკლისო დათქმებს, ასეთ დროს, „ხელშეკრულებაში საგამონაკლისო ნორმების იმპლემენტაციის დანიშნულებაა ამომწურავად განისაზღვროს იმ გარემოებათა/ქმედებათა წრე, რაც მზღვეველის პასუხისმგებლობას გამორიცხავს, ყველა სხვა შემთხვევა კი დამზღვევის ინტერესების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. საგამონაკლისო შემთხვევების გაფართოების დაშვება ეწინააღმდეგება ხელშეკრულებაში ამგვარი დათქმების ჩართვის მიზანს. მხარეები თავისუფალი ნების გამოვლენის პირობებში დებენ რა ხელშეკრულებას, თავადვე განსაზღვრავენ სახელშეკრულებო ურთიერთობების იმპერატიულ და დისპოზიციურ წესებს, რომელსაც ორივე მხარე განუხრელად უნდა დაემორჩილოს და იცავდეს. საგამონაკლისო დათქმები სადაზღვევო ხელშეკრულების სწორედ იმპერატიულ დანაწესთა იმწყეობას მიეკუთვნება, რომელიც სადაზღვევო თანხის ანაზღაურებისათვის დაუშვებლად მიჩნეულ ქმედებათა სრულ სპექტრს განსაზღვრავს“ (იხ. სუსგ-ები №ას-1147-1067-2017, 29.12.2017წ.; №ას-462-2022, 24.06.2022წ.; №ას-823-2022 16.01.2024წ.; №ას-838-2024 27.09.2024წ.; №ას-1508-2024, 17.02.2025წ.; №ას-715-2024 28.02.2025წ.).

21. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის გაფორმებულია დაზღვევის ხელშეკრულება; სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანდა დაზღვეული ავტომანქანა. მზღვეველი სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე უარს აცხადებს იმ საფუძვლით, რომ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი მოქმედებდა უხეში გაუფრთხილებლობით.

22. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლის თანახმად, მზღვეველი თავისუფლდება საკუთარი მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დამზღვევემა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. ამდენად, განსახილველ დავაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, მართებულად შეფასდეს მძღოლის ბრალეულობა, კერძოდ, მისი მხრიდან ვლინდებოდა უხეში გაუფრთხილებლობა თუ მარტივი გაუფრთხილებლობისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ჰქონდა ადგილი. აღნიშნული განაპირობებს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. ამასთან, დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე წამოჭრილი დავის დროს მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება: სადაზღვევო შემთხვევასა და მიღებულ ზიანს შორის causa

proxima-ს არსებობა დამზღვევემა უნდა ამტკიცოს, მზღვეველმა კი უნდა დაასაბუთოს, რომ ზიანის გამომწვევი მიზეზი კანონის ან ხელშეკრულების გამონაკლისია და მასზე ვერ გავრცელდება სადაზღვევო დაფარვა (იხ.: №ას-1091-2022, 23.02.2023წ.).

23. სამოქალაქო კანონმდებლობა არ ქმნის უხეში გაუფრთხილებლობის ლეგალურ დეფინიციას. ამდენად, მისი არსებობა უნდა დადგინდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი და ლოგიკური შეფასების შედეგად.

24. საკასაციო პალატის განმარტების თანახმად, მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობა არის მეტისმეტი დაუდევრობა, უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელ ყურადღებას არ იჩენს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით (იხ.: სუსგ №ას-1306-1226-2015, 01.07.2016წ.; №ას-865-2023, 29.09.2023წ.; №ას-422-2023, 9.11.2023წ.). უხეში გაუფრთხილებლობა გულისხმობს აუცილებელი წინდახედულობის ნორმების განსაკუთრებით მძიმე დარღვევას (იხ.: სუსგ №ას-654-2019, 26.06.2020წ.; №ას-499-2023, 7.06.2023წ.). გამორიცხვის მეთოდით, მარტივ გაუფრთხილებლობად შეფასდება ყველა ის მოქმედება, რომელიც არ წარმოადგენს აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას, როგორცაა: დაშვებული სიჩქარის 80-100%-ით გადაჭარბება, უმიზეზოდ საპირისპირო მოძრაობის ზოლში გადასვლა, ქარაფშუტულად, სათანადო გათვლების გარეშე, დაკავებული ზოლიდან გამოსვლით იმავე ზოლში თანხვედნილი მიმართულებით წინ მოძრაობა ერთი ან რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების გადასწრება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ასევე, სახანძრო და სხვა სპეციალური ტრანსპორტისათვის გზის დაუთმობლობა, ავტომანქანის სამართავად გადაცემა მართვის უფლების არმქონე ან არაფხიზელი მესამე პირისათვის და ა.შ. (იხ.: სუსგ №ას-1306-1226-2015, 01.07.2016წ.; №ას-1091-2022, 23.02.2023წ.).

25. სადაზღვევო ხელშეკრულებაში/პოლისში საგამონაკლისო ნორმების იმპლემენტაციის დანიშნულებათა ამომწურავად განისაზღვროს იმ გარემოებათა/ქმედებათა წრე, რაც მზღვეველის პასუხისმგებლობას გამორიცხავს, ყველა სხვა შემთხვევა კი, დამზღვევის ინტერესების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. საგამონაკლისო შემთხვევების გაფართოების დაშვება, ეწინააღმდეგება ხელშეკრულებაში ამგვარი დათქმების ჩართვის მიზანს. მხარეები თავისუფალი ნების გამოვლენის პირობებში დებენ ხელშეკრულებას და თვითონვე განსაზღვრავენ სახელშეკრულებო ურთიერთობების იმპერატიულ და დისპოზიციურ წესებს, რომელსაც ორივე მხარე განუხრელად უნდა დაემორჩილოს და იცავდეს. საგამონაკლისო დათქმები სადაზღვევო ხელშეკრულების სწორედ იმპერატიულ დანაწესთა იმ წყებას მიეკუთვნება, რომელიც სადაზღვე-

ვო თანხის ანაზღაურებისათვის დაუშვებლად მიჩნეულ ქმედებათა სრულ სპექტრს განსაზღვრავს (შეად. სუსგ-ებს: №ას-1147-1067-2017, 29.12.2017წ; №ას-618-618-2018, 16.11.2020წ.). ამდენად, დაზღვევის საგამონაკლისო შემთხვევები ვინროდ უნდა განიმარტოს, იმგვარად, რომ მზღვეველთა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება არ წახალისდეს და ამით საფრთხე არ დაემუქროს სამართლებრივ სივრცეში დაზღვევის სამართლებრივ დანიშნულებასა და მიზანს.

26. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის სადავო არ არის ზიანის არსებობის ფაქტი და ზიანის გამომწვევი სუბიექტი, ასევე სადაზღვევო შემთხვევასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, მხარეთა შორის სადავოა მხოლოდ გასაჩივრებული გადანყვევტილებით მძღოლის ქმედების კვალიფიკაცია. შესაბამისად, სადავო შემთხვევის სწორად გადანყვევტისათვის უნდა შეფასდეს მძღოლის ქმედება, კერძოდ, მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა თუ არა „უხემ გაუფრთხილებლობას“, თუ ვლინდება მარტივი გაუფრთხილებლობისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ვინაიდან, უხეში გაუფრთხილებლობის დადასტურების შემთხვევაში, გამოირიცხება მზღვეველის პასუხისმგებლობა (სსკ-ის 829-ე მუხლი) კანონისა და მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

27. დადგენილია, რომ 2021 წლის 15 მარტს, დაახლოებით 19:50 სთ-ზე, ქ. თბილისში, ... მხრიდან ფარნავაზ მეფის ქუჩის მიმართულებით დაახლოებით 80 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა დაზღვეული ავტომანქანა, რომელსაც მართავდა მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – ნ. ნ-ძე. მსვლელობისას დაზღვეული ავტომობილის მძღოლმა დაახლოებით 50 მეტრში შენიშნა ი. ბ-ის მართვის ქვეშე მყოფი ავტომობილი „HONDA FIT“ სახელმწიფო ნომრით ..., რომელიც გამოვიდა გზის მარჯვენა მხარეს არსებული მეორე ხარისხოვანი გზიდან ... ქ. №... და №... კორპუსებს შორის გამოსასვლელი) და მოძრაობდა თავდადებულის ქუჩაზე. აღნიშნულის დანახვაზე ნ. ნ-ძემ დაამუხრუჭა, საჭე მიმართა მარცხნივ, გადავიდა საპირისპირო სამოძრაო ზოლში, სადაც შეეჯახა ზემოხსენებულ ავტომობილს; ქ. თბილისში, ... ქუჩაზე, №... და №... კორპუსებს შორის გამოსასვლელთან განთავსებულია საგზაო ნიშანი „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ 40 კმ/სთ-მდე;

28. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ, ექსპერტიზის კვლევით ნაწილში მითითებულია, რომ საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის დროს მძღოლი ი. ბ-ის მოქმედება არ შეესაბამებოდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართ №1, პრიორიტეტის ნიშანი 2.3 „დაუთმე გზა“ (გზა, რომელზე მოძრავი მძღოლი ვალდებულია გზა დაუთმოს გადასაკვეთ გზაზე მოძრავ მძღოლს) მოთხოვნებს, რომელთა დაცვის შემთხვევაშიც მომხდარ საგზაო სატრან-

სპორტო შემთხვევას ადგილი არ ექნებოდა.

29. ამავე დასკვნით დასტურდება რომ საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის დროს მძღოლ ნ. ნ-ძის მოქმედება არ შეესაბამებოდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს (მძღოლს ეკრძალება სატრანსპორტო საშუალების მართვა ამ კანონით განსაზღვრული სიჩქარის შეზღუდვის გადაჭარბებით. შერჩეული სიჩქარე მძღოლს საშუალებას უნდა აძლევდეს მუდმივად აკონტროლოს სატრანსპორტო საშუალება ისე, რომ დაცულ იქნეს მოძრაობის უსაფრთხოება), რომელთა დაცვის შემთხვევაშიც მომხდარ საგზაო სატრანსპორტო შემთხვევას ადგილი არ ექნებოდა.

30. საკასაციო პალატამ სსკ-ის 829-ე მუხლის ნორმატიული შინაარსის კონტექსტში არაერთხელ განმარტა „უხეში გაუფრთხილებლობის“ დეფინიცია. მაგალითად, საქმეში №ას-1479-2019, 21.01.2020წ., სადაც სადაზღვევო კომპანია მიუთითებდა მძღოლის უხეშ გაუფრთხილებლობაზე, როგორც ზარალის ანაზღაურების გამომრიცხველ გარემოებაზე, დადგინდა, რომ მძღოლის ბრალეულობა გამოიხატა მარტივ გაუფრთხილებლობაში და არა გაზრახვასა თუ უხეშ გაუფრთხილებლობაში. ამგვარი დასკვნა დაეფუძნა საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტებს: დაზღვეულ ავტომობილს მართავდა უფლებამოსილი მძღოლი; ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას; ავტოსაგზაო შემთხვევისას მძღოლი იმყოფებოდა ფიზიკურ მდგომარეობაში; მძღოლი მოძრაობდა დასაშვები სიჩქარით საკუთარ ზოლში; შემთხვევა მოხდა ღამით, უამინდობისას; ავტოსაგზაო შემთხვევისას მძღოლს არ აღენიშნებოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. ამ ფაქტების ერთობლიობა, საქმის მასალების გათვალისწინებით, იძლეოდა დამზღვევის მოქმედების მარტივ და არა უხეშ გაუფრთხილებლობად შეფასების საშუალებას. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი შემთხვევის ადგილის სქემის მიხედვით, მძღოლი მოძრაობდა მის სავალ ზოლში. არ იყო წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელითაც დადასტურდებოდა შემთხვევის დროს მძღოლის მხრიდან გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობა ან/და მისი ალკოჰოლური თრობის ქვეშ ყოფნა.

31. დასახელებული საქმისგან განსხვავებით სხვა საქმეში (იხ. სუსგ საქმე №ას-943-901-2013, 17 თებერვალი, 2014 წელი), რომლითაც დაუშვებლობის გამო განუხილველად დარჩა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი, დაავო იყო სწორედ სამინისტროს უფლებამოსილი მძღოლის მიერ უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება. აღნიშნულ საქმეში საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის

შესახებ, რომ მძლოლის მიერ შემთხვევის ადგილზე მოქმედი საგზაო ნიშნების უგულვებლყოფისა და სიჩქარის გადაჭარბების ფაქტის არსებობის გამო სახეზე იყო უხეში გაუფრთხილებლობა, რის გამოც, მოპასუხე სადაზღვევო კომპანიას არ ეკისრებოდა თანხის ანაზღაურების ვალდებულება.

32. მსგავსი განმარტება გააკეთა საკასაციო სასამართლომ საქმეებში №ას-943-901-2013, №ას-1319-1257-2014 და უხეშ გაუფრთხილებლობად შეაფასა უფლებამოსილი მძლოლის მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების (მანევრირების წესებისა და საგზაო ნიშნების უგულვებლყოფა) დარღვევა („ავტომობილის მძლოლმა, რომელიც მოძრაობდა გადაჭარბებული, 70 კმ/სთ სიჩქარით, მაშინ, როდესაც დასაშვები სიჩქარე 40 კმ/სთ იყო, ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოება, გადაკვეთა უწყვეტი ღერძულა ხაზი, გადავიდა საპირისპირო მიმართულებით სამოძრაო ზოლში და შეეჯახა შემხვედრი მიმართულებით მოძრავ მიკროავტობუსს“ (იხ. სუსგ საქმე №ას-943-901-2013); „ავტოვარია გამოიწვია მძლოლის უხეშმა გაუფრთხილებლობამ – ავტოსაგზაო შემთხვევა განაპირობა მძლოლის მიერ მანევრირების წესების უგულვებლყოფამ, რომელთა დაცვის შემთხვევაში, მას შეეძლო საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება. ამასთან, წარმოდგენილი ავტოტექნიკური და ავტოტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა, რომ ავტომობილი „შკოდა ოქტავია“ სახელმწიფო ნომრით ... შეეჯახებამდე მოძრაობდა გადაჭარბებული სიჩქარით“ (იხ. სუსგ საქმე №ას-1319-1257-2014).

33. ამდენად, ზემოაღნიშნული განმარტებების, მითითებული პრაქტიკისა და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთების გათვალისწინებით ნათლადაა გამიჯნული თუ რა შემთხვევებში შეიძლება მძლოლის მოქმედება შეფასდეს უხეშ გაუფრთხილებლობად და რა შემთხვევებში მარტივ გაუფრთხილებლობად.

34. განსახილველ შემთხვევაში, კასატორის პრეტენზიები დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ავტოსაგზაო შემთხვევისას გამოსათვლელი სიჩქარისთვის, საპირისპირო ზოლში დადგენილი სიჩქარის შეზღუდვის მაჩვენებელი ნიშნის შესახებ კასატორის პრეტენზიას და განმარტავს, რომ დაზღვეული ავტომობილი სიჩქარის 100%-იანი გადაჭარბებით მოძრაობდა, რაც მოძრაობის წესების უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევაზე მიუთითებს. ამასთანავე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნებისმიერი ლიმიტით სიჩქარის დაშვება, ავტომატურად ამავე ნიშნის მაქსიმალური სიჩქარით სიარულის საშუალებას არ იძლევა.

35. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ ადგილი ჰქონდა მარტივ გაუფრთხილებლობას და სიჩქარის გადა-

ჭარბება მოხდა 5 კმ/სთ-ით, ვინაიდან საგზაო ნიშანზე მითითებული სიჩქარის 15 კმ/სთ სიჩქარემდე გაზრდის უფლებას კანონმდებელი აძლევს მძღოლს, რომელსაც მხარე ითვისის საპირისპირო ზოლისათვის ნებადართულ 60 კმ/სთ სიჩქარიდან და არა 40 კმ/სთ სიჩქარიდან, რომელშიც მოძრაობდა დაზღვეული ავტომობილის მძღოლი – არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სიჩქარის გადაჭარბებად. საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ საგზაო ნიშანზე მითითებული სიჩქარის 15 კმ/სთ სიჩქარემდე გაზრდის უფლებას კანონმდებელი აძლევს მძღოლს იმ შემთხვევაში, როდესაც წინდახედულების ნორმების და ყველა სხვა ობიექტური გარემოების, მათ შორის ადგილმდებარეობის შეფასების შედეგად მაღალი ალბათობით მძღოლი დარწმუნდება, რომ სიჩქარის მომატებით არ დაირღვევა საგზაო მოძრაობის წესები და არ დადგება რაიმე ზიანი. მოცემულ შემთხვევაში კი დაზღვეული ავტომობილი დასახლებულ პუნქტში მოძრაობდა დაშვებულზე (40 კმ/სთ) ორჯერ მეტი (80 კმ/სთ) სიჩქარით, რაც უკვე სხვა ფაქტორების გათვალისწინების გარეშეც უხეშ გაუფრთხილებლობას წარმოადგენს.

36. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული შედაცვა და საკმარისი მკტიციებულებები, რაც გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების წინაპირობა იქნებოდა, შესაბამისად, გასაჩივრებული გადანყვეტილებით სწორადაა დადგენილი მძღოლის მოქმედება უხეშ გაუფრთხილებლობად, რაც მოცემულ შემთხვევაში სარჩელით მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი, არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 16 მაისის გადანყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სადაზღვევო უზენაესი სასამართლოს დადგომით მიყენებული ზიანის
ანაზღაურება;**

ფრანშიზა

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-845-2024

24 იანვარი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**
**შემადგენლობა: ა. ძაბუნაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ქორჩიაშვილი,
გ. ჯეირანაშვილი**

დავის საგანი: სადაზღვევო თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. მ. ს-ქმ (შემდგომ – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „თ. დ-ვის“ (შემდგომ – მოპასუხე) მიმართ 2020 წლის 7 მაისის №AGR200800022221 ინვოისით/პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო თანხის – 22500 ლარისა და 2020 წლის 7 მაისის №AGR200800022224 ინვოისით/პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო თანხის – 12000 ლარის ანაზღაურების შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, შპს „ტ. კ-ს“ (შემდგომ – შპს) საკუთრების უფლებით ერიცხება უძრავი ნივთი, კერძოდ, 63 021 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი ..., ს/კ №...). 2017 წლის პირველ ივნისს შპს-სა და მოსარჩელეს შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება, რომლის 1.1. პუნქტის თანახმად, მოსარჩელეს იჯარით გადაეცა 30 000 კვ.მ. მას უნდა გაეშენებინა ვაზის კულტურა. საიჯარო პირობა შესრულდა, გაშენდა საფერავისა და ქისის ჯიშის ვენახი.

3. 2020 წლის 7 მაისს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო დაზღვევის 2 ხელშეკრულება, რაზეც გამოინერა 2 ინვოისი/სადაზღვევო პოლისი. პირველ შემთხვევაში №AGR200800022221 ინვოისით/სადაზღვევო პოლისით დაზღვეულ კულტურას წარმოადგენდა 15000 კვ.მ-ზე გაშენებული ნითელი ყურძენი, საფერავი, რაც მოსავლის სა-

ნით, სავარაუდოდ, უნდა აღებულიყო 2020 წლის 30 ოქტომბერს. ინვოისის/სადაზღვევო პოლისის თანახმად, 1 ჰექტარ ფართზე უნდა მიღებულიყო 10 000 კგ. მოსავალი, 1 კგ. – 1.50 ლარის ღირებულებით, სულ – 22 500 ლარის სადაზღვევო ლიმიტით, რისთვისაც პრემიის ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 1912.50 ლარი, დამზღვევის მიერ გადასახდელმა სადაზღვევო პრემიის წილმა – 956.25 ლარი, ხოლო სადაზღვევო პრემიის სუბსიდიურმა წილმა – 956.25 ლარი. მეორე სადაზღვევო ხელშეკრულების №AGR200800022224 ინვოისით/სადაზღვევო პოლისით დაზღვეულ კულტურას კი წარმოადგენდა 15 000 კვ.მ-ზე გაშენებული თეთრი ყურძენი, ქისი, რაც მოსავლის სახით, სავარაუდოდ, უნდა აღებულიყო 2020 წლის 30 ოქტომბერს. ინვოისის/სადაზღვევო პოლისის თანახმად, 1 ჰექტარ ფართზე უნდა მიღებულიყო 10 000 კგ. მოსავალი, 1 კგ. 0.80 ლარის ღირებულებით, სულ – 12 000 ლარის სადაზღვევო ლიმიტით, რისთვისაც ჯამური პრემიის ოდენობამ შეადგინა 1 020 ლარი, დამზღვევის მიერ გადასახდელმა სადაზღვევო პრემიის წილმა – 510.00 ლარი, ხოლო სადაზღვევო პრემიის სუბსიდიურმა წილმა – 510.00 ლარი. ორივე შემთხვევაში მოსარჩელემ შესაბამისი პრემია: 956.25 და 510.00 ლარი გადაიხადა.

4. 2020 წლის 16 ივლისს დადგა სადაზღვევო შემთხვევა, რის თაობაზეც მოპასუხეს მყისიერად ეცნობა ცხელ ხაზზე განხორციელებული ზარით. შემფასებელმა ზიანის პროცენტული ოდენობა დათვალა, რამაც შეადგინა 100%, თუმცა მისაღები თანხა შეამცირა პირველ შემთხვევაში 22 500-დან 1500 ლარამდე, ხოლო მეორე შემთხვევაში – 12 000 ლარიდან 720 ლარამდე, რასაც მოსარჩელე კატეგორიულად არ დაეთანხმა.

5. მოპასუხეს სადაზღვევო თანხა არ აუნაზღაურებია.

მოპასუხის პოზიცია:

6. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა არ არსებობს. მოპასუხემ შეაფასა სადაზღვევო შემთხვევის შედეგები. აღნიშნულს დაესწრო თავად მოსარჩელის მიერ უფლებამოსილი პირი, რომელიც ვენახს უვლიდა. დათვალიერების აქტში მოცემული მონაცემებისგან განსხვავებული მაჩვენებლების არსებობა მოსარჩელეს სათანადო მტკიცებულებით არ დაუდასტურებია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

7. თელავის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 22500 და 12000 ლარის ანაზღაურება, რაც მოპასუხემ 32 430 ლარის მისთვის დაკისრების ნაწილში გაასაჩივრა სააპელა-

ცხოვრებით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 19 თებერვლის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შპს-ს საკუთრების უფლებით ერიცხება 63 021 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

10. 2017 წლის პირველ ივნისს შპს-სა და მოსარჩელეს შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება, რომლის 1.1. პუნქტის თანახმად, 30 000 კვ.მ გადაეცა მოსარჩელეს იჯარით. მას უნდა გაეშენებინა ვაზის კულტურა. საიჯარო პირობა მოსარჩელემ შეასრულა. გაშენდა საფერავისა და ქისის ჯიშის ვენახი. 2018 წლის აპრილში 15000 კვ.მ-ზე გაშენდა ერთწლიანი საფერავის ჯიშის ნერგი, ხოლო დარჩენილ 15000 კვ.მ-ზე – ერთწლიანი ქისის ჯიშის ნერგი.

11. 2020 წლის 7 მაისს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო დაზღვევის 2 ხელშეკრულება, რაზეც გამოინერა 2 ინვოისი/სადაზღვევო პოლისი – AGR200800022221 და ARG200800022224. ორივე სადაზღვევო ხელშეკრულების/პოლისის თანახმად, სადაზღვევო შემთხვევად განისაზღვრა სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა.

12. AGR200800022221 ინვოისით/სადაზღვევო პოლისით დაზღვეულ კულტურას წარმოადგენდა 15000 კვ.მ-ზე გაშენებული წითელი ყურძენი, საფერავი. მოსავალი, სავარაუდოდ, უნდა აღებულიყო 2020 წლის 30 ოქტომბერს. ინვოისის/სადაზღვევო პოლისის თანახმად, ერთ ჰექტარ ფართზე მისალეები მოსავლის რაოდენობად მიეთითა 10 000 კგ, 1 კგ.-ს ღირებულება – 1.50 ლარი, 22 500 ლარის ოდენობით სადაზღვევო ლიმიტით, რისთვისაც პრემიის ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 1912.50 ლარი, დამზღვევის მიერ გადასახდელმა სადაზღვევო პრემიის წილმა – 956.25 ლარი, ხოლო სადაზღვევო პრემიის სუბსიდიურმა წილმა – 956.25 ლარი, რაც იმავე დღეს იქნა გადახდილი.

13. AGR200800022224 ინვოისით/სადაზღვევო პოლისით დაზღვეულ კულტურას წარმოადგენდა 15000 კვ.მ-ზე გაშენებული თეთრი ყურძენი, ქისი, მოსავალი, სავარაუდოდ, უნდა აღებულიყო 2020 წლის 30 ოქტომბერს. ინვოისის/სადაზღვევო პოლისის თანახმად, ერთ ჰექტარ ფართზე მისალეები მოსავლის რაოდენობად მიეთითა 10 000 კგ., 1 კგ.-ს ღირებულება – 0.80 ლარი, 12 000 ლარის ოდენობით სადაზღვევო ლიმიტით, რისთვისაც ჯამური პრემიის ოდენობამ შეადგინა 1020 ლარი,

დამზღვევის მიერ გადასახდელმა სადაზღვევო პრემიის ნილმა – 510.00 ლარი, რაც იმავე დღეს იქნა გადახდილი.

14. 2020 წლის 16 ივლისს დადგა სადაზღვევო შემთხვევა, რაც მოსარჩელემ იმავე დღეს ცხელ ხაზზე შეატყობინა მოპასუხეს.

15. 2020 წლის 18 ივლისს დაზღვეული ობიექტის ადგილზე ჩავიდნენ მზღვეველი კომპანიის წარმომადგენელი და მზღვეველის მიერ მოწვეული აგროექსპერტი, რომლებმაც მოსარჩელის დარაჯის მონაწილეობით დაათვალიერეს დაზღვეული ნაკვეთი და შეადგინეს დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის დათვალიერების აქტი. ამავე აქტის თანახმად, სეტყვის შედეგად ზიანმა შეადგინა 100%.

16. სადაზღვევო შემთხვევის აქტების თანახმად, საფერავის (წითელი ყურძნის) ზიანი განისაზღვრა 1500 ლარით (ფრანშიზის თანხის გამოკლების გარეშე), ხოლო თეთრი ყურძნის ზიანი – 720 ლარით. აქტებს ხელს აწერენ მზღვეველი, შემომწმებელი აგროექსპერტი და მოსარჩელე მხარის დარაჯი – ო. ა. (შემდგომ – ფიზიკური პირი). მოსარჩელის მიერ მის სახელზე გაცემული რწმუნებულება საქმეში წარდგენილი არ არის.

17. მოსარჩელის განმარტებით, 2020 წლის 17-18 ივლისს სატელეფონო საუბრისას მან სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლებს განუმარტა, რომ ადგილზე მისვლისას მათ დახვდებოდა ფიზიკური პირი მხოლოდ იმ მიზნით, რომ შესაბამისი ფართი ეწვენებინა, სადაც მოსავალი სრულად იყო განადგურებული. მას ამ პირისათვის რაიმე სხვა (ზიანის დაანგარიშების დადასტურების) უფლებამოსილება არ მიუნიჭებია.

18. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ აპელანტმა სადაზღვევო აქტების მტკიცებულებითი ძალის შეფასების ნაწილში გასაჩივრებულნი გადანყვეტილების დასაბუთებულობა არსებითად სადავოდ გახადა. სააპელაციო საჩივრის ფარგლებში სააპელაციო პალატამ პასუხი გასცა კითხვას, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტები წარმოდგენდა თუ არა სადავო გარემოებების დასადასტურებლად ან უარსაყოფად ვარგის მტკიცებულებას და აღნიშნული საკითხი უარყოფითად შეაფასა.

19. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 799-ე მუხლის პირველი ნაწილით და, ამავდროულად, განმარტა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევასთან დაკავშირებით (სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა) მზღვეველს, დამზღვევეს/მოსარგებლეს და სააგენტოს შორის ურთიერთობებს არეგულირებს „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილება

(შემდგომ დადგენილება, აგროდაზღვევის პროგრამა), რომლის პირველ მუხლში აღნიშნულია, რომ მზღვეველს, დამზღვევეს და სააგენტოს შორის ურთიერთობები, როგორცაა მზღვეველის და დამზღვევის უფლება-მოვალეობები, ზიანის რეგულირების პროცესი და სხვა, განისაზღვრება ამ დადგენილებით, სააგენტოსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, დამზღვევის მიერ გაცემული პოლისით (1.5 მუხლი).

20. ამავე დადგენილების მე-2 მუხლის „ჟ“ პუნქტით, სადაზღვევო შემთხვევა არის სადაზღვევო რისკების ხდომილების შედეგად დაზღვევის ობიექტისთვის ზიანის მიყენება, რომლის საფუძველზე წარმოიშობა მზღვეველის პასუხისმგებლობა, გაცეს სადაზღვევო ანაზღაურება, ხოლო ამავე მუხლის „რ“ პუნქტით, მისაღები მოსავალი არის მოსავალი, რომელიც მითითებულია დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალეირების აქტში, როგორც მოსავალი, რომელსაც დამზღვევი/მოსარგებლე მიიღებდა, სადაზღვევო რისკის ხდომილება რომ არ დამდგარიყო.

21. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ხელშეკრულება, შესაბამისად, სადაზღვევო პოლისი ითვალისწინებდა, მათ შორის, ისეთი ბუნებრივი რისკის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, როგორც არის სეტყვა. საქმეზე სადავოდ არ გამხდარა გარემოება, რომ 2020 წლის 16 ივლისს დადგა სადაზღვევო რისკის ხდომილება, კერძოდ, სეტყვის შედეგად დაზღვეული მოსავალი 100%-ით განადგურდა. მხარეთა შორის სადავოა ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა.

22. სააპელაციო პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ყურადღება გაემახვილებინა სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე და საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი უფლება-მოვალეობების მხარეთა მიერ ეფექტიანად გამოყენების მნიშვნელობაზე. პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (შემდგომ – სსსკ) ითვალისწინებს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს, რომელიც, მხარეთა თანასწორობის პრინციპთან ერთად, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით, აგრეთვე, ამავე კოდექსის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს.

23. სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორცაა შესაგებელი. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება, მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მასში ვლინდება ნერილო-

ბითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი, ასევე, ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია, ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დავაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან.

24. მოცემულ საქმეზე წარდგენილი სარჩელი არსებითად ეფუძნება მოსარჩელის იმ მტკიცებას, რომ მან დააზღვია და სადაზღვევო პოლისში მიუთითა მოსავლის ის რაოდენობა, რისი რეალურად მიღების მოლოდინიც ჰქონდა, ვაზის ჯიშისა და ნლოვანების გათვალისწინებით, ხოლო რამდენადაც მისაღები მოსავალი სრულად განადგურდა, მას სრულად უნდა აუნაზღაურდეს მისი ღირებულება.

25. მოსარჩელის აღნიშნული მტკიცებების საპირისპიროდ, მოპასუხემ/აპელანტმა განაცხადა, რომ პოლისში მითითებულია არა მოსავლის მოსალოდნელი, არამედ ის მაქსიმალური ოდენობა, რისი მითითების უფლებაც მოსარჩელეს გააჩნდა აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში, რომელიც რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილებით. ადგილზე დათვალიერებისა და შეფასების შედეგად დადგინდა, რომ რეალურად მისაღები მოსავალი ნაკლები იყო ნორმატიულ მოსავლიანობაზე. შესაბამისად, ზიანის ოდენობის დაანგარიშება მოხდა რეალურად მისაღები მოსავლის მიხედვით, როგორც ეს გათვალისწინებულია მთავრობის დადგენილების მე-9 მუხლით.

26. სადაზღვევო შემთხვევისგან გამომდინარე, საზღაურის ოდენობის განსაზღვრის საკითხები დარეგულირებულია „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილებით, რომლის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მზღვეველი ვალდებულია დამზღვევის იდენტიფიცირებიდან 21 კალენდარულ დღეში შეადგინოს დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის დათვალიერების აქტი.

27. აღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის „უ“ პუნქტის შესაბამისად, დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტი არის დოკუმენტი, რომელიც დგება მზღვეველის (ან მზღვეველის მიერ მონვეული ექსპერტის) მიერ და ხელს აწერენ მზღვეველი და დამზღვევი მოსარგებლე. აღნიშნული აქტით დასტურდება დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) მზღვეველის მიერ დათ-

ვალერიებისა და კონკრეტული შემთხვევის ხდომილებით გამოწვეული ზიანის ოდენობა.

28. ამდენად, სააპელაციო პალატის მითითებით, როგორც მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების, ისე სსკ-ის 814-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსიდან გამომდინარე, ყველა ის გარემოება, რაც უკავშირდება სადაზღვევო შემთხვევას და მისგან გამომდინარე საზღაურის ოდენობის განსაზღვრის საკითხს, გამოკვლეული და დადგენილი უნდა იქნეს მზღვეველის მიერ, რის შესახებაც დგება შესაბამისი აქტი (სადაზღვევო აქტი). სადაზღვევო აქტი უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესახებ, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებენ მხარეები. სადაზღვევო აქტით მხარეები თანხმდებიან სადაზღვევო ანაზღაურების საბოლოო მოცულობაზე.

29. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ სადავოდ გახადა სადაზღვევო აქტში მითითებული გარემოებები, კერძოდ, ზიანის ოდენობასთან დაკავშირებული ინფორმაციის სისწორე მზღვეველის მიერ აქტის ცალმხრივად, დამზღვევის წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე, შედგენის ფაქტზე.

30. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ის 105-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო მტკიცებულებათა შეფასებას ახდენს ორი თვალსაზრისით, მათი სარწმუნოების და არასარწმუნოების თვალსაზრისით და იმის მიხედვით, თუ საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რომელ ფაქტს ადასტურებს ეს მტკიცებულება. მტკიცებულებათა შეფასება მოსამართლის შინაგანი რწმენით არ ნიშნავს სრულიად უანგარიშგებო დასკვნების გაკეთების უფლებას. სასამართლომ თავის გადანყვეტილებაში უნდა მიუთითოს მოსაზრებაზე, რის გამოც მან ზოგიერთი მტკიცებულება ცნო უტყუარად, ხოლო სხვები სარწმუნოდ. მტკიცებულებათა შეფასებაში სასამართლო თავისუფლება, მისი დამოუკიდებლობა ფაქტისა და უფლების შესახებ საკითხის გადანყვეტაში უზრუნველყოფილია შემდეგი პრინციპით: არავითარ მტკიცებულებას სასამართლოსათვის არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ნებისმიერი მტკიცებულება სასამართლომ შეიძლება უარყოს და ან პირიქით, მიიღოს, თუ მტკიცებულების ობიექტური შინაარსი შეესაბამება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. საპროცესო კანონმდებლობით თითოეულ მხარეს ევალება, წარადგინოს საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ისეთი მტკიცებულებები, რომელიც მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტის შესატყვისად, აძლევს შესაძლებლობას, კონკრეტული გარემოება თუ ფაქტი დაადასტუროს. სასამართლო ერთობლივად აანალიზებს მტკიცებულებებს და მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიდის დასკვნამდე მხარის მოსაზრების დასამტკიცებ-

ლად თითოეულის ვარგისიანობისა და სამართლებრივი წონადობის თაობაზე.

31. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადაზღვევო აქტი დამზღვევის სახელით, ხელმოწერილია ფიზიკური პირის მიერ, რომელიც წარმოადგენს მოსარჩელის მიერ დაქირავებულ პირს (ვენახის მომვლელს/დარაჯს). მოპასუხის განმარტებით, ადგილზე მისვლისას სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელს იგი დახვდა, როგორც დამზღვევის უფლებამოსილი პირი. მოსარჩელემ კი ფიზიკური პირის უფლებამოსილება უარყო.

32. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოსარჩელის შედეგების არსებობის პირობებში, მოპასუხეს წარმოეშვა სასამართლოსათვის იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მან შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და სადაზღვევო აქტის შედგენისას უზრუნველყო მეორე მხარის წარმომადგენლის მონაწილეობა. უფრო კონკრეტულად, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს უნდა წარმოედგინა ისეთი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მოსარჩელის ვენახის მომვლელი ფიზიკური პირი (დარაჯი) უფლებამოსილი იყო, დამზღვევის სახელით დაედსტურებინა სადაზღვევო აქტში აღწერილი გარემოებების სისწორე, თუმცა აპელანტმა ამ თვალსაზრისით სასამართლოს შესაბამისი/განკუთვანადი მტკიცებულება ვერ წარუდგინა.

33. ასეთ ვითარებაში, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხის მთავარი მტკიცებულება – სადაზღვევო აქტი სადავო გარემოებების დასადასტურებლად ან უარსაყოფად არავარგის მტკიცებულებას წარმოადგენს. დავის გადაწყვეტისთვის საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობა გააჩნია მხოლოდ ორმხრივად დადასტურებულ/ხელმოწერილ სადაზღვევო აქტს. კონკრეტულ შემთხვევაში კი, სადაზღვევო აქტის სახით, წარმოდგენილია მხოლოდ დაინტერესებული მხარის მიერ ცალმხრივად შედგენილი დოკუმენტი, რომელიც ვერ შეფასდება სარწმუნო და რელევანტურ მტკიცებულებად და არ ქმნის მასში მითითებული გარემოებების, მათ შორის, ზიანის ოდენობის დაანგარიშებასთან დაკავშირებული გარემოებების გაზიარების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს.

34. სააპელაციო პალატამ დამატებით მიუთითა, რომ „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილების მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ზიანის დაანგარიშების მეთოდის (თუ დაზღვეული ტერიტორიიდან მისაღები მოსავალი ნაკლებია ნორმატიულ მოსავლიანობაზე, მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანისათვის გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა გამოიანგარიშება მისაღები მოსავლის ნამრავლით ზიანის პროცენტზე და ნორმა-

ტიულ ფასსა და საბაზრო ფასს შორის უმცირესზე) ამოქმედების/გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მისაღები მოსავლის ნაკლებობა ნორმატიულ მოსავლიანობაზე. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან აპელანტი სწორედ ზიანის დაანგარიშების აღნიშნულ მეთოდის გამოყენებაზე მიუთითებს, მას წარმოეშვა იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მისაღები მოსავალი სადაზღვევო პოლისში მითითებულ ნორმატიულ მოსავლიანობაზე (10 000 კგ 1 ჰექტარზე) ნაკლები იყო, თუმცა ამ მიმართებით სადაზღვევო კომპანიამ სარწმუნო მტკიცებულებები ვერ წარადგინა (როგორც ზემოთ აღინიშნა, სადაზღვევო აქტი ამ თვალსაზრისით არავარგისი მტკიცებულებაა).

35. სააპელაციო პალატამ შეაფასა აპელანტის ის განმარტებაც, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების და გამოკვლევის შედეგად კომპანიის წარმომადგენლებმა დაადგინეს ერთ ძირ სამწლიან ვაზის ნერგზე მხოლოდ ორი მტევნის არსებობა და ამ დაანგარიშებით განსაზღვრეს მისაღები მოსავლის ოდენობა. აღნიშნულს კატეგორიულად არ დაეთანხმა მოსარჩელე და საპირისპიროდ მიუთითა, რომ, მართალია, მან სამი წელია რაც ვაზის ნერგები დარგო, თუმცა თავად ნერგები დარგვის დროს იყო ორი წლის, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმე ეხება 5-წლიან ვაზის ნარგავის მოსავლიანობას და თითო ასეთი ვაზის ძირზე მოსავლად ორი მტევნის გათვალისწინება არის სრულიად არარეალური და მოგონილი. ამდენად, მოპასუხეს წარმოეშვა მის მიერ მითითებული გარემოების მტკიცების ტვირთი, თუმცა მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მტკიცება არ ემყარება სარწმუნო მტკიცებულებებს. მაგალითად, საქმეში არ არის წარმოდგენილი ადგილზე დათვალიერების ვიდეომასალა ან იმგვარი მტკიცებულება, რაც სასამართლოს, მათი თავისუფალი შეფასების საფუძველზე, შეუქმნიდა იმ მტკიცების გაზიარების საფუძველს, რომ სადავო ფართზე ერთ ძირ ვაზს საშუალოდ ორი მტევანი ესხა. აღნიშნული გარემოების დაუსაბუთებლობა კი, მოპასუხის შედავებას მთლიანად უსაფუძვლოდ აქცევს. შესაბამისად, მოპასუხემ ვერ გააქარწყლა სარჩელის საფუძველად მითითებული ის საკვანძო გარემოება, რომ სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლის მიერ სადაზღვევო შემთხვევის აქტებში არასწორად მიეთითა მისაღები მოსავალი და ასანაზღაურებელი თანხის ოდენობაც არასწორად დაანგარიშდა. შესაბამისი საწინააღმდეგო მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, სააპელაციო პალატამ გაითვალისწინა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევა ქართული ვაზის ჯიშების შესახებ, რომლის თანახმადაც „საფერავი საშუალო ზრდისა და უხვმოსავლიანია. სექტემბრის მეორე ნახევრიდან ოქტომბრის პირველ ნახევრამდე მნიფდება. მტევნის საშუალო წონა 140-160 გრამია, საჰექტარო მოსავლიანობა კი – 10.0-15.0 ტონა. (უჯმაჯურიძე ლ., კაკაბაძე გ., მამა-

სახლიშვილი ლ., „ქართული ვაზის ჯიშები“, თბ., 2018, გვ. 335 <https://ka.wikipedia.org/wiki/>), „ქისი საშუალო ან საშუალოზე ძლიერი ზრდისა და საშუალომოსავლიანია. სავეგეტაციო პერიოდი კვირტის გაშლიდან სრულ სიმწიფემდე 152 დღეა. სრულ სიმწიფეში სექტემბრის შუა რიცხვებში შედის. მტევნის საშუალო წონა 170-180 გრამია, საპექტარო მოსავლიანობა კი – 6.0-8.0 ტონა“ (https://ka.wikipedia.org/wiki/ცერცვაძე_ნ.,_ქართული_საბჭოთა_ენციკლოპედია,_ტ._10,_თბ.,_1986._-გვ._537._ხარბე-დია_მ.,_ქართული_ლენინის_გზამკვლევი), გვ. 51-52, თბ., 2013 უჯმაჯურიძე ლ., კაკაბაძე გ., მამასახლიშვილი ლ., „ქართული ვაზის ჯიშები“, თბ., 2018, გვ. 381-382). „თელავში საკოლექციო ნაკვეთზე წარმოებული დაკვირვების მიხედვით, ქისი დარგვიდან მესამე წელს სრული მოსავლის დაახლოებით ერთ მესამედს იძლევა, ხოლო მეოთხე წელს მან მოგვცა ნორმალური მოსავალი 96 მტევანი 10 ძირზე. ასეთივე ნაადრევი მოსავლიანობა გვიჩვენა ამ ჯიშმა სარეპროდუქციო ნაკვეთებზე და – დარგვიდან მე-3, მე-4 წელს (ნიკო კეცხოველი, მაქსიმე რამიშვილი, დიმიტრი ტაბიძე. საქართველოს ამპელოგრაფია. 1960 წელი, რედაქცია „აგროკავკასია“).

36. სააპელაციო პალატის განმარტებით, მოსარჩელის იმ მტკიცების გაზიარებისთვის, რომ დამზღვევს თითოეული დაზღვეული ნაკვეთიდან უნდა მიეღო როგორც 10 000 კგ საფერავის ჯიშის ყურძენი, ისე 10 000 კგ ქისის ჯიშის ყურძენი და ვინაიდან მოსავალი 100%-ით განადგურდა, მისი ღირებულების სრულად ანაზღაურების ვალდებულება მოპასუხეს აკისრია.

37. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ სწორად მოიძია მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა – სსკ-ის 799-ე მუხლი, მართებულად დაადგინა მისი ნორმატიული ელემენტების არსებობა: მხარეთა შორის დაზღვევის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა; დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდა; სადაზღვევო შემთხვევის დადგომა; ამ შემთხვევის შედეგად დაზღვეული საგნის დაზიანების ფაქტი. მოხმობილი გარემოებიდან გამომდინარე, სასამართლომ საპროცესო სტანდარტის დაცვით (სსკ-ის 105-ე მუხლი) შეაფასა საქმის მასალები. მოპასუხე მხარემ მისი მტკიცების ფარგლებში, სასამართლოს ვერ წარუდგინა მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საპირისპირო მტკიცებულებები, რაც მართებულად გახდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

38. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

39. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატას არ უმსჯელია ზოგადად სადაზღვევო ურთიერთობისათვის, კონკრეტულად კი, აღნიშნული დავისათვის მნიშვნელოვან – სადაზღვევო ანაზღაურებისათვის ფრანშიზის გამოკლების საკითხზე.

40. მხარის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. სადაზღვევო ურთიერთობა რეგულირდება აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილებით, რომლითაც განსაზღვრულია ფრანშიზის განმარტება და ოდენობა. დადგენილების მე-2 მუხლის „ო“ პუნქტის თანახმად, მხარეთა შორის გაფორმებულ პოლისში ფრანშიზა გათვალისწინებული იყო, როგორც არაანაზღაურებადი მინიმუმი, რომლის გამოკვითვა ხორციელდება თითოეული სადაზღვევო შემთხვევისათვის. დადგენილებით განსაზღვრულია მისი გამოთვლის წესიც. ამავე ნორმატიული აქტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კასატორმა მიიჩნია, რომ სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის მაქსიმალური სადაზღვევო ლიმიტის დაკისრების შემთხვევაშიც, სადაზღვევო ანაზღაურების დათვლისას უნდა გამოეკლო ფრანშიზის ოდენობა (10%).

41. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. მართალია, საქმის მასალებში მოსარჩელის მიერ ფიზიკური პირის სახელზე გაცემული მინდობილობა წარმოდგენილი არ არის, თუმცა სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა მოპასუხის მიერ დასახელებული გარემოებანი და აღნიშნულის პირის შესაბამისი უფლებამოსილება ისე დაედგინა. წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, 2020 წლის 17 ივლისს მოპასუხის წარმომადგენელი ესაუბრა მოსარჩელეს, რომელმაც განმარტა, რომ ადგილზე ჰყავდა წარმომადგენელი, რომელიც, მისი არყოფნის შემთხვევაში, დაესწრობდა შეფასებას. მეორე დღეს სატელეფონო კავშირის მეშვეობით მოსარჩელემ ფიზიკური პირი დაასახელა საკუთარ წარმომადგენლად. კასატორმა აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ მიწოდებული ინფორმაციით, ფიზიკური პირი იყო ვენახის მომვლელი, აგრონომი და არა დარაჯი.

42. იმ შემთხვევაშიც, თუ დათვალიერებას მოსარჩელის მხრიდან უფლებამოსილი წარმომადგენელი არ ესწრებოდა და მოსარჩელე არ დაეთანხმა შეფასების შედეგებს, მას არ უსარგებლია დამზღვევის უფლებით, თავად წარედგინა სასამართლოსათვის ექსპერტიზის განსხვავებული დასკვნა. მან კი ექსპერტს მიმართა პირველ დეკემბერს, როდესაც რეალური მოსავლიანობის შეფასება შეუძლებელი იყო.

43. კასატორმა აღნიშნა, რომ 2020 წლის 8 აგვისტოს მიმართვის წერილში მოსარჩელეს დათვალიერების აქტის მიმართ პრეტენზია არ გამოუთქვამს, მეტიც, იგი დაეთანხმა მის შინაარსს, რომ მოსავალი 100%-

ით განადგურდა. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც დათვალიერებას ესწრება არა ვენახის მესაკუთრე, არამედ ვენახის რეალური მომვლელი.

44. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა ზემოხსენებული დადგენილების საფუძველზე შემუშავებული ზიანის დარეგულირების სახელმძღვანელო, რომელიც დაერთო საქმეს შესაგებელთან ერთად. აღნიშნული დოკუმენტი არ ავალებს მზღვეველს დათვალიერების აქტზე ვიდეომასალის დართვას, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინებით მოპასუხეს კანონით გათვალისწინებულზე მეტი მტკიცების ტვირთი დაეკისრა. სახელმძღვანელოთი განსაზღვრული ზარალი შეფასებისათვის საჭირო ყველა მოქმედება, მათ შორის ფოტოგადაღება, მოპასუხემ შეასრულა.

45. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 17 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 2024 წლის 27 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

46. 2025 წლის 20 იანვარს მოსარჩელემ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა მოცემული საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა, რადგან კასატორმა სასამართლო სხდომაზე დაასაბუთოს, რომ მოცემული საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, ხოლო მონინალმდევე მხარემ უნდა გასცეს აღნიშნულზე დასაბუთებული პასუხი.

სამოტივაციო ნაწილი:

47. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

48. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), შეფასების საგანი იქნება კასატორის შედავების საფუძვლიანობა, კერძოდ, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ემყარება კანონდარღვე-

ვას, რადგან სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი მატერიალური და საპროცესო ნორმების დარღვევით.

49. სსსკ-ის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვევულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

50. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამზღვევისათვის სადაზღვევო თანხის ანაზღაურება, მხარეთა შორის შეთანხმებული ფრანშიზის ღირებულების გამოკლებით.

51. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზის თანახმად, სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანი მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა.

52. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, კერძოდ, – სადაზღვევო თანხის ანაზღაურება, მისი მოთხოვნა სსსკ-ის 799-ე მუხლიდან გამომდინარეობს (დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება).

53. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად უნდა ჩაითვალოს შემდეგი გარემოებანი:

54. 2020 წლის 7 მაისს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო

დაზღვევის 2 ხელშეკრულება, რაზეც გამოიწერა 2 ინვოისი/სადაზღვევო პოლისი – AGRG200800022221 და ARG200800022224. ორივე სადაზღვევო ხელშეკრულების/პოლისის თანახმად, სადაზღვევო შემთხვევად განისაზღვრა სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა.

55. AGR200800022221 ინვოისით/სადაზღვევო პოლისით დაზღვეულ კულტურას წარმოადგენდა 15000 კვ.მ-ზე გაშენებული ნითელი ყურძენი, საფერავი. მოსავალი, სავარაუდოდ, უნდა აღებულიყო 2020 წლის 30 ოქტომბერს. ინვოისის/სადაზღვევო პოლისის თანახმად, ერთ ჰექტარ ფართზე მისაღები მოსავლის რაოდენობად მიეთითა 10 000 კგ, 1 კგ.-ს ღირებულება – 1.50 ლარი, 22 500 ლარის ოდენობით სადაზღვევო ლიმიტით, რისთვისაც პრემიის ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 1912.50 ლარი, დამზღვევის მიერ გადასახდელმა სადაზღვევო პრემიის წილმა – 956.25 ლარი, ხოლო სადაზღვევო პრემიის სუბსიდიურმა წილმა – 956.25 ლარი, რაც იმავე დღეს იქნა გადახდილი.

56. AGR200800022224 ინვოისით/სადაზღვევო პოლისით დაზღვეულ კულტურას წარმოადგენდა 15000 კვ.მ-ზე გაშენებული თეთრი ყურძენი, ქისი, მოსავალი, სავარაუდოდ, უნდა აღებულიყო 2020 წლის 30 ოქტომბერს. ინვოისის/სადაზღვევო პოლისის თანახმად, ერთ ჰექტარ ფართზე მისაღები მოსავლის რაოდენობად მიეთითა 10 000 კგ., 1 კგ.-ს ღირებულება – 0.80 ლარი, 12 000 ლარის ოდენობით სადაზღვევო ლიმიტით, რისთვისაც ჯამური პრემიის ოდენობამ შეადგინა 1020 ლარი, დამზღვევის მიერ გადასახდელმა სადაზღვევო პრემიის წილმა – 510.00 ლარი, რაც იმავე დღეს იქნა გადახდილი.

57. 2020 წლის 16 ივლისს დადგა სადაზღვევო შემთხვევა, რაც მოსარჩელემ იმავე დღეს ცხელ ხაზზე შეატყობინა მოპასუხეს.

58. 2020 წლის 18 ივლისს დაზღვეული ობიექტის ადგილზე ჩავიდნენ მზღვეველი კომპანიის წარმომადგენელი და მზღვეველის მიერ მოწვეული აგროექსპერტი, რომლებმაც მოსარჩელის დარაჯის მონაწილეობით დაათვალიერეს დაზღვეული ნაკვეთი და შეადგინეს დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის დათვალიერების აქტი. ამავე აქტის თანახმად, სეტყვის შედეგად ზიანმა შეადგინა 100%.

59. სადაზღვევო შემთხვევის აქტების თანახმად, საფერავის (ნითელი ყურძენის) ზიანი განისაზღვრა 1500 ლარით (ფრანშიზის თანხის გამოკლების გარეშე), ხოლო თეთრი ყურძენის ზიანი – 720 ლარით. აქტებს ხელს აწერენ მზღვეველი, შემმონმებელი აგროექსპერტი და მოსარჩელე მხარის დარაჯი. მოსარჩელის მიერ მის სახელზე გაცემული რწმუნებულება საქმეში წარდგენილი არ არის.

60. ამდენად უდავოა, რომ 2020 წლის 16 ივლისს დადგა სადაზღვევო შემთხვევა და სეტყვის შედეგად დაზღვეული მოსავალი 100%-ით

განადგურდა. მხარეთა შორის დავას იწვევს ასანაზლაურებელი ზიანის ოდენობა.

61. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს ხელშეკრულება წარმოადგენს. საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილი და დაცულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, კერძოდ, სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება კანონს.

62. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების თავისუფლება მოიცავს ისეთ ორ ძირითად პრინციპს, როგორცაა ხელშეკრულების დადების თავისუფლება და ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება. ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს იმპერატიული ხასიათის ნორმებით. იმპერატიული ხასიათის ნორმები ორ ძირითად მიზანს ემსახურება: ა) მხარეთა მიერ განსაზღვრული პირობები შეიძლება ჩაითვალოს ბათილად, თუ მათი შინაარსი ეწინააღმდეგება სამართლებრივ მართლწესრიგს; ბ) იმპერატიული ნორმები აწესებენ გარკვეულ შეზღუდვებს და უზრუნველყოფენ, რომ ხელშეკრულების დადება კანონის მოთხოვნათა დაცვით განხორციელდეს.

63. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ მართებულად იხელმძღვანელა „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილებით, რომელიც ფაქტობრივად ადგენს სადაზღვევო საზღაურის ოდენობის განსაზღვრის პირობებსა და წესს. აღნიშნული დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მზღვეველი ვალდებულია დამზღვევის იდენტიფიცირებიდან 21 კალენდარულ დღეში შეადგინოს დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის დათვალიერების აქტი.

64. აღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის „უ“ პუნქტის შესაბამისად, დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტი არის დოკუმენტი, რომელიც დგება მზღვეველის (ან მზღვეველის მიერ მოწვეული ექსპერტის) მიერ და ხელს აწერენ მზღვეველი და დამზღვევი მოსარგებლე. აღნიშნული აქტით დასტურდება დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) მზღვეველის მიერ დათვალიერებისა და კონკრეტული შემთხვევის ხდომილებით გამოწვეული ზიანის ოდენობა.

65. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის პოზიცია ეფუძნება იმას, რომ სადავო სადაზღვევო შემთხვევის შეფასებისას მზღვეველის მი-

ერ შედგენილი აქტი მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის რეალურ ოდენობას არ ასახავს.

66. საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას, რომ მზღვეველმა დათვალეიერების აქტი შეადგინა ზემოხსენებული ნორმატიული აქტის მოთხოვნების დარღვევით, კერძოდ, ვერ უზრუნველყო დამზღვევი მხარის მონაწილეობა შეფასების პროცესში. მართალია, მოპასუხემ მიუთითა, რომ სადავო დათვალეიერებას ესწრებოდა მოსარჩელის მხრიდან უფლებამოსილი პირი, თუმცა ვენახის დარაჯს, რომელიც, მოპასუხის მოსაზრებით, მოსარჩელის მხარეს წარმოადგენდა, არ გააჩნდა დამზღვევის მხრიდან გაცემული სათანადო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

67. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში მტკიცების პროცესი, როგორც გაშუალებული შემეცნება, საკმაო სისრულითაა მოწესრიგებული კანონით. მაგალითად, სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. კანონი განსაზღვრავს, თუ რომელმა მხარემ რომელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაამტკიცოს. კანონი განსაზღვრავს აგრეთვე, თუ რომელ მხარეს ეკისრება ფაქტების მითითებისა და ამ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელი ფაქტები არ საჭიროებენ დამტკიცებას, მტკიცების რა საშუალებები დაიშვება და რა არ დაიშვება, როგორ და რა წესით ხდება მტკიცებულებათა შეგროვება, შემოწმება და შეფასება და ა.შ.

68. სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანია მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება-გამართლების მიზნით. მნიშვნელოვანია, რა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ მტკიცების საგნის განსაზღვრისას. სარჩელის აღძვრით მოსარჩელეს სურს გარკვეული შედეგის დადგომა (ნივთის მიკუთვნება, ვალის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება, ხელშეკრულების მოშლა და ა.შ.), მისი ეს სურვილი აისახება სარჩელის იმ ელემენტში, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება. ამრიგად, სარჩელის საგანს ქმნის მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი, მაგრამ მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრემ, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის

თვითონ მხარეთა მოვალეობა.

69. მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად ასაბუთებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არაა, ესაა სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა.

70. „სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევია: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობის უარყოფა“ (იხ. თომას ჰერმანი, მტკიცებულებითი სამართალი, GIZ, თბილისი, 2016, გვ.3-4). „მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს“ (იხ.

ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილება-თა მიღების მეთოდთა, თბ., 200-, გვ.64). ამრიგად, ფაქტებზე თვითონ მხარეებმა უნდა მიუთითონ. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა გამოკითხვისა და შეკითხვების მიცემის გზით ხელი შეუწყოს გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების სრულად და ზუსტად განსაზღვრას.

71. საკაცაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა ნამდვილი შეჯიბრება რეალურად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ იყვნენ ამ შეჯიბრებაში მონაწილე მხარეები თანასწორნი. „მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს მოსარჩელისა და მოპასუხისათვის თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობების მინიჭებას. შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით...“ (მდრ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/8/594; 2017 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746).

72. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ სადავოდ გახადა რა სადაზღვევო შემთხვევის დათვალიერების აქტის შედგენისას მისი მხრიდან არაუფლებამოსილი პირის (ვენახის დარაჯის) დასწრების ფაქტი, სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად მიიჩნია, რომ მოპასუხეს/მზღვეველს წარმოეშვა იმ გარემოების მტკიცების ვალდებულება, რომ მოსარჩელემ დასახელებულ პირს შესაბამისი უფლებამოსილება კანონით დადგენილი წესით მიანიჭა. აღნიშნული გარემოება მოპასუხემ სარწმუნოდ ვერ დაასაბუთა, შესაბამისად, დათვალიერების აქტი, როგორც სადავო ზიანის ოდენობის დამდგენი მტკიცებულება სარწმუნო სამართლებრივი ძალის მქონე დოკუმენტად ველარ შეფასდება.

73. სააპელაციო პალატამ მართებულად იხელმძღვანელა „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილების მე-9 პუნქტით, როდესაც მიუთითა, რომ აღნიშნული ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ზიანის დაანგარიშების მეთოდის ამოქმედების/გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მისაღები მოსავლის ნაკლებობა ნორმატიულ მოსავლიანობაზე (თუ დაზღვეული ტერიტორიიდან მისაღები მოსავალი ნაკლებია ნორმატიულ მოსავლიანობაზე, მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანისათვის გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა გამოიანგარიშება მისაღები მოსავლის ნამრავლით ზიანის პროცენტზე და ნორმატიულ ფასსა და საბაზრო ფასს შორის უმცირესზე).

74. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს უნდა ემტკიცე-

ბინა, რომ მისაღები მოსავალი სადაზღვევო პოლისში მითითებულ ნორმატიულ მოსავლიანობაზე (10 000 კგ 1 ჰექტარზე) ნაკლები იყო, რაც მან ვერ განახორციელა.

75. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ამა თუ იმ გარემოების დადგენისას სასამართლო ხელმძღვანელობის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად აფასებს მათ და შემდეგ გამოაქვს მოტივირებული დასკვნა ამა თუ იმ ფაქტის არსებობის შესახებ.

76. განსახილველ დავაში სააპელაციო პალატამ კანონშესაბამისად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, გამოიყენა სსკ-ის 799-ე მუხლი, „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილების დანაწესები, მოსარჩელის მიერ სარჩელზე დართული სამეცნიერო კვლევა ვაზის აგროკულტურის შესახებ და ნაწილობრივ სწორად განსაზღვრა სადაზღვევო საზღაურის ოდენობა.

77. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს კასატორის პრეტენზიაზე, რომელიც შეეხება სადაზღვევო ანაზღაურებისათვის ფრანშიზის გამოკლების საკითხს. აღნიშნული არგუმენტი მოპასუხემ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს წინაშეც გახადა სადავოდ, თუმცა გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატას იგი არ შეუფასებია.

78. სადაზღვევო თანხისათვის ფრანშიზის სახით 10%-ის გამოქვითვის პირობაზე მხარეები შეთანხმდნენ ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის „ო“ პუნქტის ძალით, რომლის თანახმად მხარეთა შორის გაფორმებულ პოლისში ფრანშიზა გათვალისწინებული იყო, როგორც არაანაზღაურებადი მინიმუმი, რომლის გამოქვითვა ხორციელდება თითოეული სადაზღვევო შემთხვევისათვის.

79. დადგენილების ზემოთ მითითებული დანაწესის მიხედვით, ფრანშიზა გამოითვლება როგორც სადაზღვევო ლიმიტის 10% (დანართ №1-ით განსაზღვრული ციტრუსის შემთხვევაში, სადაზღვევო ლიმიტის 15%) ან მისაღები მოსავლის ოდენობის სადაზღვევო ანაზღაურების გაანგარიშებისას გამოყენებულ ფასზე გამრავლებით მიღებული ღირებულების 10% (დანართ №1-ით განსაზღვრული ციტრუსის შემთხვევაში 15%). მითითებული 2 სიდიდიდან გამოიქვითება ის ოდენობა, რომელიც უფრო მცირე იქნება. ამასთან, ერთისა და იმავე რისკის ხდომილებისას, იმ შემთხვევაში, თუ მეორე სადაზღვევო შემთხვევა მოხდება წინა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტის შედგენამდე, ფრანშიზა გამოიქვითება ერთჯერადად, მხოლოდ იმ პირობით, რომ მზღვეველს ორივე სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შეტყობინება მიღებუ-

ლი აქვს პროგრამით განსაზღვრული წესით.

80. ამავე ნორმატიული აქტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე, მზღვეველი ვალდებულია, სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში და ფრანშიზის გამოკლებით გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება, დაზღვევის მოქმედების პერიოდში სადაზღვევო რისკის დადგომის შედეგად დაზღვევის ობიექტის დაზიანების შემთხვევაში, პროგრამით დადგენილი წესებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით.

81. საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, განმარტოს, რომ ფრანშიზა (ფრანგული ტერმინი „franchise“) ნიშნავს შეღავათს. სადაზღვევო სამართალში ფრანშიზა გამოიყენება სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის ანაზღაურების ვალდებულებისაგან მზღვეველის ნაწილობრივ ან სრულად გათავისუფლების მიზნით. რაც შეეხება დამზღვევს, შეთანხმება ფრანშიზაზე უნდა ემსახურებოდეს ხელშეკრულების დადებისას დამზღვევისათვის სადაზღვევო ხარჯების შემცირებას.

82. ფრანშიზა წარმოადგენს სადაზღვევო თანხის გარკვეულ ნაწილს, რომელსაც მზღვეველი, ხელშეკრულების პირობის შესაბამისად, არ აანაზღაურებს. იგი შეიძლება დადგინდეს კონკრეტული ფიქსირებული თანხის ან დაზღვეული ქონების სრული ან მისი ნაწილის ღირებულების პროცენტის სახით. განასხვავებენ პირობადებულ და უპირობო ფრანშიზას. პირობადებული ფრანშიზის დროს მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო თანხის გადახდის ვალდებულებისაგან, თუ მისი ოდენობა ფრანშიზის მოცულობას არ აღემატება. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო თანხა ფრანშიზის ოდენობაზე მეტია, მზღვეველი მას სრულად დაფარავს. უპირობო ფრანშიზა გულისხმობს მზღვეველის ვალდებულების განსაზღვრას სადაზღვევო თანხის ოდენობით, რომელსაც გამოაკლდება ფრანშიზა. სადაზღვევო სამართალი იცნობს ფრანშიზის ისეთ სახეებსაც, როგორცაა დინამიური, მაღალი, დროის გარკვეულ პერიოდთან დაკავშირებული ფრანშიზა.

83. განსახილველ შემთხვევაში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მხარეებმა გაითვალისწინეს ფრანშიზა სადაზღვევო თანხის 10%-ის სახით, თუმცა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სადაზღვევო თანხის ოდენობის განსაზღვრისას მითითებული პირობა არასწორად არ გაითვალისწინეს.

84. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, სადაზღვევო თანხას 22500 და 12000 ლარს, სულ – 34500 ლარს უნდა გამოაკლდეს №236 დადგენილებით განსაზღვრული 10% ფრანშიზა (3450 ლარი) და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაე-

კისროს სულ 31 050 ლარის ანაზღაურება.

85. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

86. ამავე კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

87. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა 34500 ლარის დაკისების შესახებ დაკმაყოფილდა 31 050 ლარის ნაწილში. შესაბამისად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 931.5 ლარის გადახდა (31 050 ლარის 3%), სააპელაციო საჩივარზე მოპასუხემ სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 1297.20 ლარი, რადგან გადაწყვეტილება გაასაჩივრა 32430 ლარის ნაწილში, ხოლო საკასაციო საჩივარზე – 1625 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სასარჩელო მოთხოვნის დაუკმაყოფილებელ – 3450 ლარის ნაწილში სააპელაციო საჩივარზე გადახდილი 138 ლარი, საკასაციო საჩივარზე გადახდილი 172.5 ლარი, სულ 310.5 ლარი. მითითებული ოდენობა უნდა გამოაკლდეს 931.5 ლარს და საბოლოოდ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის ანგარიშში უნდა დაეკისროს 621 ლარის გადახდა.

88. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 408-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს.

89. მითითებული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის ფორმას და შესაძლებლობას აძლევს საკასაციო პალატას, დაეა განხილოს მხარეთა დასწრების გარეშე, რის თაობაზეც სასამართლომ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს.

90. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 17 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, 2024 წლის 27 დეკემბრის განჩინებით კი, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად. ამავე განჩინებით დადგინდა, რომ საკასაციო საჩივარი განხილულ უნდა იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის განსახილველად სასამართლო სხდომის ჩატარების აუცილებლობა არ არსებობდა.

91. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ უკვე იმსჯელა მოცემული დავის განხილვის ფორმის საკითხზე და ამის შესახებ მხარეებს ეცნობათ. ამასთან, მხარეს შუამდგომლობის დასასაბუთებლად რაიმე წონად არგუმენტზე არ მიუთითებია. საქმის წარმოების განმავლობაში მხარეებს საკმარისი დრო გააჩნდათ დასაბუთებული პოზიციების წარმოსადგენად, შესაბამისად, კასატორის შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ ვერ დაკმაყოფილდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 411-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მესამე ნაწილით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. სს „თ. დ-ვას“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 19 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „თ. დ-ვას“ მ. ს-ძის სასარგებლოდ დაეკისროს 31 050 ლარის ანაზღაურება;
4. სს „თ. დ-ვას“ მ. ს-ძის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით მოსარჩელის მიერ გადახდილი 621 ლარის ანაზღაურება;
5. მ. ს-ძის შუამდგომლობა მოცემული საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. თავდაბობა

თავდაბობის სოლიდარული პასუხისმგებლობა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1100-2024

20 თებერვალი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),
რ. ნადარაია (მომხსენებელი),
თ. ზამბახიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ბ. ს-მა“ (შემდეგში – მოსარჩელე, პირველი კასატორი) სარჩელის აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შპს „დ-ისა“ (შემდეგში – მოპასუხე, მეორე კასატორი) და შპს „ჯ-ის“ მიმართ (შემდეგში – მოპასუხე) შემდეგი სასარჩელო მოთხოვნებით:

1.1. მოპასუხეებს – შპს „ჯ-სა“ და შპს „დ-ს“ მოსარჩელე შპს „ბ. ს-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ ძირითადი თანხის 167075.85 ლარის, პირგასამტეხლოს (2019 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით) 344716.47 ლარისა და პირგასამტეხლოს (2020 წლის 31 იანვრიდან 2022 წლის 24 ნოემბრის მდგომარეობით) – 120107.65 ლარის გადახდა;

1.2. მოპასუხეებს – შპს „ჯ-სა“ და შპს „დ-ს“ მოსარჩელე შპს „ბ. ს-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ პირგასამტეხლოს – ყოველდღიურად 116.95 ლარის გადახდა 2022 წლის 24 ნოემბრიდან (სარჩელის აღძვრიდან) ვალდებულების შესრულებამდე ან სხვაგვარად შეწყვეტამდე.

2. მოპასუხე შპს „ჯ-მა“ წარმოდგენილი შესაგებლით სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ ცნო; კერძოდ, დაეთანხმა მოთხოვნას ძირითადი თანხის ნაწილში, ხოლო მოთხოვნილი პირგასამტეხლო მიიჩნია შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად და მოითხოვა მისი შემცირება გონივრულ ოდენობამდე. მოპასუხე შპს „დ-მა“ კი, წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით, მოსარჩელე შპს „ბ. ს-ის“ სარჩელი მოპასუხეების – შპს „ჯ-ისა“ და შპს „დ-ის“ მიმართ, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეებს – შპს „ჯ-სა“ და შპს „დ-ს“ მოსარჩელე შპს „ბ. ს-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ დავალიანების ძირითადი თანხის 167075.85 ლარის, პირგასამტეხლოს (2019 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით) – 34471.64 ლარისა და 2020 წლის 31 იანვრიდან 2022 წლის 24 ნოემბრის ჩათვლით დარიცხული პირგასამტეხლოს – 34 322.34 ლარის გადახდა; მოპასუხეებს – შპს „ჯ-სა“ და შპს „დ-ს“ მოსარჩელე შპს „ბ. ს-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ პირგასამტეხლო ძირითადი თანხის (167075.85 ლარის) 0.02%-ის (ყოველდღიურად 33.42 ლარის) ოდენობით, 2022 წლის 24 ნოემბრიდან (სარჩელის აღძვრიდან) ვალდებულების შესრულებამდე; მოპასუხეებს შპს „ჯ-სა“ და შპს „დ-ს“ მოსარჩელე შპს „ბ. ს-ის“ სასარგებლოდ დაეკისრათ მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 5000 ლარის ანაზღაურება; მოპასუხეებს – შპს „ჯ-სა“ და შპს „დ-ს“ მოსარჩელე შპს „ბ. ს-ის“ სასარგებლოდ დაეკისრათ იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 1000 ლარის ანაზღაურება.

4. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელე შპს „ბ. ს-მა“ და მოპასუხე შპს „დ-მა“. მოსარჩელე შპს „ბ. ს-მა“ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სარჩელზე უარის თქმის ნაწილში, ასევე, ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 1000 ლარის დაკისრების ნაწილში, ხოლო, შპს „დ-მა“ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა იმ ნაწილში, რომლითაც მას სოლიდარულად დაეკისრა თანხის გადახდა შპს „ბ. ს-ის“ სასარგებლოდ.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 18 ივნისის განჩინებით, შპს „ბ. ს-ისა“ და შპს „დ-ის“ სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 07 მარტის გადაწყვეტილება.

6. სააპელაციო სასამართლოს განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

6.1. სააპელაციო პალატის მითითებით, შპს „დ-ის“ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, პალატის შეფასების საგანს წარმოადგენდა 2019 წლის 13 ნოემბრის ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტში, შპს „დ-ი“ წარმოადგენდა თავდებს, თუ სოლიდარულ მოვალეს.

6.2. ამ მიმართებით, პალატამ პირველ რიგში ყურადღება გაამახვილა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს დადგენილ, შემდეგ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე:

6.2.1. 2016 წლის 10 თებერვალს, შპს „ბ.ს.სა“ და შპს „ჯ-ს“ შორის გაფორმდა №01-100216 მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა სამუშაოთა შესრულებას თბილისში, ... რეაბილიტაციის მიზნით. მომსახურების მიახლოებითი ღირებულება შეადგენდა 295589.89 ლარს, ხოლო დასრულების თარიღი იყო 2016 წლის 15 ივნისი. მხარეებმა – შპს „ბ. ს-მა“ და შპს „ჯ-მა“, 2016 წლის 25 ივლისს გააფორმეს დამატებითი შეთანხმება, რომლის მიხედვით, მომსახურების ღირებულებად განისაზღვრა 1700000 ლარი, ხოლო მომსახურების დასრულების ვადად – 2016 წლის 10 სექტემბერი.

6.2.2. 2016 წლის 02 აგვისტოს, სამმხრივი შეთანხმება გაფორმდა შპს „ბ. ს-ს“, შპს „ჯ-სა“ და შპს „დ-ს“ შორის. შეთანხმებაში აღნიშნულია შემდეგი: შპს „დ-ის“ და ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდს“ შორის, 2016 წლის 23 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება ... გამზირის კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულებაზე („ხელშეკრულება №1“). შპს „დ-მა“ „ხელშეკრულება 1“-ით გათვალისწინებული სამუშაოების ნაწილის შესრულება თავის მხრივ, დაუკვეთა შპს „ჯ-ს“ მხარეთა შორის გაფორმებული 2016 წლის 06 თებერვლის ხელშეკრულებით („ხელშეკრულება №2“). შპს „ჯ-მა“ კი, „ხელშეკრულება №2“-ით გათვალისწინებული სამუშაოების ნაწილის შესრულება თავის მხრივ, დაუკვეთა შპს „ბ.ს.ს“, რაზეც მხარეებს შორის 2016 წლის 2 თებერვალს გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება („ხელშეკრულება №3“); სამმხრივი შეთანხმებით, შპს „ბ. ს-მა“ იკისრა ვალდებულება შესრულებულ სამუშაოებზე როგორც შპს „ჯ-ის“, ისე შპს „დ-ის“ წინაშე, ასევე ორივე სუბიექტის წინაშე იკისრა საგარანტიო ვალდებულება შესრულებულ სამუშაოებზე, ხოლო, შპს „დ-მა“ როგორც სოლიდარულმა მოვალემ, შპს „ბ.ს.ს“ წინაშე იკისრა ვალდებულება ხელშეკრულებიდან გამომდინარე მომსახურების ღირებულების ანაზღაურებაზე, უფრო ზუსტად კი, იმ შემთხვევაში, თუ შპს „ჯ-ი“ ვერ უზრუნველყოფდა ანაზღაურების ვალდებულების შესრულებას შპს „ბ. ს-ის“ მიმართ, შპს „დ-ი“ თავის თავზე სოლიდარულად იღებდა ვალდებულებას შპს „ჯ-ის“ ნაცვლად ანაზღაურებინა შპს „ბ. ს-ისთვის“ „ხელშეკრულება №3“-ით გათვალისწინებული და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება, ასევე, ამ ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ნებისმიერი ზიანი (მათ შორის შეთანხმებული პირგასამტეხლო).

6.2.3. 2019 წლის 13 ნოემბერს, მხარეებს, შპს „ბ. ს-ს“ (შემსრულებელს), შპს „დ-ს“ (თავდებს) და შპს „ჯ-ს“ (დამკვეთს) შორის, გაფორ-

მდა ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტი. შეთანხმების პირველი პუნქტის მიხედვით, მხარეებმა დაადასტურეს, რომ შპს „ბ. ს-მა“ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულა 2016 წლის 10 თებერვლის ხელშეკრულებით, 2016 წლის 25 ივლისის დამატებითა და 2016 წლის 2 აგვისტოს შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები – შეთანხმებული ხარისხითა და შეთანხმებულ ვადებში. მე-4 პუნქტის მიხედვით, შემსრულებლის – შპს „ბ. ს-ის“ მიმართ ასანაზლაურებელი დარჩა 167075.85 ლარი. დამკვეთის მხრიდან ანაზლაურების გადახდის ვადების დარღვევის გამო, დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს პირგასამტეხლო, გადაუხდელი თანხის 0.07%-ის ოდენობით, ყოველი ვად-ადაცილებული დღისათვის, რაც 2019 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით შეადგენს 344716.47 ლარს; ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტის მე-7 და მე-8 პუნქტების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი ან თავდები (ერთობლივად ან ცალკე) 2020 წლის 31 იანვრამდე უზრუნველყოფენ შემსრულებლისათვის შესრულებული სამუშაოების დავალიანების (167 075.85 ლარი) სრულად ანაზლაურებას, შემსრულებელი ანაზლაურების გადახდის ვადების დარღვევისა და ამავე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, 2019 წლის 13 ნოემბრამდე დაკისრებულ პირგასამტეხლოს აპატიებს დამკვეთს. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი ან თავდები (ერთობლივად ან ცალკე) 2020 წლის 31 იანვრამდე ვერ უზრუნველყოფენ შემსრულებლისათვის შესრულებული სამუშაოების დავალიანების (167 075.85 ლარი) სრულად ანაზლაურებას, დამკვეთი და თავდები (ერთობლივად ან ცალკე) ვალდებულნი იქნებიან აუნაზლაურონ შემსრულებელს, როგორც შესრულებული სამუშაოების დავალიანება, ასევე გადახდის დღისათვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ანაზლაურების გადახდის ვადების დარღვევისა და ამავე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დარიცხული პირგასამტეხლო სრულად.

6.2.4. მოპასუხეებს – შპს „ჯ-სა“ და შპს „დ-ს“, 2019 წლის 13 ნოემბრის ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტით განსაზღვრული დავალიანება შემსრულებლისთვის ანაზლაურებული არ აქვთ.

6.3. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა.

6.4. რაც შეეხება მხარეთა შორის სადავო 2019 წლის 13 ნოემბრის ვალის აღიარების ხელშეკრულებასა და საკითხს მასზე, შპს „დ-ი“ წარმოადგენდა თავდებს თუ სოლიდარულ მოვალეს, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ განსახილველი დავა სოლიდარული თავდებობით გამოწვეული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს შეეხებოდა. პალატის განმარტებით, თავდებობის ინსტიტუტის მარეგულირებელი

ნორმები, თავდებისა და სოლიდარული თავდების ფუნქციურ დანიშნულებასა და მის კრედიტორსა და ძირითად მოვალესთან მიმართებას განმარტავს. შინაარსობრივი სხვაობის უკეთ დანახვის მიზნით, სასურველია თავდები სახელდებულ იქნეს „სუბსიდიურ თავდებად“, რათა იგი მკვეთრად გაიმიჯნოს სოლიდარული თავდებისაგან. თავდებობის სუბსიდიური ხასიათი ვლინდება იმაში, რომ თავდებს შეუძლია კრედიტორის დაკმაყოფილებაზე უარი თქვას, ვიდრე კრედიტორი ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას არ შეეცდება. კრედიტორი უფლებამოსილია, მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე მოთხოვნა მხოლოდ სოლიდარულ თავდებს წარუდგინოს. თუმცა, არც სოლიდარული თავდებობაა უპირობო. სოლიდარული თავდების მიმართ წარდგენილი მოთხოვნა საფუძვლიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება, რომ ძირითადმა მოვალემ ვალდებულება დაარღვია და იგი, ვალდებულების შესრულების თაობაზე უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა არ არსებობს გაფრთხილების ვალდებულება, თუ მისი გადახდის უუნარობა აშკარაა. თავდებობის სოლიდარული ხასიათი კრედიტორს მოთხოვნის უფლებას წარმოუშობს, როგორც სოლიდარული თავდების, ასევე ძირითადი მოვალის მიმართ, საკუთარი არჩევით, რომელიმე მათგანის მიმართ წინმსწრები იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე.

6.5. მოცემულ შემთხვევაში, იმისათვის, რათა სოლიდარული თავდებობის წარმოშობისა და მისი ნამდვილობის წინაპირობები დადგენილიყო, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მნიშვნელოვანი იყო, საქმის მასალებში, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ თავდების წერილობით განცხადებას სამართლებრივი შეფასება მისცემოდა. პალატის მითითებით, წარმოდგენილ დოკუმენტში სახეზე არ იყო შპს „დ-ის“ წერილობითი განცხადება (თანხმობა) თავდებობაზე და არც შეთანხმება არსებობდა თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრულ მაქსიმალურ (ზღვრულ) თანხაზე, შესაბამისად, უდავო იყო, რომ შპს „დ-ის“ როგორც თავდებს არ წარმოშობია პასუხისმგებლობა კრედიტორის – შპს „ბ. ს-ის“ წინაშე შპს „ჯ-ის“ (ძირითადი მოვალის) მიერ შესასრულებელ ვალდებულებაზე თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. მოცემულ სამართლებრივ ურთიერთობაში, შპს „დ-ი“ არ წარმოადგენდა თავდებს, თანახმად, სსკ-ის 891-ე და 892-ე მუხლებით დადგენილი დანაწესისა. მხარეთა შორის 2019 წლის 13 ნოემბრის ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტი არ ადგენდა უფლებებს და მოვალეობებს შპს „დ-ის“ მიმართ თავდებობის ხელშეკრულების საფუძველზე. ამ პირის პასუხისმგებლობა არ გამომდინარეობდა თავდებობის, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ვალდებულებით სამართლებრივი და პიროვნული საშუალებიდან.

6.6. სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლზე და განმარტა, რომ დასახელებული ნორმა თავდებობის სამართლებრივი ინსტიტუტის ნამდვილობისთვის საჭირო იმპერატიულ და ამომწურავ ჩამონათვალს აკეთებს, კერძოდ, თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება და თვით თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება. ვინაიდან ჩამონათვალი იმპერატიული, ამომწურავი და თანაც, კუმულატიურია, რომელიმე მათგანის დარღვევა თავდებობის შესახებ გამოთქმულ, თუნდაც ნამდვილ ნებას, იურიდიულ მნიშვნელობას უკარგავს. პალატის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლით განმტკიცებული თავდების ხელშეკრულების ფორმასავალდებულოობა არა მხოლოდ მისი წერილობითი ფორმით შედგენას, არამედ მის შინაარსს, ანუ მასში თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითებას მიემატება.

6.7. სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო პროცესში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილების პრინციპზე, მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტზე და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, აპელანტს თავდებობის ნამდვილობის ვალდებულება ეკისრებოდა, რაც მას არ განუხორციელებია. სამოქალაქო კანონმდებლობით თავდებობის ნამდვილობისთვის დადგენილი კუმულატიური პირობები სახეზე არ იყო, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობდა.

6.8. შესაბამისად, პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ 2019 წლის 13 ნოემბრის ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტიდან გამომდინარე, მოპასუხეებს, შპს „ჯ-სა“ და შპს „დ-ს“ მოსარჩელის წინაშე ნაკისრი ვალდებულება შესასრულებელი ჰქონდათ ხელშეკრულებით წარმოშობილი სოლიდარული ვალდებულების საფუძველზე; 2019 წლის 13 ნოემბრის ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტი გაფორმებული იყო შპს „ბ. ს-ს“ (შემსრულებელი), შპს „ჯ-ის“ (დამკვეთი) და შპს „დ-ის“ (თავდები) შორის. სამმხრივი აქტის მე-4 და მე-5 პუნქტების მიხედვით, ასანაზღაურებელი ძირითადი თანხის დავალიანებას წარმოადგენდა 167075.85 ლარი, ხოლო პირგასამტეხლოს 2019 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით – 344716.47 ლარი. პალატის შეფასებით, აღნიშნული სამმხრივი შეთანხმებით არ წარმოიშობოდა შპს „დ-ის“, როგორც თავდების პასუხისმგებლობა, ვინაიდან თავდებობის ხელშეკრულება, თავდების წერილობითი განცხადება და შეთანხმება თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრულ მაქსიმალურ (ზღვრულ)

თანხაზე, არ არსებობდა და თავდებობისათვის ამ სავალდებულო პირობებს არც სამმხრივი შედარების აქტი ითვალისწინებდა. საყურადღებო იყო 2019 წლის 13 ნოემბრის შედარების აქტის მე-7 და მე-8 პუნქტები, სადაც გათვალისწინებული იყო, შპს „ჯ-ის“, როგორც „დამკვეთის“ და ასევე, შპს „დ-ის“, როგორც „თავდების“ ვალდებულება შესრულებული სამუშაოების დავალიანების ერთობლივად ან ცალკე ანაზღაურების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ 2020 წლის 31 იანვრამდე შპს „ჯ-ი“ ან შპს „დ-ი“ გადაიხდიდა დავალიანების ძირითად ნაწილს, ამ შემთხვევაში მიიჩნეოდა, რომ დამკვეთის და თავდების მიერ ნაკისრი ვალდებულებები შესრულებული იქნებოდა. ხოლო დავალიანების აუნაზღაურებლობის შემთხვევაში, ორივე მათგანმა, როგორც შპს „ჯ-იმ“ ასევე, შპს „დ-იმ“ იკისრეს ვალდებულება აენაზღაურებინათ შესრულებული სამუშაოების დავალიანება და ასევე გადახდის დღისათვის დარიცხული პირგასამტეხლო.

6.9. სააპელაციო პალატამ მხარეთა შორის გაფორმებული ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტის შესწავლისა და კვლევის შედეგად, დაადგინა, რომ არსებული ძირითადი დავალიანების ან კონკრეტულ ვადამდე გადაუხდელობის შემთხვევაში დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდაზე პასუხისმგებლობა იკისრა როგორც შპს „ჯ-მა“, ისე შპს „დ-მა“, ვინაიდან მათი ვალდებულებები ანაზღაურების თაობაზე მოცემულ სამმხრივ ხელშეკრულებაში განსაზღვრული იყო ერთობლივად ან ცალკე. ანუ, მოვალეებმა იკისრეს კრედიტორის – შპს „ბ. ს-ის“ წინაშე პასუხისმგებლობა, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე აენაზღაურებინათ დავალიანება, ხოლო თუკი დაარღვევდნენ გადახდის ვადას, ასევე, ვალდებულნი იქნებოდნენ დარიცხული პირგასამტეხლოს ანაზღაურებაზე – ერთობლივად ან ცალკე.

6.10. პალატამ გაიზიარა სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხის (შპს „დ-ის“) პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მას ვინაიდან თავდებობის წერილობითი განცხადება და თავდების პასუხისმგებლობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა არ ჰქონდა განსაზღვრული, არ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა სამუშაოს შემსრულებლის მიმართ. როგორც უკვე აღინიშნა, წარმოდგენილი ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტით განსაზღვრული იყო ორივე მოპასუხის ვალდებულება, ერთობლივად ან ცალკე აენაზღაურებინათ შეთანხმებაში მითითებული თანხა. შესაბამისად, მოპასუხეები წარმოადგენდნენ სოლიდარულ მოვალეებს კრედიტორის – შპს „ბ. ს-ის“ მიმართ, ხოლო ამ უკანასკნელს შეეძლო მოთხოვნა წაეყენებინა როგორც ერთი, ისე ორივე სოლიდარული მოვალის მიმართ.

6.11. შპს „ბ. ს-ის“ სააპელაციო საჩივართან მიმართებით, პალატის შეფასების საგანს წარმოადგენდა შემცირებული პირგასამტეხლოს შე-

ფასება.

6.12. ამ მიმართებით, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ მოდავე მხარეთა შორის 2019 წლის 13 ნოემბრის ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტით შეთანხმებული პირგასამტეხლო მართებულად შემცირდა.

6.13. სააპელაციო პალატამ მიუთითა კერძო სამართალში მოქმედ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე და განმარტა, რომ ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტით მხარეები წერილობით შეთანხმდნენ პირგასამტეხლოს თაობაზე. შედარების აქტიდან გამომდინარე, დამკვეთის მხრიდან ანაზღაურების გადახდის ვადების დარღვევის გამო, დამკვეთი ვალდებული იყო გადაეხადა შემსრულებლისათვის პირგასამტეხლო, გადაუხდელი თანხის 0.07%-ის ოდენობით, ყოველი ვადადაცილებული დღისათვის, რაც 2019 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით შეადგენდა 344716.47 ლარს (მე-5 პუნქტი). გარდა ამისა, დამკვეთი და თავდები (ერთობლივად ან ცალკე) ვალდებულნი იყვნენ ანაზღაურებინათ შემსრულებლისათვის, როგორც შესრულებული სამუშაოების დავალიანება, ასევე გადახდის დღისათვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ანაზღაურების გადახდის ვადების დარღვევისა და ამავე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დარიცხული პირგასამტეხლო სრულად (მე-8 პუნქტი).

6.14. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლზე, ასევე, პირგასამტეხლოს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობებზე, პირგასამტეხლოს შემცირების კანონისმიერ შესაძლებლობასა და მის მიზანზე და მტკიცების ტვირთის ობიექტური განაწილების პრინციპზე მითითებით, განმარტა, რომ დაკისრებული პირგასამტეხლოს სასამართლოს მიერ არაგონივრულ ოდენობამდე შემცირების მტკიცების ტვირთი – აპელანტ მხარეს ეკისრებოდა, რომელმაც სასამართლოს წინაშე ვერ წარმოადგინა დასაბუთებული სააპელაციო საჩივარი, რომელიც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივ გაუმართაობას დაადასტურებდა.

6.15. სასამართლოს მითითებით, 2019 წლის 13 ნოემბრის შეთანხმებით განსაზღვრული პირგასამტეხლო 344716.47 ლარის ოდენობით (მიუხედავად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი პირგასამტეხლოს დაანგარიშების პრინციპისა), ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა და კეთილსინდისიერების მინიმალურ სტანდარტს და მოსარჩელის მიერ სხვადასხვა პერიოდზე მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა დავალიანების ძირითადი თანხის ოდენობას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად გაითვალისწინა ვალდე-

ბულების დარღვევის სიმძიმე, ხანგრძლივობა, შეუსრულებლობით გამოწვეულ ზიანი და მართებულად განმარტა, რომ მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრება გაუმართლებელი და არაგონივრული იყო.

6.16. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ 2019 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით დარიცხული პირგასამტეხლო მართებულად შემცირდა და მისი ოდენობა ნაცვლად 344 716.47 ლარისა მართებულად განისაზღვრა 34 471.67 ლარით, ხოლო ნაცვლად მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული 0.07%-ის ოდენობისა, 2020 წლის 31 იანვრიდან 2022 წლის 24 ნოემბრის პერიოდზე და ასევე, სარჩელის აღძვრიდან, 2022 წლის 24 ნოემბრიდან ვალდებულების შესრულებამდე პირგასამტეხლოს ოდენობა მართებულად განისაზღვრა შესასრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით, რაც ცულისხმობდა 2020 წლის 31 იანვრიდან 2022 წლის 24 ნოემბრის ჩათვლით დარიცხული პირგასამტეხლოს განსაზღვრას 34322.34 ლარის ოდენობით, ხოლო 2022 წლის 24 ნოემბრიდან (სარჩელის აღძვრიდან) ვალდებულების შესრულებამდე ყოველდღიური პირგასამტეხლო უნდა დაანგარიშდეს 33.42 ლარის (ძირითადი თანხის (167 075.85 ლარის) 0.02%-ის) ოდენობით.

6.17. რაც შეეხება აპელანტის პრეტენზიას იურიდიული მომსახურების სახით გაწეული ხარჯის დაკისრებასთან მიმართებით, პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილზე მითითებით მიიჩნია, რომ აღნიშნულ ნაწილში არ არსებობდა პრეტენზიის გაზიარების საფუძველი. რაც შეეხება ასანაზღაურებელი თანხის ოდენობას, სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპის გათვალისწინებითაც, დავის საგნისა და მისი სირთულის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მომსახურების ხარჯი გონივრულად განსაზღვრა სასამართლომ და არ არსებობდა მისი შეცვლის საფუძველები.

7. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელე შპს „ბ.ს.მა“ და მოპასუხე შპს „დ.მა“. მოსარჩელე შპს „ბ. ს-მა“ მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მოპასუხე შპს „დ-მა“ მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 24 ოქტომბრის განჩინებებით, წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ბ. ს-ისა“ და შპს „დ-ის“ საკასაციო საჩივრები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესაძლებლობად.

9. შპს „ბ. ს-ის“ საკასაციო მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

9.1. კასატორს მიაჩნია, რომ პირგასამტეხლოს შემცირების ნაწილში, სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელია, არ შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებს და არსებულ სასამართლოს პრაქტიკას, მიღებულია კანონის არასწორი განმარტების საფუძველზე, ასევე, შეჯიბრობითობის პრინციპისა და მტკიცების ტვირთის ობიექტური განაწილების სტანდარტის დარღვევით.

9.2. ამ მიმართებით, კასატორი სააპელაციო პალატის მითითებისაგან განსხვავებით, მიიჩნევს, რომ შპს „ბ. ს-ს“ კი არ ეკისრებოდა პირგასამტეხლოს არაგონივრულ ოდენობამდე შემცირების მტკიცების ტვირთი, არამედ მოპასუხეებს – შპს „ჯ-სა“ და შპს „დ-ს“ ეკისრებოდათ იმისი მტკიცების ტვირთი, რომ პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი იყო, თუმცა, მათ ამ გარემოების თაობაზე არც ერთი არგუმენტი ან მტკიცებულება დავის განხილვის არც ერთ ეტაპზე არ წარმოუდგენიათ. პირგასამტეხლოს არაგონივრულ ოდენობამდე შემცირებასთან მიმართებით კი, კასატორი აღნიშნავს, რომ შემცირებული პირგასამტეხლოს კვალობაზე, ამ უკანასკნელმა დაკარგა როგორც რეპრესიული, ისე განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურების ფუნქცია, რამეთუ ქვეყანაში სადაც სესხებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი მინიმუმ 12-14%-ია, ხოლო სადავო პერიოდში ინფლაცია იყო 5-13% იყო, წლიური პირგასამტეხლო 2.55% ვერ იქნება გონივრული და ვერ უზრუნველყოფს პირგასამტეხლოს ფუნქციის რეალიზაციას. პირიქით, მსგავს ოდენობამდე პირგასამტეხლოს შემცირება ხელს უწყობს მოპასუხეთა მხრიდან ვალდებულების ხანგრძლივად შეუსრულებლობას, რადგან მათთვის ვალდებულების შესრულება უფრო მძიმე ტვირთია, ვიდრე შეუსრულებლობა. კასატორი აქვე აღნიშნავს, რომ დავის საგანია ფულადი ვალდებულების შესრულება, რადროსაც გონივრულია პირგასამტეხლოს ის ოდენობა, რომელიც აღემატება წლიურ საბაზრო საბანკო საპროცენტო სარგებელს (რაც უზრუნველყოფს პირგასამტეხლოს პრევენციულ და რეპრესიულ ფუნქციას) და ასევე, აღემატება წლიურ ინფლაციას (რაც უზრუნველყოფს ინფლაციით განცდილი ზიანის, ასევე მიუღებელი შემოსავლის მარტივ ანაზღაურებას).

9.3. ამასთან, კასატორის მოსაზრებით, არალოგიკური და არაგონივრულია ერთი და იგივე სამართალურთიერთობაში, ერთი და იგივე მხარეებს შორის, ერთი და იგივე ვალდებულების დარღვევისათვის ერთ შემთხვევაში 0,07%-ის განსაზღვრა პირგასამტეხლოს სახით, ხოლო მეორე შემთხვევაში – 0.02%-ის განსაზღვრა. კასატორი მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება წინააღმდეგობაშია უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან პრაქტიკასთან.

9.4. გარდა ამისა, კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად გადაწყვიტა საკითხი პროცესუალური თვალსაზრისითაც და დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი, რამეთუ მოპასუხეებს საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე არ წარმოუდგენიათ ღირებული შედაგება პირგასამტეხლოს ნაწილში, რაც შეიძლება მისი შემცირების საფუძველი გამხდარიყო. შპს „ჯ-მა“ შესაგებელში ფორმალურად მიუთითა, რომ პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია და მოითხოვა მისი შემცირება, ხოლო შპს „დ-ი“ მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოიფარგლა, რომ პირგასამტეხლო მაღალია და მისი შემცირება არც კი მოუთხოვია. სხვა რაიმე დასაბუთება და არგუმენტები კი, მხარეებს არ წარმოუდგენიათ.

9.5. კასატორი დაუსაბუთებლად მიიჩნევს მოპასუხეთათვის ადვოკატის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის – 1000 ლარის დაკისრებასაც და მიაჩნია, რომ მითითებული თანხა, რაც დაკმაყოფილებული მოთხოვნის (239000 ლარი) 0,41%-ს შეადგენს, არ შეესაბამება არც დავის სირთულეს და არც განეულ სამუშაოს.

10. შპს „დ-ის“ საკასაციო მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

10.1. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ სწორად გამოიყენა, თუმცა არასწორად განმარტა თავდებობის სამართლებრივი ინსტიტუტის მარგულირებელი ნორმები (სსკ-ის 891-ე და 892-ე მუხლები); ამასთან, სასამართლომ გამოიყენა ნორმები (სსკ-ის 463-ე და 464-ე მუხლები), რომლებიც არ უნდა გამოიყენებინა. გარდა ამისა, სასამართლომ მხარეთა შორის არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი და შპს „დ-ს“ დააკისრა თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობის მტკიცების ტვირთი იმ პირობებში, რომ შპს „დ-ი“ შესაგებელში გარიგების ბათილობასა და იმ გარემოებაზე მიუთითებდა, რომ ბათილი გარიგება ვერ წარმოშობდა უფლებებსა და ვალდებულებებს მხარეთა მიმართ.

10.2. კასატორის მითითებით, განსახილველ დავაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა, თუმცა არ უმსჯელია თუ რა სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა ჰქონდათ მხარეებს განზრახული 2019 წლის 13 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით, ამასთან, რამდენად დასაშვებია გარიგების კონვენსია მაშინ, როდესაც არ არსებობს მხარეთა თანხმობა აღნიშნულზე. ამ მიმართებით, კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული ერთადერთი დოკუმენტი, რომელსაც თეორულად შეიძლება დაეფუძნოს შპს „ბ. ს-ის“ მოთხოვნა, არის 2019 წლის 13 ნოემბერს მხარეთა შორის გაფორმებული ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტი. აღნიშნული შეთანხმებით ცალსახად დგინდება, რომ მხარეთა ნება იყო შპს „დ-ის“ სოლიდარული თავდებობა შპს „ჯ-ის“ მიერ შპს „ბ. ს-ისთვის“ შესასრულებელი ვალდებულების ნაწილში. შპს „დ-ი“ შპს „ბ. ს-ისა“ და შპს „ჯ-ის“ სამართლებრივ

ურთიერთობაში წარმოადგენდა თავდებს, თუმცა, შეთანხმება არ შეიცავს მითითებას თავდების პასუხისმგებლობის მაქსიმალურ ზღვარსა და თავდების წერილობით განცხადებას, რაც თავდებობის ხელშეკრულებისთვის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული, სავალდებულოდ დასაცავი წინაპირობაა. აქედან გამომდინარე, სასამართლოს ფორმალური ცველობის გამო ბათილად უნდა მიეჩნია შპს „დ-ის“ თავდებობა, თუმცა, ნაცვლად ამისა, სასამართლომ ბათილი ხელშეკრულების კონვერსია მოახდინა ისე, რომ აღნიშნულზე არ ჰქონდა მხარეთა თანხმობა, რითაც გასცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებსა და მხარეთა ნებას.

10.3. გარდა ამისა, კასატორი მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 902-ე მუხლის 1-ლი ნაწილზე (თუ ძირითადად მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას, კრედიტორმა უნდა აცნობოს ამის შესახებ თავდებს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კრედიტორი არ შეასრულებს ერთ-ერთ ამ მოქმედებას, მაშინ იგი კარგავს თავის მოთხოვნებს თავდების წინააღმდეგ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გამოიწვევდა შეუსრულებლობა ზიანს) და აღნიშნავს, რომ მისთვის გაუგებარია, თუ რის საფუძველზე დააკისრა სასამართლომ თითქმის 3 წლის შემდეგ პირგასამტეხლო და ძირი თანხა თავდებს, როცა აღნიშნული ვადის გადაცილების შესახებ თავდები ინფორმირებული არ ყოფილა.

11. საქართველოს სამოქალაქო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 13 თებერვლის განჩინებით, შპს „ბ. ს-ისა“ და შპს „დ-ის“ საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

12. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ შპს „ბ. ს.ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ, ხოლო, შპს „დ-ის“ საკასაციო საჩივარი სრულად უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

13. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, საა-

პელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

14. საკასაციო პალატა პირველ რიგში აღნიშნავს, რომ განსახილველი დავა სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს შეეხება. სარჩელი მიმართული იყო ერთდროულად ორი მოპასუხის – შპს „ჯ-ისა“ და შპს „დ-ის“ მიმართ, თანხის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, შპს „ჯ-ის“ მიმართ თანხის დაკისრების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობების არსებობა დადგენილია და ამ ნაწილში, გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა, რაც სამართლებრივი შეფასების კუთხით იმაზე მეტყველებს, რომ შპს „ჯ-ი“ დაეთანხმა მის მიმართ სასამართლოს მიერ დაკისრებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობასა და მის მოცულობას. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა უფლებამოსილი არ არის შპს „ჯ-ის“ მიმართ თანხის დაკისრების მავალდებულებელი წინაპირობები გამოიკვლიოს და სხვაგვარი სამართლებრივი მსჯელობა განავითაროს. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების ფარგლებში, საკასაციო პალატის მსჯელობის საგანია შპს „დ-ის“ მიმართ დადგენილი, სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი პასუხისმგებლობის სტანდარტი – ამ უკანასკნელისათვის, შპს „ჯ-თან“ ერთად, შპს „ბ. ს-ის“ სასარგებლოდ თანხის სოლიდარულად დაკისრების საფუძვლიანობა (შპს „დ-ის“ საკასაციო საჩივრის ფარგლებში) და პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების მართლზომიერება (შპს „ბ. ს-ის“ საკასაციო საჩივრის ფარგლებში).

15. შპს „დ-ის“ იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძვლიანობის ნაწილში, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეთათვის თანხის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე იმ ფაქტობრივ გარემოებებს ეფუძნებოდა, რომ 2019 წლის 13 ნოემბერს, შპს „ბ. ს-ს“ (შემსრულებელს), შპს „დ-სა“ (თავდებს) და შპს „ჯ-ს“ (დამკვეთს) შორის გაფორმდა ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტი, რომლის მიხედვითაც, მოპასუხეებმა ერთობლივად იკისრეს კონკრეტულ ვადამდე დავალიანების ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულება, ხოლო, გადაუხდელობის შემთხვევაში – დარიცხული პირგასამტეხლოს ანაზღაურების ვალდებულება. მოსარჩელის განმარტებით, დავალიანება გადახდილი დღემდე

არ არის.

16. მოპასუხეთათვის თანხის სოლიდარულად დაკისრების ნაწილში წარმოდგენილ სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, ხოლო სააპელაციო პალატამ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მასზე, რომ შპს „ბ. ს-ს“ (შემსრულებელს), შპს „დ-სა“ (თავდებს) და შპს „ჯ-ს“ (დამკვეთს) შორის გაფორმებული 2019 წლის 13 ნოემბრის ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტი არ ითვალისწინებდა შპს „დ-ის“, როგორც თავდების უფლება-მოვალეობებს და ეს უკანასკნელი, მოცემულ სამართალური თიერთობაში არ წარმოადგენდა თავდებს, თუმცა მოპასუხეებს – შპს „ჯ-სა“ და შპს „დ-ს“, მოსარჩელის წინაშე ნაკისრი ვალდებულება შესასრულებელი ჰქონდათ ხელშეკრულებით წარმოშობილი სოლიდარული ვალდებულების საფუძველზე. კერძოდ, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებით, რამდენადაც მხარეთა შორის, 2019 წლის 13 ნოემბერს გაფორმებული ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტით განსაზღვრული იყო ორივე მოპასუხის, როგორც შპს „ჯ-ის“, ისე შპს „დ-ის“ ვალდებულება, ერთობლივად ან ცალკე-ცალკე აენაზღაურებინათ შეთანხმებაში მითითებული თანხა, ისინი წარმოადგენდნენ სოლიდარულ მოვალეებს კრედიტორის (შპს „ბ. ს-ის“) მიმართ, რომელსაც შეეძლო მოთხოვნა წაეყენებინა როგორც ერთი, ისე ორივე სოლიდარული მოვალის მიმართ.

17. მეორე კასატორის (შპს „დ-ის“) ძირითადი პრეტენზია წარმოდგენილია 2019 წლის 13 ნოემბრის ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტის სამართლებრივი შეფასების საწინააღმდეგოდ. კერძოდ, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მოსაზრების საპირისპიროდ, მეორე კასატორი მიიჩნევს, რომ შპს „ბ. ს-ს“ (შემსრულებელს), შპს „დ-სა“ (თავდებს) და შპს „ჯ-ს“ (დამკვეთს) შორის გაფორმებულ სამმხრივ შეთანხმებაში, მხარეთა ნება მიმართული იყო არა ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარული ვალდებულების წარმოშობისაკენ, არამედ შპს „ჯ-ის“ მიერ, შპს „ბ. ს-ის“ წინაშე შესასრულებელი ვალდებულების ნაწილში, შპს „დ-ის“ სოლიდარული თავდებობისაკენ, თუმცა, რამდენადაც არ დასტურდება თავდებობის სამართლებრივი ინსტიტუტის ნამდვილობისთვის დადგენილი კუმულატიური პირობების (თავდების წერილობითი გაცხადება (თანხმობა) თავდებობაზე და შეთანხმება თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრულ მაქსიმალური (ზღვრულ) თანხაზე) არსებობა, კასატორი მიიჩნევს, რომ შპს „დ-ს“, შპს „ბ. ს-ის“ წინაშე, სოლიდარული თავდებობით ნაკისრი მოვალეობის შესრულების ვალდებულება, არ წარმოშობია.

18. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა საქმეზე დად-

გენილი ფაქტობრივი გარემოებების, საქმეში არსებული მტკიცებულებების, მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, იზიარებს მეორე კასატორის – შპს „დ-ის“ საკასაციო პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ 2019 წლის 13 ნოემბრის ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტიდან გამომდინარე, ადგილი არ ჰქონია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლით გათვალისწინებულ, ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარული ვალდებულების წარმოშობას და სადავო სამმხრივი შეთანხმება, შესრულების არსიდან გამომდინარე, წარმოადგენს სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებას.

19. ამ მიმართებით, საკასაციო პალატა პირველ რიგში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მოტივაციის საპირისპიროდ განმარტავს, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ რამდენიმე პირის მიერ ვალდებულების შესრულება იქნა შეთანხმებული, მოვალეთა სოლიდარულ მოვალეობად მიჩნევისათვის არაა საკმარისი და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვადასხვა გარემოებები.

20. სოლიდარული ვალდებულების არსებობის განმარტების მნიშვნელოვანი წინაპირობაა მოვალეთა ნება, ვალდებულების შესრულებით სხვა მოვალეებიც გაათავისუფლოს ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან (მდრ. Böttcher L, in Ermann BGB Komm., 15-ე Aufl., 2017, §421, Rn.20). საეჭვოობისას ხელშეკრულებისა და ნების განმარტების შედეგად უნდა დადგინდეს, თუ რისი შეთანხმება სურდათ მხარეებს. ამ შემთხვევაში ხელშეკრულებისა (სსკ-ის 337-340-ე მუხლები) და ნების გამოვლენის განმარტების (სსკ-ის 52-ე მუხლი) წესების გამოყენებით, აგრეთვე სოლიდარული ვალდებულების მომწესრიგებელ ნორმათა მოხმობით უნდა დადგინდეს, თუ რისი შეთანხმება სურდათ მხარეებს.

21. სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მართლოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს.

22. ხელშეკრულების განმარტების საჭიროებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ხელშეკრულება, რომლის გამონათქვამებიც ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ურთიერთგამომრიცხავია, აგრეთვე როცა მისი გამონათქვამები შესწორებასა და შევსებას მოითხოვენ. ხელშეკრულების განმარტების დროს სასამართლო ორ მნიშვნელოვან საკითხს

წყვეტს: სასამართლოს ევალეზა მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებული გამონათქვამების დაზუსტება, ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლო თავისი გადანყვეტილებით ხელშეკრულებაში ლიად დარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს (ხელშეკრულების განმარტების საკითხებზე იხ., სუსგ №ას-1144-1090-2014, 23 თებერვალი, 2015 წელი).

23. დავის სამართლებრივი მოწესრიგების თვალსაზრისით, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს სოლიდარული ვალდებულების წარმოშობისა და თავდებობის სამართალური თეორიების თავისებურებებზე.

23.1. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სოლიდარული ვალდებულება პრაქტიკაში პირთა სიმრავლის ყველაზე გავრცელებული სახეა. სოლიდარულ მოვალეთა ცნებას კანონმდებელი სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლში აყალიბებს. ნორმის დანაწესით, თუკი რამდენიმე მოვალემ ვალდებულება უნდა შეასრულოს ისე, რომ თითოეულმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს ვალდებულების მხოლოდ ერთჯერადი შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს, მათ სოლიდარული მოვალეები ეწოდებათ.

23.2. სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლი რამდენიმე წინაპირობას შეიცავს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა არსებობდეს რამდენიმე მოვალე, რომლებიც კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე არიან პასუხისმგებელი (შდრ. სუსგ №ას-164-158-2011, 01 აგვისტო, 2011). გარდა ამისა, აუცილებელია, ისინი ერთი და იმავე კრედიტორის წინაშე იყვნენ ვალდებულნი. კრედიტორს შეუძლია მოთხოვნა წაუყენოს ნებისმიერ სოლიდარულ მოვალეს. მოვალეთა ეს ცალკეული ვალდებულებები, სწორედ ერთი საერთო მიზნით (კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის დაკმაყოფილებით) არიან დაკავშირებულნი და ერთ მთლიანობას ქმნიან. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება, ნიშნავს მთლიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დასასრულსა და კრედიტორის ერთიანი ინტერესის დაკმაყოფილებას, რომელიც მას ვალდებულების შესრულების მიმართ გააჩნდა. სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში, თითოეულ სოლიდარულ მოვალეს ვალდებულების მთლიანი შესრულების ვალდებულება ეკისრება. მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ მთლიანი ვალდებულების შესრულება, პრაქტიკულად, მხოლოდ ერთერთ მათგანს შეუძლია. სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ბოლო კრიტერიუმი იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორს ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მხოლოდ ერთხელ შეუძლია.

23.3. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 464-ე მუხლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება შესაძლებელია სამი საფუძვლით წარმოიშვას: ხელშეკრულება, კანონი და ვალდებულების საგნის განუყოფლობა (Numerus Clausus).

23.4. სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის ყველაზე გავრცელებული საფუძველია ხელშეკრულება. იმისათვის, რომ ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარული ვალდებულება წარმოიშვას, აუცილებელია, რომ რამდენიმე პირმა სოლიდარულად იკისროს პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე. სოლიდარულმა მოვალეებმა კრედიტორთან ხელშეკრულება შესაძლოა ერთდროულად ან ცალ-ცალკე გააფორმონ. შესაძლებელია სოლიდარული ვალდებულების შეთანხმების შემდეგ, კრედიტორთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ერთ-ერთი მოვალე შემდეგ შევიდეს ვალდებულებაში სოლიდარულ მოვალედ (შდრ. Gebauer, in Sorgel, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., 2010, §421, Rn.6). მთავარია კრედიტორთან გაფორმებული შეთანხმება ნათლად ადასტურებდეს თითოეული მოვალის სურვილს – სხვა მოვალეებთან ერთად სოლიდარულად აგონ კრედიტორის წინაშე პასუხი (შდრ. Looschelders, in Staundinger, BGB Komm 2012, Buch II, §421, Rn.53). სოლიდარული ვალდებულების შესახებ შეთანხმებას იმ შემთხვევაშიც ექნება ადგილი, როდესაც ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ კრედიტორს საკუთარი სურვილისამებრ მთლიანად ანდა ნაწილობრივ შეუძლია ნებისმიერი მოვალისაგან მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ხოლო ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება, დანარჩენებსაც ათავისუფლებს შესრულების ტვირთისაგან (შდრ. K.Schreiber, Die Gesamtschul, Jura 1989, s.354.).

23.5. რაც შეეხება თავდებობის სამართალურთიერთობასა და მის თავისებურებებს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თავდებობა ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა სამოქალაქო ბრუნვაში. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თავდები კისრულობს ვალდებულებას, პასუხის აგოს კრედიტორის წინაშე, მოვალის მიერ ნაკისრი მოვალეობის შეუსრულებლობის გამო. სანივთო უზრუნველყოფისაგან განსხვავებით, თავდებობა პიროვნული უზრუნველყოფის საშუალებად გვევლინება (იხილეთ: ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012 წ., გვ. 182; ირ. რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი (თანაავტორობით), თბილისი, 2014 წ., გვ. 546.), რომლის დროსაც კრედიტორის შესრულების ინტერესის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა თავდების გადახდისუნარიანობას ენიჭება (იხ. სუსგ №ას-726-2019, 05 ივლისი, 2019წ.).

23.6. თავდებობა, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის პიროვნუ-

ლი (პირადი) საშუალება, რომლის სუბიექტები (კონტრაქტები) თავ-
დები პირი და კრედიტორი არიან, დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა.
თავდებობის ხელშეკრულება, შესაძლოა, ვალდებულების წარმოშობამ-
დეც გაფორმდეს და, როგორც დამოუკიდებელი ხელშეკრულება, სა-
მართლებრივ საფუძველს (კაუზას) თავის თავშივე ატარებს, ამასთან,
ცალმხრივად მავალდებულებელია (იხ. სუსგ №ას-1172-2018, 08 თებერ-
ვალი, 2019წ.). მოვალის მონაწილეობა თავდებობის ხელშეკრულების
გაფორმებაში არ არის აუცილებელი, თუმცა შესაძლებელია, სამმხრივი
ხელშეკრულება დაიდოს ერთდროულად მოვალის, კრედიტორისა და
თავდების მონაწილეობით. თავდების როლში, შესაძლოა, როგორც ფი-
ზიკური, ასევე იურიდიული პირები გამოვიდნენ. კანონი ამ კუთხით რა-
იმე შეზღუდვას არ ითვალისწინებს (იხ. სუსგ-ები: №ას-132-2019, 30
ივნისი, 2021 წ.; №ას-1114-2020, 24 დეკემბერი, 2020 წ.).

23.7. სსკ-ის 891-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 893-ე მუხლის შე-
საბამისად, თავდებობის ხელშეკრულება უზრუნველყოფს კრედიტო-
რის წინაშე მოვალის ვალდებულების შესრულებას. ამასთან, თავდე-
ბობის ხელშეკრულება იდება კრედიტორსა და მოვალეს შორის არსე-
ბული ვალდებულების საფუძველზე და დამოკიდებულია ძირითად ხელ-
შეკრულებაზე, ანუ თავდებობა აქცესორული ხასიათისაა. შესაბამისად,
როდესაც წყდება ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდე-
ბულება, წყდება ასევე თავდების ვალდებულებაც. თავდებობის აქცე-
სორული ბუნება იმპერატიული ხასიათისაა და მხარეთა შეთანხმებით
მისი შეზღუდვა, ანდა გამორიცხვა უზრუნველყოფის სახის ცვლილე-
ბას განაპირობებს (შდრ. სუსგ-ები: №ას-836-802-2016, 20 იანვარი,
2016წ; №ას-97-2019, 05 ივლისი, 2019 წ; №ას-726-2019, 05 ივლისი,
2019წ). თავდებობის მთავარი ელემენტი არის მისი აქცესორული/დამ-
ხმარე ხასიათი (იხ. The Suretyship in the Law of the Member States of the
European Communities – Commission of the European Communities, 1971, Study
prepared by the „Max-Planck-Institut für ausländisches und internationales
Privatrecht“, Hamburg – par.20, 43, 53, 58; იხ. სუსგ №ას-1172-2018, 08
თებერვალი, 2019 წ.)

23.8. თავდებობა შეიძლება იყოს: სუბსიდიური და სოლიდარული. სუბ-
სიდიური თავდებობის შემთხვევაში, კრედიტორი არ არის უფლებამო-
სილი, ძირითადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით მიმართოს
თავდებს, თუ მან ძირითადი მოვალის მიმართ არ სცადა იძულებითი
აღსრულება. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი ძირითადი მოვალის მი-
მართ სასამართლოსადმი მიმართვის გზით შეეცდება დაიკმაყოფილოს
მოთხოვნა, მაგრამ აღნიშნული ღონისძიებები უშედეგო აღმოჩნდება,
მას უფლება აქვს მიმართოს თავდებს ძირითადი მოთხოვნის დასაკმა-
ყოფილებლად. სუბსიდიური თავდებობა, თანამედროვე საქმიან ურთი-

ერთობებში არაპრაქტიკულად მიიჩნევა და შესაბამისად ნაკლები დაინტერესებით გამოირჩევა.

23.9. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები, ყოველთვის ცდილობენ გამოიყენონ თავდებობის ისეთი ფორმა, რომელიც სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად იქცევა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის თანახმად, თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ ძირითადად მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა). აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის შემთხვევაში, კრედიტორის მოთხოვნა უზრუნველყოფის მაღალი ხარისხით გამოირჩევა და მისთვის ყველაზე ხელსაყრელ ფორმას წარმოადგენს. ამ დროს კრედიტორს შეუძლია შესრულების მოთხოვნით მიმართოს როგორც ძირითად მოვალეს, ასევე თავდებსაც ან/და რამდენიმე თავდებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თავდებობის სოლიდარული ხასიათი კრედიტორს მოთხოვნის უფლებას წარმოუშობს, როგორც სოლიდარული თავდების, ასევე ძირითადი მოვალის მიმართ, საკუთარი არჩევით, რომელიმე მათგანის მიმართ წინმსწრები იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე.

24. იმ გარემოების გამორკვევის მიზნით, 2019 წლის 13 ნოემბრის ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტიდან გამომდინარე, შპს „დ-ი“ წარმოადგენდა თავდებს თუ სოლიდარულ მოვალეს, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმეში განთავსებული სადავო სამმხრივი შეთანხმების როგორც ცალკეულ დებულებებზე, ისე მთლიან შინაარსზე, რომლის მიხედვით, ერთი მხრივ, შპს „ბ. ს-ი“ (შემსრულებელი), მეორე მხრივ, შპს „დ-ი“ (თავდები) და მესამე მხრივ, შპს „ჯ-ი“ (დამკვეთი), იმდენად, რამდენადაც:

ა) 2016 წლის 10 თებერვალს „დამკვეთსა“ და „შემსრულებელს“ შორის გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება №01-100216, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს ამავე ხელშეკრულების ყველა დანართს;

ბ) 2016 წლის 25 ივლისს „დამკვეთსა“ და „შემსრულებელს“ შორის გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულების №01-100216 დამატება;

გ) 2016 წლის 02 აგვისტოს „დამკვეთს“, „შემსრულებელსა“ და „თავდებს“ შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, „თავდებმა“ იკისრა ვალდებულება აუნაზღაუროს „შემსრულებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი გადასახდელი თანხის ანაზღაურების ვალდებულების შესრულებას „შემსრულებლის“ მიმართ, ასევე, ამავე ვალ-

დებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული ნებისმიერი ზიანი, მათ შორის, ხელშეკრულებით შეთანხმებული პირგასამტეხლო

შეთანხმდნენ შემდეგზე;

– შემსრულებელმა – შპს „ბ. ს-მა“ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულა 2016 წლის 10 თებერვლის ხელშეკრულებით, 2016 წლის 25 ივლისის დამატებითა და 2016 წლის 2 აგვისტოს შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, შეთანხმებული ხარისხითა და შეთანხმებულ ვადებში (შეთანხმების 1-ელი პუნქტი);

– მხარეები ადასტურებენ, რომ 2019 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით, დამკვეთს შპს „ჯ-ს“, შემსრულებლის – შპს „ბ. ს-ის“ მიმართ, ჯამში გააჩნია დავალიანება 5 11792,32 ლარის ოდენობით, მათ შორის, ძირი – 167075.85 ლარი, ხოლო, პირგასამტეხლო 344 716.47 ლარი (შეთანხმების მე-6 პუნქტი);

– იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი ან თავდები (ერთობლივად ან ცალკე) 2020 წლის 31 იანვრამდე უზრუნველყოფენ შემსრულებლისათვის შესრულებული სამუშაოების დავალიანების (167075.85 ლარი) სრულად ანაზღაურებას, შემსრულებელი ანაზღაურების გადახდის ვადების დარღვევისა და ამავე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, 2019 წლის 13 ნოემბრამდე დაკისრებულ პირგასამტეხლოს აპატიებს დამკვეთს – შპს „ჯ-ს“ (შეთანხმების მე-7 პუნქტი);

– იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი ან თავდები (ერთობლივად ან ცალკე) 2020 წლის 31 იანვრამდე ვერ უზრუნველყოფენ შემსრულებლისათვის შესრულებული სამუშაოების დავალიანების (167075.85 ლარი) სრულად ანაზღაურებას, დამკვეთი და თავდები (ერთობლივად ან ცალკე) ვალდებული იქნებიან აუნაზღაურონ შემსრულებელს, როგორც შესრულებული სამუშაოების დავალიანება, ასევე გადახდის დღისათვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ანაზღაურების გადახდის ვადების დარღვევისა და ამავე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დარიცხული პირგასამტეხლო სრულად (შეთანხმების მე-8 პუნქტი).

25. ზემოაღნიშნული სამმხრივი შეთანხმების მთლიანი შინაარსის მიხედვით, დგინდება, რომ მოვალეს (შპს „ჯ-ს“) კრედიტორის (შპს „ბ.ს.ის“) მიმართ მართებს დავალიანება, რაც 2019 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით, ჯამში შეადგენს 5 11792,32 ლარს. შეთანხმების შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ მოვალე არის შპს „ჯ-ი“, რომელსაც შპს „დ-ი“ უდგება თავდებად და ეს უკანასკნელი გამოხატავს კრედიტორსა (შპს „ბ. ს-ს“) და მოვალეს (შპს „ჯ-ს“) შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილი, მოვალის ვალდებულების შესრულების მზაობას. შეთანხმებიდან ცალსახად დგინდება ისიც, რომ თავდაპირველად (2016 წლის 02 აგვისტოს შეთანხმებით, რო-

მელიც წარმოადგენს 2019 წლის 13 ნოემბრის შეთანხმების საფუძველს), შპს „დ-მა“, როგორც თავდებმა, იკისრა ვალდებულება გაეზიარებინა მოვალის – შპს „ჯ-ის“ ფინანსური პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვალე თავად ვერ უზრუნველყოფდა ხელშეკრულებით ნაკისრი, გადასახდელი თანხის ანაზღაურების ვალდებულების შესრულებას, რაც მოიაზრებს თავდების შესაძლებლობას, კრედიტორის დაკმაყოფილებაზე უარი თქვას მანამ, სანამ კრედიტორი ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას არ შეეცდება. მაშასადამე, თავდაპირველ შეთანხმებაში (02.08.2016 წ.), თავდებობის სუბსიდიური ხასიათი ვლინდება. რაც შეეხება მოცემულ სამმხრივ შეთანხმებას (13.11.2019 წ.), ამუკანასკნელით, შპს „დ-ი“, როგორც „თავდები“, იღებს კრედიტორის წინაშე არსებული დავალიანების გადახდის ვალდებულებას სოლიდარულად (ერთობლივად) ან/და ერთპიროვნულად (ცალ-ცალკე), რითაც, თავდებმა ფაქტობრივად, კრედიტორი აღჭურვა შესაძლებლობით, მოთხოვნა საკუთარი არჩევით წაუყენოს როგორც თავდებს, ასევე ძირითად მოვალეს, რომელიმე მათგანის მიმართ, წინმსწრები იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, რაც სოლიდარული თავდებობის შემადგენლობას იძლევა, რამეთუ მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე მოთხოვნის წარდგენის უფლება კრედიტორს, მხოლოდ სოლიდარული თავდების მიმართ გააჩნია. ასეთ პირობებში, მტკიცების ტვირთის ობიექტური გადანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, სწორედ კრედიტორს უნდა ემტკიცებინა, თუ რა საფუძველი არსებობდა მხარეთა შორის შეთანხმებული პირობების სხვაგვარად განმარტებისთვის, თუმცა, კრედიტორმა ვერ მიუთითა ისეთ გარემოებებზე, რაც საკასაციო პალატას აფიქრებინებდა, რომ სადავო სამმხრივ შეთანხმებაში ნება მიმართული იყო არა შპს „დ-ის“ სოლიდარული თავდებობის წარმოშობისაკენ, არამედ სსკ-ის 464-ე მუხლით გათვალისწინებული, ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარული ვალდებულების წარმოშობისაკენ. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს შპს „დ-ის“ მოსაზრებას მასზედ, რომ 2019 წლის 13 ნოემბრის ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტის გაფორმებისას, მხარეთა ნება მიმართული იყო კრედიტორის წინაშე შპს „დ-ის“, როგორც სოლიდარული თავდების პასუხისმგებლობის წარმოშობისაკენ. აქედან გამომდინარე, შპს „დ-ის“ მიმართ წარდგენილი მოთხოვნის იურიდიული მართებულობის შეფასების მიზნებისათვის, მოსარჩელეს სოლიდარული თავდებობის ნამდვილობის მტკიცების ვალდებულება ეკისრებოდა.

26. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია, რომ იგი სსკ-ის 891-ე და 892-ე მუხლით დადგენილ წინაპირობებს აკმაყოფილებდეს. თავდებობის

ხელშეკრულების ნამდვილობისათვის კანონმდებელი მის წერილობით ფორმას განსაზღვრავს, ასევე, მოითხოვს თავდების განცხადებას და თვით თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითებას (სსკ-ის 892-ე მუხლი) (იხ. სუსგ-ები: №ას-1338-2021, 18 ივლისი, 2022 წ.; №ას-4-2022, 13 ოქტომბერი, 2022 წ.; №ას-1801-2019, 28 მაისი, 2020 წ.).

27. თავდებობა, აღიარებული შეხედულების მიხედვით, არის ცალმხრივი მავალდებულებელი ხელშეკრულება თავდებსა და ძირითადი ვალდებულების კრედიტორს შორის. ეს ხელშეკრულება შედგება თავდების ვალდებულებისაგან, ხოლო კრედიტორი იღებს მხოლოდ ამ ვალდებულებას საპასუხო შესრულების დაპირების გარეშე. თავდების მიერ ნაკისრი ვალდებულების მიღება კრედიტორის მიერ დასტურდება თავდების წერილობითი განცხადების მიღებით, რაც კრედიტორმა შეიძლება ხელმოწერით დაადასტუროს ან უბრალოდ ჩაიბაროს. მთავარია, რომ ამ დოკუმენტზე იყოს თავდების ხელმოწერა, რაც მისგან ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის წინაპირობაა. კანონი არ ითვალისწინებს, რომ კრედიტორმა წერილობით უნდა მიიღოს თავდების განცხადება. წერილობითი ფორმის ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ თავდების განცხადებაზე. აქედან გამომდინარე, სრულიად ზედმეტია ორი დოკუმენტის შედგენა. რაც მთავარია, კანონი ამას არ მოითხოვს (იხ. „კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი“, ჟანტურია ლადო, გამომცემლობა „სამართალი“, თბ. 2012წ., გვ. 187-188).

28. გარდა ამისა, კანონმდებელი არ აკეთებს დათქმას იმის შესახებ, თუ როგორ და რა ფორმით უნდა მოხდეს თავდებობის ხელშეკრულებაში თავდების პასუხისმგებლობის ზღვრული მოცულობის განსაზღვრა. ამასთან, თავდებობის ხელშეკრულებაში პასუხისმგებლობის ზღვრული ოდენობის მითითების ვალდებულება თავდების უფლებების მაქსიმალურად დაცვის მიზანს ემსახურება და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ძირითადი ვალდებულება არაფულადია, ან ფულადია, მაგრამ მზარდია, ასეთ დროს კანონმდებლის მიზანია თავდებს ვალდებულების აღების დროს ზუსტად გააცნოს ვალდებულების ის მოცულობა, რომლის თავის თავზე კისრებასაც იგი აპირებს (იხ. სუსგ. საქმეზე №ას-1338-2021, 18.07.2022 წ.).

29. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თავდებობის დოკუმენტში (სადავო შეთანხმებაში) არ არის შეთანხმება თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის ოდენობაზე. ნიშანდობლივია ისიც, რომ სადავო შეთანხმებაში ფიქსირებული ვალი, დროთა განმავლობაში ზრდას და ცვლილებას განიცდის (პირგასამტეხ-

ლოს მხედველობაში მიღებით), რის გამოც იგი ვერ განიხილება იმ ვალდებულების ზღვრულ, მაქსიმალურ ოდენობად, რომლის თავდებობის ვალდებულებაც შპს „დ-მა“ იკისრა. აღნიშნულის საწინააღმდეგო სამართლებრივი შეფასების გაკეთების შესაძლებლობას, წარმოდგენილი შეთანხმება არ იძლევა. შესაბამისად, სახეზე არ არის თავდებობის ნამდვილობისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი კუმულატიური პირობა. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ სადავო შეთანხმება თავდების განცხადების ნაწილში, სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილის (ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა) საფუძველზე, ბათილია, რაც შპს „დ-ს“, სოლიდარული თავდებობით ნაკისრი მოვალეობის შესრულების ვალდებულებას არ წარმოუშობს.

30. გარდა ამისა, რამდენადაც სადავო სამმხრივი შეთანხმება სახელდებულია, როგორც „ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტი“, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნოს, რომ აღნიშნული ვერ შექმნის თანხის ანაზღაურებაზე შპს „დ-ის“ ვალდებულების წარმოშობის საფუძველს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის (იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. თუ სხვა ფორმაა გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას) საფუძველზე. ამ მიმართებით, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს მიუთითოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის ნორმატიულ შინაარსის განმარტების საკითხზე, სამართლის თეორიაში გაბატონებულ შეხედულებებსა და დადგენილ სტაბილურ სასამართლო პრაქტიკაზე, რომლის თანახმად, ვალის აღიარება საკმაოდ რთული და კომპლექსური ინსტიტუტია. იგი მხარეთა ნების თავისუფალ გამოვლენას მოიაზრებს, რაც მიზნად ისახავს გარკვეულ სამართლებრივ შედეგს. სამართლებრივად რელევანტური ნება შესაძლოა, მიმართული იყოს როგორც არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურებისკენ (ვალის დეკლარაციული აღიარება), ისე ახალი ურთიერთობის წარმოშობისკენ (ვალის კონსტიტუციური აღიარება). აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს, ვალის აღიარების რომელ სახესთან გვაქვს საქმე, რამეთუ თითოეულ მათგანს თავისი მნიშვნელობა და განსხვავებული სამართლებრივი შედეგები აქვს.

31. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი განამტკიცებს ე.წ. კონსტიტუტიურ (აბსტრაქტულ) ვალის აღიარებას, სადაც მხარეთა ნება მიმართულია ახალი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისკენ. ამ ხელშეკრულებით მოვალე აღიარებს გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას, თუმცა ამ ურთიერთობისგან დამოუკიდებლად კისრულობს კრედიტორის წინაშე გარკვეული შესრულების განხორციელებას, ანუ დგინდება ახალი, დამოუკიდებელი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, წარმოიშობა ახალი მოთხოვნა, რომელიც არ არის დამოკიდებული ძველი სამართლებრივი ურთიერთობის ნამდვილობაზე. ახალი ხელშეკრულება დამოუკიდებელია მისი სამართლებრივი საფუძვლისგან და მისი მიზანი არ არის ე.წ. ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნა. ახალი ხელშეკრულების ძალით ვალდებულება შესრულებას მაშინაც ექვემდებარება, როცა ძველი ურთიერთობის არსებობა სადავო არის მხარეთათვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის კომენტარი, ეკატერინე ბალიშვილი, გვ. 174, http://lawlibrary.info/ge/books/giz2019-ge-civil_code_comm_III_book.pdf). რაც შეეხება დეკლარაციულ (კაუზალურ) ვალის აღიარებას, იგი მხოლოდ ადასტურებს უკვე არსებულ ვალს, ანუ მიმართულია ძველი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურებისკენ და არა ახალი ურთიერთობის დადგენისკენ. ამის საჭიროებას, ჩვეულებრივ, განაპირობებს მხარეთა შორის არსებული უთანხმოება ან გაურკვეველობა ვალდებულების არსებობის თაობაზე... დეკლარაციული აღიარების სამართლებრივი ძალა დამოკიდებულია შეთანხმების შინაარსზე და საჭიროებისამებრ დგინდება განმარტების მეშვეობით (იქვე, გვ. 176).

32. საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკითაც დადგენილია, რომ სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის გაგებით ვალის არსებობის აღიარებასთან არ გვაქვს საქმე, როდესაც მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამოდიან ან ადასტურებენ მას ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ. ამდენად, იგი არ უნდა უკავშირდებოდეს ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნას (იხ. სუსგ №ას-392-371-2013, 8 ნომბერი, 2013 წელი).

33. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალის აღიარების ხელწერილით ხდება ვალის ამლიარებლის მხრიდან მოთხოვნის უფლების მქონე პირთან ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობის აღიარება, შესაბამისად, ასეთ ვითარებაში მიიჩნევა, რომ ვალის ამლიარებელი ვალს, კრედიტორთან არსებული სამართალურთიერთობის საფუძველზე, როგორც თავის ვალს, ისე აღიარებს.

34. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, სადავო სამმხრივი შეთანხმება სახელდებულია, როგორც „ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტი“, თუმცა შინაარსის მიხედვით, დგინდება, რომ შპს „დ-ი“ გამოხატავდა სხვისი, ამ შემთხვევაში, შპს „ჯ-ის“ ვალდებულების შესრულების მზაობას, შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ხელწერილი, არ წარმოადგენს შპს „დ-ის“ მხრიდან ვალის აღიარებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის კონტექსტშიც.

35. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 2019 წლის 13 ნოემბრის ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტიდან გამომდინარე, მხარეთა შორის არ წარმოშობილა სსკ-ის 464-ე მუხლით გათვალისწინებული სოლიდარული ვალდებულება, რამეთუ სახეზე არ არის ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარული ვალდებულების წარმომშობი ფაქტობრივი შემადგენლობა. ამასთან, აღნიშნული შეთანხმება არ წარმოადგენს შპს „დ-ის“ მხრიდან ვალის აღიარებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის კონტექსტშიც. პალატა მიიჩნევს, რომ სადავო სამმხრივი შეთანხმება შესრულების არსიდან გამომდინარე, წარმოადგენს სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებას, რომელიც მისი ნამდვილობისათვის აუცილებელი კუმულატიური პირობების არ არსებობის გამო, ბათილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე. შესაბამისად, შპს „ბ. ს-ის“ წინაშე, შპს „დ-ის“ იურიდიული პასუხისმგებლობა არ წარმოშობილა.

36. რაც შეეხება შპს „ბ. ს-ის“ ძირითად საკასაციო პრეტენზიას, იგი მიემართება ხელშეკრულებით შეთანხმებული პირგასამტეხლოს „შეუსაბამოდ მაღალ“ სანქციად მიჩნევის საკითხს.

37. ამ მიმართებით, საკასაციო პალატა პირველ რიგში განმარტავს, რომ მართალია, პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა მხარეთა უფლებაა და აღნიშნული კუთხით მოქმედებს სახელშეკრულებო ურთიერთობებში დამკვიდრებული მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპი, თუმცა სსკ-ის 420-ე მუხლი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების მიუხედავად. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ საკითხზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა. კერძოდ, საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით პირგასამტეხლო მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეული შეთანხმებაა, იგი არ წარმოადგენს მხარეთა აბსოლუტურ უფლებას და კვალიფიციური შედავების პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს თანაზომიერება

ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით. სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის კანონისმიერ საფუძველს წარმოადგენს სასამართლოსათვის დაკისრებული ერთგვარი საჯარო წესრიგის უზრუნველყოფი ვალდებულება (იხ. სუსგ-ები: №ას-708-678-2016, 27 იანვარი, 2017 წელი; №ას-1199-1127-2015, 13 აპრილი, 2016 წელი; №ას-1158-1104-2014, 06 მაისი, 2015 წელი). ამრიგად, კანონმდებლის მიერ ხელშეკრულების მხარეთათვის პირგასამტეხლოს თავისუფლად განსაზღვრის უფლების მინიჭება იმას არ ნიშნავს, რომ ეს თავისუფლება ხელშეუხებელია. მოვალის სათანადო კვალიფიკაციის შესაგებლის არსებობისას, სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს გონივრულობა და საქმის გარემოებების გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სსკ-ის 420-ე მუხლი, რომლის საფუძველზეც, სასამართლოს უფლება აქვს, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, რაც შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, საქმის გარემოებების სრულყოფილი ანალიზის შედეგად უნდა გადაწყდეს.

38. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ 2019 წლის 13 ნოემბრის ვალის აღიარებისა და ბუღალტრული შედარების აქტით, მხარეები წერილობით შეთანხმდნენ პირგასამტეხლოს თაობაზე. შედარების აქტიდან გამომდინარე, დამკვეთის მხრიდან ანაზღაურების გადახდის ვადების დარღვევის გამო, დამკვეთი ვალდებული იყო გადაეხადა შემსრულებელს პირგასამტეხლო, გადაუხდელი თანხის 0.07%-ის ოდენობით, ყოველი ვადადაცილებული დღისათვის, რაც 2019 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით შეადგენდა 344716.47 ლარს (მე-5 პუნქტი). გარდა ამისა, დამკვეთი და თავდები (ერთობლივად ან ცალკე) ვალდებული იყვნენ აენაზღაურებინათ შემსრულებლისათვის, როგორც შესრულებული სამუშაოების დავალიანება, ასევე გადახდის დღისათვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ანაზღაურების გადახდის ვადების დარღვევისა და ამავე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დარიცხული პირგასამტეხლო სრულად (მე-8 პუნქტი).

39. დადგენილია, რომ სააპელაციო პალატამ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომელმაც იმოქმედა რა, სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით გათვალისწინებული დისკრეციის ფარგლებში, მოპასუხეთა მითითების საფუძველზე, იმსჯელა პირგასამტეხლოს ოდენობაზე და მიიჩნია, რომ მოთხოვნილი პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალ ოდენობას წარმოადგენდა, რის გამოც, უნდა შეამცირებულიყო გონივრულ ოდენობამდე, კერძოდ, 2019 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით დარიცხული პირგასამტეხლო ნაცვლად 344716.47 ლარისა, უნდა განსაზღვრულიყო 34471.67 ლარის ოდენო-

ბით; ხოლო, 2020 წლის 31 იანვრიდან 2022 წლის 24 ნოემბრის პერიოდზე და ასევე, სარჩელის აღძვრიდან, 2022 წლის 24 ნოემბრიდან ვალდებულებების შესრულებამდე პირგასამტეხლოს დაანგარიშება, ნაცვლად მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული 0.07%-ის ოდენობისა, უნდა განხორციელებულიყო შესასრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით, რაც გულისხმობდა 2020 წლის 31 იანვრიდან 2022 წლის 24 ნოემბრის ჩათვლით დარიცხული პირგასამტეხლოს განსაზღვრას 34322.34 ლარის ოდენობით, ხოლო 2022 წლის 24 ნოემბრიდან (სარჩელის აღძვრიდან) ვალდებულების შესრულებამდე ყოველდღიური პირგასამტეხლოს განსაზღვრას 33.42 ლარის (ძირითადი თანხის (167 075.85 ლარის) 0.02%-ის) ოდენობით.

40. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის შედავებას მასზედ, რომ რამდენადაც მოპასუხეს საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე არ წარმოუდგენია ღირებული შედავება პირგასამტეხლოს ნაწილში, სარწმუნოდ ვერ მიუთითა და ვერ დაადასტურა, თუ რას ეფუძნებოდა მისი მოთხოვნა პირგასამტეხლოს შემცირების შესახებ, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი დაუსაბუთებლად შემცირებინა მოთხოვნილი პირგასამტეხლო. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება, ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა (იხ. სუსგ საქმეზე №ას-1511-2018, 26.03.2019 წ.). პირგასამტეხლოს შემცირება არ გულისხმობს მის გაუქმებას. პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველია ერთი მხრივ, ის, რომ კრედიტორი პირგასამტეხლოს მიღებით არ გამდიდრდეს და მოვალეს არ დაანვეს მძიმე ტვირთად პირგასამტეხლოს გადახდა (შესაბამისად, პირგასამტეხლო არ იქცეს ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად), ხოლო მეორე მხრივ კი, – პირგასამტეხლო იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირწონე და გონივრული. აღნიშნულში მოიაზრება სახელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება (იხ. სუსგ საქმეზე №ას-186-2021, 25.03.2021 წ.).

41. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს მოპასუხის შესაგებელში გამოთქმულ შედავებას მასზედ, რომ მოსარჩელე მხარის მოთხოვნა პროცენტთან მიმართებით შეუსაბამოდ დიდია; ამასთან, პალატა ითვალისწინებს, პირგასამტეხლოს და კისრების მიზნებსა და დანიშნულებას, დავალიანების ძირითად ოდენობას,

მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობას, რაც დავალიანების ძირითად ოდენობაზე გაცილებით მეტია, ასევე, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება შესრულების ვადაგადაცილებით მოსარჩელის მიერ განცდილი ზიანი და საბოლოო ჯამში, მიიჩნევა, რომ ერთი მხრივ, პირველი ინსტანციის სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის საფუძველზე, მართებულად იმსჯელა პირგასამტეხლოს შემცირების საკითხზე, რაც სწორად გაიზიარა სააპელაციო პალატამ, თუმცა, მეორე მხრივ, ერთი და იმავე სამართალურთიერთობაში, ერთი და იმავე მხარეებს შორის, ერთი და იმავე ვალდებულების დარღვევისათვის, სხვადასხვა პერიოდებზე მოთხოვნილი პირგასამტეხლო არალოგიკურად, შესაბამისი მოტივაციის გარეშე, არაგონივრულად შეამცირა სხვადასხვა პროცენტულ ოდენობამდე, რაც შემდგომ, არასწორად გაიზიარა სააპელაციო პალატამ. ამ ნაწილში, საკასაციო პალატა იზიარებს შპს „ბ. ს-ის“ საკასაციო პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ როგორც 2019 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით, ისე სარჩელის აღძვრამდე და შემდგომში, ვალდებულების შესრულებამდე ყოველდღიურად დასარიცხი პირგასამტეხლოს ოდენობა უნდა განისაზღვროს ერთი და იმავე პროცენტული მაჩვენებლებით – 0,02%-ებით, რაც 2019 წლის 13 ნოემბრის პერიოდისათვის შეადგენს 98488.5 ლარს, ნაცვლად პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსაზღვრული 34471.67 ლარისა, ხოლო სარჩელის აღძვრამდე და შემდგომში, ვალდებულების შესრულებამდე პერიოდებისათვის შეადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ოდენობას.

42. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კერძო სამართალში მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი გადანაწილების სტანდარტი არსებობს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს ამყარებს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

43. დასახელებული ნორმის თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებულნი არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით, მათი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა დაადასტურონ. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომლებიც მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების

სპეციალურ წესს ადგენს, მოსარჩელეს სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება ევალება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, ისეთი მტკიცებულებები წარადგინოს, რომლებიც მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს გააქარწყლებს.

44. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი ადგენს სასამართლოს მხრიდან მხარეთა მიერ მითითებული გარემოებების შეფასების სტანდარტს. სასამართლოსთვის არავითარ მტკიცებულებას წინასწარ დადგენილი ძალა არა აქვს. სასამართლო მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით აფასებს, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, გადაწყვეტილებაში უნდა აისახოს.

45. განსახილველ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის ობიექტური განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მხარეთა მიერ შეთანხმებული პირგასამტეხლოს სასამართლოს მიერ არაგონივრულ ოდენობამდე შემცირების მტკიცების ტვირთი, სწორედ შემდავებელს, მოცემულ შემთხვევაში, კასატორს – შპს „ბ. ს-ს“ ეკისრებოდა, რომელმაც სასამართლოს წინაშე ნაწილობრივ დასაბუთებული საკასაციო საჩივარი წარმოადგინა და ერთი და იმავე მხარეებს შორის, ერთი და იმავე ვალდებულების დარღვევისათვის, სხვადასხვა პერიოდებზე მოთხოვნილი პირგასამტეხლოს სხვადასხვა პროცენტულ ოდენობამდე არალოგიკურად შემცირების ნაწილში, გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი გაუმართაობა დაადასტურა.

46. რაც შეეხება შპს „ბ. ს-ის“ დამატებით საკასაციო პრეტენზიას ადვოკატის დახმარებისათვის განეული ხარჯის ოდენობასთან მიმართებით, საკასაციო პალატი იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მითითებს იურიდიული მომსახურებისათვის განეული/გასანევი ხარჯის დაანგარიშების კრიტერიუმებთან დაკავშირებით, ასევე, ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: დავის კატეგორია, ადვოკატმა კონკრეტულად რა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედებები შეასრულა, რა სახის ადამიანური რესურსი დაიხარჯა და ასკვნის, რომ წარმომადგენლის ჩართულობის ხარისხისა და საქმიანობის მოცულობის გათვალისწინებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ განსაზღვრული ოდენობა – 1000 ლარის ოდენობით, წარმოადგენს მხარის სამართლიან დაკმაყოფილებას.

47. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვე-

ტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

48. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

49. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

50. მოცემულ შემთხვევაში, შპს „დ-ის“ დაკმაყოფილებული საკასაციო მოთხოვნის შესაბამისად, შპს „ბ. ს-ს“ შპს „დ-ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში შპს „დ-ის“ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 15000 ლარის (7000+8000) ანაზღაურება; ხოლო, შპს „ბ. ს-ის“ დაკმაყოფილებული საკასაციო მოთხოვნის პროპორციულად, მოპასუხე შპს „ჯ-ს“ შპს „ბ. ს-ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 8780 ლარის (2195+3073+3512) ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ბ. ს-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „დ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 18 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახა-

ლი გადაწყვეტილება;

4. შპს „ბ. ს-ის“ სარჩელი შპს „დ-ის“ მიმართ არ დაკმაყოფილდეს;

5. შპს „ბ. ს-ის“ სარჩელი შპს „ჯ-ის“ მიმართ დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

6. მოპასუხე შპს „ჯ-ს“ (...) შპს „ბ. ს-ის“ (...) სასარგებლოდ დაეკისროს დავალიანების ძირი თანხის 167 075.85 ლარის, პირგასამტეხლოს (2019 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით) 98488.5 ლარის, პირგასამტეხლოს (2020 წლის 31 იანვრიდან 2022 წლის 24 ნოემბრის მდგომარეობით) 34322.34 ლარის გადახდა.

7. მოპასუხე შპს „ჯ-ს“ (...) შპს „ბ. ს-ის“ (...) სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტეხლოს გადახდა, ძირითადი თანხის – 167075.85 ლარის 0.02%-ის, ყოველდღიურად 33.42 ლარის ოდენობით, 2022 წლის 24 ნოემბრიდან (სარჩელის აღძვრიდან) ვალდებულების შესრულებამდე.

8. მოპასუხე შპს „ჯ-ს“ (...) შპს „ბ. ს-ის“ (...) სასარგებლოდ დაეკისროს პირველი ინსტანციის სასამართლოში იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 1000 ლარის ანაზღაურება.

9. მოპასუხე შპს „ჯ-ს“ (...) შპს „ბ. ს-ის“ (...) სასარგებლოდ დაეკისროს სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის 8780 ლარის (2195+3073+3512) ანაზღაურება.

10. შპს „ბ.ს.ს“ (...) შპს „დ-ის“ (...) სასარგებლოდ დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში შპს „დ-ის“ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 15000 ლარის (7000+8000) ანაზღაურება.

11. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge